

ქართველთა შორის მუნიციპალიტეტის გამიყრულებელი საზოგადოებრივ
სექციის გამოცემა № 21/109.

612

612

— 82-2.

მოგზაურობა სისხლის წვეთისა

ანუ

საზღარი თუ როგორ სფოსტობს და საზრდოობს ადამიანი.

ბავშვთათვის გასაგებ ენით ნაამბობი

309.



6. ოსიპოვსკისა.

დაბეჭდილი პროცესორ 6. ვ. გუნდობინის რედაქტორობით.

10677
90


1063
1360

1063
1360



ელექტრონით მშექმნავი ქართვ. ამს—ისა. ვანქის ღიღი ქუჩა.

1915 წ.



ପ୍ରକାଶନ ପତ୍ରଙ୍କାଳୀମାଲା

და მიანისთვის უკელაზე შასლობელია თვითევე ადამიანი. ამით
ტომის მეცნიერება უნდა აინტერესებდეს, რომელიც ასწავლის,
თუ რა ამავათ მის თრგანაზმში, რომელიც სხეულის შენობას
და აგებულობას უხსნის, რომელიც იყვალებს სხეულის სასიცოცხლო
მოვლენასა და თვალ-წინ უშლის მის კანონებსა. ეს არის მიზეზი, რომ
შეგნებული ადამიანი ასეთს შეცნიერდას უფლებობის განსაკუთრებულ
უურადღებას აქცევდა. ბავშვებიც — ეს პაწია ადამიანებიც — იჩენენ
შშობლებზე არა ნაკლებს ცრის-მოუკარულობას. ბავშვის ცოცხალის
და ხალისან გონებას შედამ აინტერესებს უფლებოვე, რაც კი მის
გარშემო ამბავია. ყმაწეობებს დიდებზე არა ნაკლებ აინტერესებს
თავის პატრია სხეულის აგებულება და გულით სწავლით გააცნონ
უკელა ის სასიცოცხლო მოვლენა ადამიანის ტანისა.

დღევანდელი პედაგოგიკა გვეუბნება, რომ შესწავლა ადამიანის
სხეულის, მის ანატომიისა და ფიზიოლოგიის პირველ დაწესით
სკოლებშივე უნდა სწარობდეს, რასაცირკელია, იძღნად, რმდე-
ნადაც ეს ბავშთათვის მისაწდომი და გასაგები იქნება; მაგრამ არა
იშვიათად მოხდება, რომ ბავშებს სწავლის დაწესითდღის და სკოლა-
ში შესვლაშისაც დიდად ეხალისებათ უფერებლე, რაც კი შათს ნორჩ
თორგანიზმს შეეხება; ისინი ხშირად შიმართავენ ხლოშე შშობლებს
სხვა-და-სხვა კითხვით და შათგან ახსნას და გამარტიებას ითხო-
ვენ. უველა გონიერ ამღზონდელის ფალია, მოზარდ თაბიის ასეთ
ბუნებრივ მოთხოვნილებას და ცნობის-მოყვარულობას სისარულით
მიეცებოს და სისმდვილით გააცნოს, რაც კი ბავშებს გრძებას
აინტერესებს და ახსლისებს. მგვარი ახსნა და გამარტიება შემდეგ


ბავშვის დიდის სამსახურის გაუწევს და გაუადვალებს შეცნიერებულ ცოდნის შეთვისებას სკოლაში.

ბავშვი უფრო ეტანება მდაბილდ, მსუბუქის ენით დაწერილ და ადვიოლად გასაგებ მოთხოვობებს. ამგვარ კილოთი მოთხოვობილი ნაწარმოები უფრო მოსწონს, უფრო სწოდება გულს. მშრალ შეცნიერებულ ცნობებს ვერ გაიგებს და ვერც გულს დაუდებას. წვეთის სისხლის თავგადასავალს, მის მარტვე ნაამბობს, მე მგრინა ბავშვი ადვიოლად მიხვდება, გულდადებით წაიკითხავს. სისხლის წვეთი მოგზაურობს მთელ სხეულში. აგვიწერს უღველსავე იქ ნახულსა და გაგონალს და ამგვარად გვიორევეს ადამიანის სხეულის აგებულებას, მის უმთავრეს სასიცოცხლო მოვლენებს, გვესაურება, როგორ სწარმოებს სენთქვა, საჭმლის მიღება-მონელება, სისხლის ბრუნვა და მიმოქცევა და სხვა მრავალგვარი მოვლენა.

მდაბილ ენით გადმოცემულ ამბავში მოუვანილია პირველ დაწერილი ცნობანი ანატომიისა და ფიზიოლოგიისა; ისე მარტივად არის ეს მოთხოვობა, რომ მცირე-წლოვან ბავშვსაც კი შეუძლიან ამ წიგნის წაკითხვა და გაგება—სხვის დაუხმარებლად.

რათა წიგნში მოუვანილი ამბები, რაც შეიძლება, ადვიოლად გასაგები ყოფილიერ, საჭიროდ დავინახეთ ტექსტში შესაიერო სურაოები ჩაგვერთო, რასაკვიორველია, რამდენადაც ეს ბავშვებისათვის გასატები იქნებოდა. ამ გვარად, „წვეთის სისხლის მოგზაურობა“ თან-და-თან ართობს ნორჩ მეითხველს და ამასთანავე ერთად აფართოვებს მის ცოდნას, აძლევს ბევრს საგულასხმო და სასარგებლო ცნობას.





მთარგმნელისაბან.

უ დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას და უკვირდებით და
ახლო წარსეულს დაუბირდაპირებთ, ნათლად დავინახეთ, რომ
ჩვენი ერთ გამოცოცხლდა, გამოიდგინა და განვითარების მქონე
ნიადაგს დაადგა. ეს წარმატებას და წინმსვლელობა თვალსაჩინოდ დაუ-
ტერ ყრველ საქმეს, ცხოვრების ურველ კერძობას, ჩვენს სოფლ-
მხედველობას. საითაც უნდა მაიხსედო, უკელგან ცხოვრება სდევდს და
გადმოდის; უკელგან მუშაკს ვხედავთ, მუშაკს, დღევანდელ სწავლ-
განსათლებით აღჭურვილს, მუშაკს, მამულისადმი სიეკარულით გან-
მსჭვალულს. მრავალივეროვანია მათის მაღლიანის ნაწისა და გონი-
ბის ნაერთი. ბევრი რამ გაეკეთებულა ამ უკანასკენელ ნახევარ-სა-უკანის
განმავლობაში, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი...

სხვათა შორის, ჩემის აზრით, დიდს გულადებითს შორის
შოთხოვს ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა, სამეც-
ნიერო ენის განახლება. განახლებათ, იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენის
ძეველ მწერლობაში და განსაკუთრებით ხელნაწერებში ბევრია ისეთია
სიტემა, რომელიც საღსს ღატვიწერებია. ამ ხელნაწერებში ბევრია
შეცნაერების სსვ-და-სხვა დარგის შესაფერი სიტემა და ტერმინია და
განსაკუთრებით ისეთი, რომელიც ბუნების-მეტეულებას და კერძოდ
შეუწინალობას შექმნას. ამის მაგალითს გვაძლევს ნებისმის—ემესე-
ლის წიგნი „ბუნებისათვის კაცისა, ბ-ნ ს. რ. გორგაძის რედაქტო-
რობით წარსეულ წელს საკულტო მუზეუმისაგან გამოცემულია. ამ-
გვარ ხელნაწერების ჯერთვანად შესწავლას და გამოქაეცებას დიდია
სარგებლობის მოტიანა შეუძლიან, რადგანაც მათ ჩვენ მზა-მზარეუ-
ლად ხელი გვიჩნება მრავალი სატექნიკო-ტერმინები, რომელსაც ჩა-
რთოდნენ ჩვენი უწინდელი მწერლ-მეტნიერნი და ალბად საღსსაც


ესმოდა მათი შნიშვნელობა. ამ გზით ადვილად შევსძლებო ზოგ ტერმინის უცვლელად აღდგნას და მის დაკანონებას, რასაკვირვე-ლია, თუ ეს ახალ შემოღებული ტერმინი მეცნიერების ეხლანდელ შექედულობას არ ჰქლალატობს, სოდო ზოგიერთ შეუფერებელს უკუ გადღებო და შევსცვლით ისე, როგორც ეხლანდელი ცოდნა-მეცნიერებისა გვიყარჩხახებს.

ასეა თუ ისე, დიდ საჭიროებად მიგვაჩნია ხალხში და სკოლებში გასავრცელებლად იაფ-ფასიანის და მდაბიო ენით დაწერილ სამეცნიერო წიგნის გამოცემა. წიგნი უსათუოდ შინაარსის მიხედვით საკმარის დასურათებული უნდა იქთს. ამ სურვილის ოდნავ მაინც მისაღწევად განვიზრახეთ ამ წიგნის თარგმნა. პირველ ერვალისა აზრად გვქონდა მიგვეწოდებინა მკითხველთათვის ისეთი წიგნი, საცავ მსუბუქის ენით იქნებოდა ახსნილი ადამიანის სხეულის შენობა და აგებულება, მოთხოვობილი იქნებოდა მოკლედ ჩვენის თარგანიზმის უფლებივე უმთავრესი სასიცოცხლო მოვლენა.

ზოგიერთ სიტყვა-ტერმინის დაკანონებისთვის დამჭირდა მიმემართნა ქართულის ენის გარგად მცოდნე კოლეგებისათვის და მათის თანხმობით გამორკვეული სიტყვა-ტერმინი მეხმარა. მათივე რჩევით, სადაც მერთალი და შეუსაბამო სურათი იყო, იქ ახალი და უფრო შესაფერი ჩაურთეთ. საჭიროდ დავინახე აგრედვე ღედანის ზოგაერთი ადგილი შეგვევსო და განგვემარტნა, რასაც თვით მკითხველიც დაინახავს. წიგნის ბოლოში მოთავსებულია რუსულ-ქართული დექსინერი, სადაც ჩართულია წიგნში ნახმარი უმთავრესი სიტყვა-ტერმინი; ზოგიერთ სიტყვებთან ჩვენ მოგვგავს ის სიტყვებიც, რომელიც სხვა ავტორებს უხმარიათ იმავე ცნების გამოსახატავდ.

ივ. თიკანაძე.





მოგზაურება სისტემის წვეთის.

I

როგორ განვდა მარცვალი



აზაფხულის დილა იყო — მშვიდი და წყნარი. გარშემო ბუნებას ჯერ კიდევ ეძინა, სთვლემდა ტყე, მღინარე და სამ-შობლო ყანა-მინდორი. უეცრად ნიავმა წმოპბერა.

— ღრია წამოდგეთ, — შესძიხა მიძინებულ თავთავებს ნიავმა და სისწრაფით განაგრძო თავისი გზა.

ამ ღრიას ბრწყინვალე მზემაც ამოაშუქა და თავისი მაკოცხლებელი სხივი დღდა-მიწას მოჰყინა. ყოველივე გამოკოცხლდა. თავთავმა თავისი ულვაშივით ფხა ზევით შექმართა. ტორტლაშ სამური სიმღერა მორთო და ცის კამარაში ნავარდი დაიწყო. ჩვენს მარცვალსაც გამოეღვიძა. რბილ ქვეშავებში ძლიერ კარგად ჰგრძნობდა თავსა. მალე მომკლებმაც იავი მოიყარეს. იელვეს ნამგლებმა. მომკილი ყანა ნაღვლინად ძირს ეშვებოდა. მარცვალი, ცოტა არ იყოს, შიშმა აიტანა, მშობელ თავთავს მაგრად ჩაეკინა.


— ნუ გეშინიან, პაწიავ, — წასჩურჩულეს თავთავებმა: — ალ ახალ ცხოვრებას დავიწყებთ და... თავთავმა სიტყვის დასრულება ვერც კი მოასწრო, რომ ბასრის ნამგლით ყელ-ამოჭრილი მოსწყდა ღეროს და მიწაზედ დაეცა.


დაიწყო ახალი ცხოვრება...

მარცვლები ძალის-ძალიად თავთავებს მოაცილეს, გალე-ეს, მოაშორეს თავიანთ მშობელ თავთავებს და ბოლოს წის-

ქვილში წაიღეს. წისქვილში საშინლად ბნელოდა, ციოდა, წყლის შუილი და ხმაურობა მოისმოდა; ვეებერთელა, მძიმე ქვები დიდის ხრიალით ბრუნავენ, მარცვლებს ჰლერლავენ და ჰცქვავენ. ით ჯერი ჩვენს მარცვალზედაც მიღვა, მაგრამ, როგორც იყო, საფქვავ ქვებს გაუსხლტა და გადარჩა უვნებელი. წარმოიდგინეთ—ამდენ მარცვლებში მარტო ერთად-ერთმა უშველა თავსა...

მაგრამ ვინ იცის, რა მოელის შემდეგ?..





II

პირი, მნა, საყლაპავი მილი, სორიშაძი

თახი მშვენივრად არის განათებული. მაგიდაზედ სამო-
ვარი ჩუხჩუხებს. აქა-იქ ხმაურობა და სიცილია, ისმის
ჭიქა-ფინჯნების წყარუნ-ჩხარუნი; კოვზები პრიალობენ.
თოვლივით თეთრ თეფუზე თავმომწონედ პურის ნაჭრები წა-
მოსკუპულან. ერთში ჩვენი მარცვალიც შეკუნკულა.

— რა გემრიელი პურია! — წამოიძახა პატარა ბავშვმა:
და თავისი პაწია ხელი პირდაპირ ამ პურის ნაჭრისაკენ გაი-
წოდა.

— დადგა ჩვენის აღსასრულის დღე! — წასჩურჩულა მარ-
ცვალმა მეზობლებს და იმავ წუთს სადღაც ბნელ და სველ
მღვიმეში ამოჰყო თავი.

— ოჳ, დიდად მოხარული ვარ თქვენის ნახვისა, — გაისმა:
ვიღაცის მხიარული ხმა.

— ეს სად ჩამოვგარდით, სადა ვართ?

— ჩემს ბინა-საყუდელში, პირში. აქ მე ვარ მასპინძელი.
მე ენა მევიან, გთხოვ მიცნობდე.

პირში ჩავარდნილ პურის ლუკმას, რომელშიაც მარ-
ცვალი იყო მოთავსებული, მიჰვარდა ვიღაც სქელი და მოქ-
ნილი, დაუწყო ნძრევა, ჯგვლემა, ხან აქეთ გადაატრიალა და
ხან იქით.

— ეს ჩემი ამხანაგები არიან — კბილები, — წამოროშა-
ენამ, — იცნობდეთ; რიცხვით 32 ძმა-კაცია, საკვირველის ძალ-


ლონის პატრონი და ჯანმრთელი ხალხია*). კბილები მიესივ-
ნენ პურის ლუკმის ჭუწყა-
ლოდ დაუწყეს ნაწილ-ნა-
წილ გლეჯა. (სურ. 1)

— ვა მე! გამჭული-
ტეს, გამოელეს, დამაქუც-
მაცეს, — ჰყვირის ელდა-
ნაცემი მარცვალი.

— გთხოვთ ნუ ხმაუ-
რობთ, დაწყნარდით! — ხმა
ჩაუწყვიტა ენამ გულ-და-
წყვეტილ მარცვალს.

ამ ხნის განმავლობა-
ში მთელი პურის ლუკმა
ნერწყვით კარგად გაიუ-
ღინთა. ნერწყვი მოსქო
ლორწოიანი სითხეა. მზად-
დება განსაკუთრებულ პარ-
კებში, რომელსაც ჯირკვ-
ლები ეწოდება. ნერწყვის
დასამუშავებლად ადამიანი

ბარე სამნაირი ჯირკვლები აქვს**). ერთი რიგი ჯირკვლებისა
მოთავსებულია ყბის ქვეშა, მეორე. ყურების ახლოს, მესამე
წყვილი — ენის ქვემოდ; ყველას სანერწყვა ჯირკვლები ჰქიან.
თავიანთ დამუშავებულ ნერწყვს ჯირკვლები პირში ჰგზავნიან
წვრილ მიღებით (სურ. 2); ზოგ ჯირკვლებიდან პირში ნერწყვი
ენის ქვემოდან შემოღის; მართლაცა და ენა რომ მაღლა გადა-
ჰქიცოთ, ქვემოდ იღვილად შევამჩნევთ ორ პატარა ნაჩვენეტს.




სურ. 1.—პირის სილრუვე.

1. ე. 2 რბილი სასა 3 ენის კლიტე. 4. ნახა.

*) ადამიანს თითო ყბაში თექვსმეტ-თექვსმეტი კბილი აქვს; კბილები სამ გვარითა — 4 წინა ანუ საკბეჩი კბილი, შემდევ აქეთ-იქით — თითო სათხილე და ხუთ-ხუთი ძირისა ანუ სალეჭი კბილი.

**) ყბის ქვეშა, ენის ქვეშა და ყბა-ყურა ჯირკვლები.

ეს არის ნერწყვის სადენ მილის ბოლო, ანუ შესართავი; სხვა ჯირკვლების მილი ორივ მხრივ ლოკების შიგნითა პირზედ თავდება ღია ნაჩვრეტით. ნერწყვის წყალობით პურის ლუკმა იფხვრება, რბილდება და უფრო მოლიპულ გუნდათ გადა-



(სურ. 2.—სანერწყვა ჯირკვლები)

1. ყბა-ყურა ჯირკვალი. 2. ყბა-ყურა ჯირკ ლის მილი. 4. ყბის ქვეშა ჯირკვალი. 5. ეხა. 6. ენის ქვეშა ჯირკვალი თავის მილით.


იქცევა ხოლმე, კიდეც გემრიელდება და ტკბილდება. ამის მიზეზი ის არის, რომ პურში სახამებელია და ეს სახამებელი ნერწყვმა დაშალა, დაარღვია და შაქრად გადააქცია. ნერწყვი რთული ნივთიერებაა. ერთს მის უმთავრეს შემაღებელ ნაწილს სახელად ჰქვიან პტიალინი. აი სწორედ ამ პტიალინს ეხერხება სახამებლის შაქრად გადაქცევა და ეს კი პურის ლუკმას აღვილად მოანელებინებს აღამიანს.

— მზად არის! — დაიყვირა დაუღალავში ენამ, პურის ლუკმას ლაზათიანი კინწი ჰქრა და საღლაც მილში გადის-

როლა; ლუკმა სისწრაფით ქვევით დაეშვა. ეს მიღი რბილია და ენასავით სკელი, მუდამ მოძრაობს, ანუ იკუმშება; ლუკმა კიდევ უფრო ჩეარა მიღის წინ, მისრიალებს.

— ვაი! ეს სად ჩამოვარდი? — ფიქრობს მარცვალი. ყოველივე ეს ისეთის სისწრაფით მოხდა, რომ მარცვალი გონს ვერც კი მოვიდა. ის ახლა ერთ დიდ მოგრძო პარკშია. აქ საკვირვლად ცხელა და ვიწროობაა; ირგვლივ ყველაფერი მოძრაობს, ირხევა; მის გარშემო ბევრი ლუკმა, უთუოდ იმაზე უწინ გადაყლაპული. საწყლები, რა რიგად გამოცვლილან, ველარავინ ველარა სცნობს.

სტომაქის გასაფასი ყველი.



სტომაქის ფუქრი.

სურ. 3. — ადამიანის სტომაქი, სიგრძეზედ
გაკვეთილი წინიდან.

1. საყლაბავი მიღის ბოლო.
2. სტომაქის პირი.
- 3 წვრილ
ნაწლავის დასაწყისი, აქვე რკალივით მოსჩანს სტომაქის
გასავალი — მეცარე.

— მითხარით, თქვენი კირიმეთ, — მიუბრუნდა ჩვენი მარცვალი ერთ-ერთ ამ ლუკმას, სად ვიმყოფებით, სადა ვართ?

— სტომაქში, — მიუგო ლუკმა (სურ. 3), ხოლო იმ მიღს, რომლითაც პირიდან ჩამოვეშვით აქ, ჰქეიან ხახა; ხახის ქვედა ნაწლოს, რომელმაც აქ ჩამოვიყვანა, საყლაპჲე მიღს ეძახიან.

მარცვალს უნდოდა ლუკმისათვის კიდევ ეკითხა რამე, მაგრამ საწყლებს ვიღაცამ ისე მოუჭირა, ისეგავქანჩა, რომ ლაპარაკის განგრძობა ყოვლად შეუძლებელი იყო. ეს თვით სტომაქის ბრალი იყო, რადგან ჩვეულებად აქვს, წამდაუწამ ხან შეიკუმშოს და ხან კიდევ გაგანიერდეს. ამიტომ თვითოული ლუკმა ერთი მეორეს ეხება და უფრო და უფრო პატარავდება, ილევა. ამავე დროს საყლაპავს პირიდან სტომაქში სულ ახალ-ახალი ლუკმა ჩამოაქვს. ისინიც ვიწროობის გამო დიდს გაჭირებაში არიან. ჩვენი მარცვალი სტომაქის კედლის ახლო-მახლო იღვა დასველებული და გაწკუმბლული, მაგრამ ეს არ აკმარეს და უკურად თავზედ დაასხეს საძაგლი, მყრალი, მუავე სითხე.

— ეს რა სითხეა? — იკითხა მარცვალმა. ეგ სტომაქის წვენია, — უპასუხა ვიღაცამ; — სტომაქის კედლებში მოთავსებულია განსაკუთრებული პარკები — ჯირკვლები, რომლებიც ამ წვენით არის ავსებული. როცა საჭმლის ლუკმა სტომაქის კედლებს შეეხება, იმ წამსვე იქიდან ეს წვენი*) გამოჟონავს და საჭმელს შეერევა. ამ წვენის მიზეზით ზოგი ლუკმა ფხვიერდება და რბილდება, ზოგი კი სულ მთლად გაიხსნება, როგორც წყალში შაქრის ნატეხი გაიხსნას.

მართლაცა და, კუკის წვენი, რამდენადაც უფრო ძრიელ გაუჯდა ლუკმებს, იმდენად უფრო დაბუქბუქდა, დარბილდა. გარეშე. ნაწილები, ცოტად თუ ბევრად, ჩამოშორდა და მოსწყდა. ის ლუკმა, რომელშიაც ჩვენს მარცვალს თავი შეეფარებინა, ჯერ მაგარი იყო, მაგრამ სტომაქის წვენის გავლენა მაინც დასტუკობდა:


— ცუდად არის ჩვენი საჭმე, — ეუბნებოდნენ ლუკმები ერთმანეთს: — აქედან უნდა გავიპაროთ როგორმე.

და მართლაც გასწიეს გზის საძებრად. გაპყვნენ ნელ-ნელა სტომაქის კედლებს და მოულოდნელად ერთ ხვრელს წააწყდნენ. ყველა რქითკენ მიეშურებოდა.

*) სტომაქის წვენის დენას, როგორც ამ უკანასკნელ ხანს მეცნიერებმა გამოიკვლიეს, ძლიერ ხელს უწყობს თვით საჭმლის კარგი გეშო, მისი სასიმოვნო სუნი და შეედულობაც-კი.

ქვილში წაიღეს. წისქვილში საშინლად ბნელოდა, ციოდა, წყლის ზური და ხმაურობა მოისმოდა; ვეებერთელა, მძიმე ქვები დიდის ხრიალით ბრუნავენ, მარცვლებს ჰლერლავენ და ჰფქვავენ. ის ჯერი ჩვენს მარცვალზედაც მიდგა, მაგრამ, როგორც იყო, საფქვავ ქვებს გაუსხლტა და გადარჩა უკნებელი. წარმოიდგინეთ—ამდენ მარცვლებში მარტო ერთად-ერთმა უშველა თავსა...

მაგრამ ვინ იცის, რა მოელის შემდეგ?..





II

პირი, ენა, საულაპაში შილი, სოოზაძი

თახი მშვენიერად არის განათებული. მაგიდაზედ სამო-
გარი ჩუხჩუხებს. აქა-იქ ხმაურობა და სიცილია, ისმის
კიქა-ფინჯნების წკარუნ-ჩხარუნი; კოვზები პრიალობენ.
თავლივით თეთრ თეთრშე თავმომწონედ პურის ნაჭრები წა-
მოსკუპულან. ერთში ჩვენი მარცვალიც შეკუნტულა.

— რა გემრედელი პურია! — წამოიძახა პატარა ბავშვმა
და თავისი პაწია ხელი პირდაპირ ამ პურის ნაჭრისაკენ გაი-
წოდა.

— დადგა ჩვენის აღსასრულის დღე! — წასჩურჩულა მარ-
ცვალმა მეზობლებს და იმავ წუთს სადღაც ბნელ და სველ
მღვიმეში ამოჰყო თავი.

— ოჲ, დიდად მოხარული ვარ თქვენის ნახვისა, — გაისმა
ვილაცის მხიარული ხმა.

— ეს სად ჩამოვევარდით, სადა ვართ?

— ჩემს ბინა-საყუდელში, პირში. აქ მე ვარ მასპინძელი.
მე ენა მქვიან, გთხოვ მიცნობდე.

პირში ჩავარდნილ პურის ლუკმას, რომელშიაც მარ-
ცვალი იყო მოთავსებული, მიჰვარდა ვილაც სქელი და მოქ-
ნილი, დაუწყო ნძრევა, ჯგვლემა, ხან აქეთ გადაატრიალა და
ხან იქით.

— ეს ჩემი ამხანაგები არიან — კბილები, — წამოროშა
ენამ, — იცნობდეთ; რიცხვით 32 ძმა-კაცია, საკვირველის ძალ-


ლონის პატრონი და ჯანმრთელი ხალხია*). კბილები მიესივ-
ნენ ჰურის ლუკმას და უწყა-
ლოდ დაუწყეს ნაწილ-ნა-
წილ გლეჯა. (სურ. 1)

— ვა მე! გამჭყლი-
ტეს, გამთელეს, დამაქუც-
მაცეს, — ჰყვირის ელდა-
ნაცემი მარცვალი.

— გთხოვთ ნუ ხმაუ-
რობთ, დაწყნარდით! — ხმა
ჩაუწყვიტა ენამ გულ-და-
წყვეტილ მარცვალს.

ამ ხნის განმავლობა-
ში მთელი ჰურის ლუკმა
ნერწყვით კარგად გაიქ-
ღინთა. ნერწყვი მოსქო
ლორწოიანი სითხეა. მზად-
დება განსაკუთრებულ პარ-
კებში, რომელსაც ჯირკვ-
ლები ეწოდება. ნერწყვის
დასამუშავებლად ადამიანს

ბარე სამნაირი ჯირკვლები აქვს**). ერთი ოიგი ჯირკვლებისა
მოთავსებულია ყბის ქვეშა, მეორე ყურების ახლოს, მესამე
წყვილი — ენის ქვემოდ; ყველას სანერწყვე ჯირკვლები ჰქვიან.
თავიანთ დამუშავებულ ნერწყვს ჯირკვლები პირში ჰგზავნიან
წვრილ მილებით (სურ. 2); ზოგ ჯირკვლებიდან პირში ნერწყვი
ენის ქვემოდან შემოდის; მართლაცა და ენა რომ მაღლა გადა-
ჰკეცით, ქვემოდ აღვილად შევამჩნევთ ორ პატარა ნაჩვენებს.




სურ. 1.— ჰურის სიღრუვე.

1. ენა. 2. რბილი სასა 3 ენის კლიტე. 4. ჩაბა.

*) ადამიანს თითო ყბაში ოქეფსმეტ-თაქესმეტი კბილი აქვს; კბი-
ლები სამ გვარია — 4 ჭინა ანუ საკბეჩი კბილი, შემდევ აქეთ-იქით — თითო
სათხილე და ხუთ-ხუთი ძირისა ანუ საღეჭი კბილი.

**) ყბის ქვეშა, ენის ქვეშა და ყბა-ყურა ჯირკვლები.

ეს არის ნერწყვის სადენ მილის ბოლო, ანუ შესართავი; სხვა ჯირკვლების მილი ორივ მხრივ ლოკურების შიგნითა პირზედ თავდება ღია ნაჩრეტით. ნერწყვის წყალობით პურის ლუკმა იფხვრება, რბილდება და უფრო მოლიპულ გუნდათ გადა-



(სურ. 2.—სანერწყვა ჯირკვლები)


1. ყბა-ყურა ჯირკვალი.
2. ყბა-ყურა ჯირკვალის მილი.
3. კვეშა ჯირკვალი.
4. კვეშა ჯირკვალი.
5. ენის კვეშა ჯირკვალი თავის მილით.
6. ენის კვეშა ჯირკვალი თავის მილით.

იქცევა ხოლმე, კიდეც გემრიელდება და ტკბილდება. ამის მიზეზი ის არის, რომ პურში სახამებელია და ეს სახამებელი ნერწყვმა დაშალა, დაარღვია და შაქრად გადააქცია. ნერწყვი რთული ნივთიერებაა. ერთს მის უმთავრეს შემადგენელ ნაწილს სახელიდ ჰქვიან პტიალინი. აი სწორედ ამ პტიალინს ეხერხება სახამებლის შაქრად გადააქცევა და ეს კი პურის ლუკმას ადვილად მოანელებინებს აღამიანს.

— მზად არის! — დაიყვირა დაულალავმა ენამ, პურის ლუკმას ლაზათიანი კინწი ჰკრა და სადღაც მილში გადის-

როლა; ლუკმა სისწრაფით ქვევით დაეშვა. ეს მიღი რბილია და ენასავით სეელი, მუდამ მოძრაობს, ანუ იკუმშება; ლუკმა კიდევ უფრო ჩეარა მიღის წინ, მისრიალებს.

— ვაი! ეს სად ჩამოვგარდი? — ფიქრობს მარცვალი. ყოველივე ეს ისეთის სისწრაფით მოხდა, რომ მარცვალი გონს ვერც კი მოვიდა. ის ახლა ერთ დიდ მოგრძო პარკშია. აქ საკვირვლად ცხელა და ვიწროობაა; ირგვლივ ყველაფერი მოძრაობს, ირხევა; მის გარშემო ბევრი ლუკმაა, უთუოდ იმაზე უწინ გადაყლაპული. საწყლები, რა რიგად გამოცვლილან, ვეღარავინ ვეღარა სცნობს.



სურ. 3.—ადამიანის სტომაქი, სიგრძეზედ
გაკვეთილი წინიდან.

1. საყლაბავი მილის ბოლო. 2. სტომაქის პირი. 3. წვრილ
ნაწლევის დასაწყისი, აქვე რკილივით მოსხიანს სტომაქის
გასაცალი—შეკარე.

— მითხარით, თქვენი ჭირიმეთ,—მიუბრუნდა ჩვენი მარცვალი ერთ-ერთ ამ ლუკმას, სად ვიმყოფებით, სადა ვართ?

— სტომაქში,—მიუგო ლუკმამ (სურ. 3), ხოლო იმ მიღს, რომლითაც პირიდან ჩამოვეშვით აქ, ჰქეიონ ხახა; ხახის ქვედა ნაწრლს, რომელმაც აქ ჩამოგვიყვანა, საყლაპჟ მიღს ეძახიან.

მარცვალს უნდოდა ლუკმისათვის კიდევ ეკითხა რამე, მაგრამ საწყლებს ვიღაცამ ისე მოუჭირა, ისეგაცქანჩა, რომ ლაპარაკის განგრძობა ყოვლად შეუძლებელი იყო. ეს თვით სტომაქის ბრალი იყო, რადგან ჩვეულებად აქვს, წამდაუწამ ხან შეიკუმშოს და ხან კიდევ გაგანიერდეს. ამიტომ თვითონეული ლუკმა ერთი მეორეს ეხება და უფრო და უფრო პატარავდება, ილევა. ამავე დროს საყლაპავს პირიდან სტომაქში სულ ახალ-ახალი ლუკმა ჩამოაქვს. ისინიც ვიწროობის გამო დიდს გაჭირებაში არიან. ჩვენი მარცვალი სტომაქის კედლის ახლო-მახლო იდვა დასველებული და გაწკუპლული, მაგრამ ეს არ აკმარეს და უეცრად თავზედ დაასხეს საძაგელი, მყრალი, მუავე სითხე.

— ეს რა სითხეა? — იკითხა მარცვალმა. ეგ სტომაქის წვენია, — უპასუხა ვიღაცამ; — სტომაქის კედლებში მოთავსებულია განსაკუთრებული პარკები — ჯირკვლები, რომლებიც ამ წვენით არის ავსებული. როცა საჭმლის ლუკმა სტომაქის კედლებს შეეხება, იმ წამსვე იქიდან ეს წვენი*) გამოჟონავს და საჭმელს შეერევა. ამ წვენის მიზეზით ზოგი ლუკმა ფხვიერდება და რბილდება, ზოგი კი სულ მთლად გაიხსნება, როგორც წყალში შაქრის ნატეხი გაიხსნას.

მართლაცა და, კუპის წვენი, რამდენადაც უფრო ძრიელ გაუჯდა ლუკმებს, იმდენად უფრო დაბუქბუქდა, დარბილდა. გარეშე. ნაწილები, ცოტად თუ ბევრად, ჩამოშორდა და მოსწყდა. ის ლუკმა, რომელშიაც ჩვენს მარცვალს თავი შეეფარებინა, ჯერ მაგარი იყო, მაგრამ სტომაქის წვენის გავლენა მაინც დასტყობდა:

— ცუდად არის ჩვენი საქმე, — ეუბნებოდნენ ლუკმები ერთმანეთს: — აქედან უნდა გავიპაროთ როგორმე.

და მართლაც გასწიეს გზის საძებრად. გაჰყვნენ ნელ-ნელა სტომაქის კედლებს და მოულოდნელად ერთ ხვრელს წააწყდნენ. ყველა იქითკენ მიეშურებოდა.

*) სტომაქის წვენის დენას, როგორც ამ უკანასკნელ ხანს მეცნიერებმა გამოიკვლიეს, ძლიერ ხელს უწყობს თვით საჭმლის კარგი გემო, მისი სასიამოენო სუნი და შეედულებაც-კი.


— ეს რა ამბავია? რატომ არ გვიშვებენ? — ჯავრობენ ლუკმები.

— ასეა ბრძანება ბატონ სტომაქისა. არც ერთი დიდი
ლუკმა არ უნდა გაუშვა. აქ დარაჯათ ვსდგევარ და სტომა-
ქის გასავალს ვრცავ, ამიტომ კარის მცველს ანუ გეკარეს მეძა-
ხიან,—ეუბნებოდა რგოლის მსგავსი ნაოჭი, რომელიც უცებ
მოიკუმშა და ხერელის პირი დაკრია.

— დაბრუნდით უკან! — გაიძახოდა მეექარე. — როცა სტო-
მაქის წვენში კარგად მოითქვიფებით და თხელ ფაფად გარდაი-
ქცევით, მაშინ ყველას სიამოვნებით გაგიშვებთ, გზასაც და-
გილოცავთ. ახლა-კი, რა გაეწყობა, რას იზამთ, უნდა მოი-
ცალოთ!

სტომაქის წვენბა თავისი საქმე რიგიანად შეასრულა: ყველა ღიღრონი ლუკმები, იმათ შორის ჩვენი ლუკმებიც ფაფას დაამსგავსა. ამ ღროს სტომაქის გასავლის კარებიც გაიღო და საჭმლის ფაფაც ნაკადულივით გაექანა სტომაქიდან.

— ვაშა! ახლავე განვთავისუფლდებით! — ფიქრობს აღტა-
ცებით ჩვენი მარცვალი და ჩქარობს დანარჩენებთან ერთად
სტომაქილან გავიდეს.





III

ნაწლევები და ღვიძლი

აგრამ იმედი მალე გაუცრუვდათ. სრულ თავისუფლებას ვერ ედირსნენ, მხოლოდ სტომაქიდან გადავიდნენ სხვა რბილ მილში—ნაწლევებში.

— როდის მოედება ყველა ამას დასასრული?—გაიძახის ბრაზ-მორეული მარცვალი.


— ეჭ, ჯერ ადრეა!—უპასუხა მეზობელმა. ჩვენ ჯერ კიდევ ნაწლევების სათავეში ვართ. ახლა ვიმუოფებით წვრილ ნაწლევებში, ხოლო მთელი ნაწლევი ძლიერ გრძელია; იდა-მიანზე ოთხჯერ, ხუთჯერ უგრძესი, მაგრამ მის გვამში მხოლოდ იმიტომ თავსდება, რომ ხვეულად და ნაკეც-ნაკეცად არის ჩაწყობილი.

რათა ერთმანეთში არ აირივნენ და არ გადიხლართონ, თხელი გარსი აქვთ შემოფარებული, რომელსაც მუცლის აპკა ანუ ფარს ეძახიან; ასე რომ ჩვენ ჯერ კიდევ გრძელი გზა მოგველის. ამიტომ გირჩევ დიდი მოთმინება იქონიო.

ძლიერ მოასწრო სიტყვის თქმა, თავს გადაასხეს რაღაც ისეთი რამ საძაგელი და საზიზღარი, რომ ჩვენს მარცვალს კინალამ გული არ შეუწუხდა. ის იყო რაღაც მწარე, ლორწონიანი, მძიმე სითხე, მომწვანო-ყვითელის ფერისა.

— ეს რა საზიზღრობაა! — წაიღუდუნა ძლიერ გონზედ მოსულმა მარცვალმა.

— ნაღველაა,— მიუგო კიდევ ვიღაცამ:— სტომაქს ცოტა ზემოდ, მარჯვენა მხარეს, დევს დიდი, შავ-მოწითლო ფერის ჯირკვალი, სახელად ღვიძლი (სურ. 4). აი ამ ღვიძლში მზა-



სურ. 4.—საჭმლის მოსანელებელი ორგანოები ადამიანისა.

1. საყლაბავი მილი. 2. სტომაქი ანუ კუჭი. 3. ტყირპი ანუ ელენთა. 4,9—მსხვილი ნაწლევი. 5. სწორე ნაწლევი. 6,8—ღვიძლი, მოსხიანი კან მონაგალი ნაღვლის საფენი მილი, რომელიც შემოიერთებს ნაღვლის ბუზტის (7) მილს და ერთვის თორმეტ-გოჯა ნაწლევს.

დღება ნაღველა, რომელიც აქედან განსაკუთრებულის წვრილის მილით წვრალ ნაწლევის სათავეში ჩადის. სწორედ იმ ალაგას, სადაც ნაღველა ერთვის, ამავე ნაწლევში ცალკე მილით შემოდის სხვა გვარი სითხე და სახელად პანკრეატული წვენი ჰქვიან. ეს წვენი მზადდება სტომაქის უკან მდებარე ერთნაირ მოგრძო ჯირკვალში, რომლისთვისაც სახელად პანკრეასი დაურქმევით. ზოგი კი სტომაქის უკანა ჯირკვალს ეძახის, ხოლო იმ ნაწლევს, რომელშიაც ამ ორ ჯირკვალთა წვენი შედის, თორმეტ გოჯა ნაწლევს ეძახიან, რაღგანაც სიგრძით თორმეტ გოჯს, თორმეტის თითის დადებას უდრის.

— მერე ჩვენ ასე რისთვის გვაწვალებენ? — იძახოდა გულ-მოსული მარცვალი.

— რა მოუთმენელი ხარ? ნუ დაგავიწყდება, რომ ადამიანის გვამში მოჰქვდი.

— სამწუხროდ, მართალს ამბობ, — ამოიოხრა ჩვენმა მარცვალმა.

— ხომ იცი, ადამიანი პატარა სახელმწიფოა და ყველა წევრი ვალდებულია იმუშაოს და რაიმე სარგებლობა მოუტანოს.


— მე რომ მუშაობა არ ვიცი?!

— არა უშავს რა! იცოდე — არც ერთს ჩვენგანს ჯერ არაფრის გაკეთება არ შეუძლიან. ვიდრე სასარგებლო და გამოსადეგ მუშა-მოსაქმედ გადავიქცეოდეთ, უეჭველად საკიროა წვენი გადაქმნა თხელ წვეთებად. მგონია უკვე მიჰევდი, რომ რასაც ჩვენ აქ გვიშვრებიან, სულ იმისათვის არის. ჯერ პირში დაგვარბილეს ნერწყვის და კბილების შემწეობით, სტომაქში სტომაქის წვენმა თხელ ფაფად გვაქცია, აგერ ნაღველაც თავს გადაგვესხა და გახსნას, მთლაც დაშლას ემუქრება საქმლის იმ ჯიუტ ლუქმებს, რომლებსაც კუჭის წვენმა ვერა დააკლო-რა. უნდა მოგახსენო, რომ საქმელი, რომლითაც ადამიანი საზრდოობს, ბევრნაირია და სხვა-და-სხვა ნივთიერებისაგან შესდგება. მაგალითად: ხორცი, პური, ყველი, კვერცხი და სხვა; ყველა ეს ადამიანის საზრდოა,

მისი გამოსაკვები საშუალებაა, მაგრამ თვითონული ამათ შორის თავისთავად რთული ერთოული, რთული სხეულია. ხორუი, მაგალითად, შეიცავს წყალს, ცილას, ქონს (ცხიმს) და მარილს; პური—წყალს, ცოტაოდენ ცილას, ბევრს სახამებელს და კიდევ სხვა ნაწილს. ყველა ამას საკვებ ნივთიერებას ეძახიან; ცილა, ცხიმი, სახამებელი, ზაქარი—საკვები ნივთიერებაა. სტომაქის წვენი უმეტეს ნაწილად მოქმედობს საჭმლის ცილაზე, ესე იგი ინელებს და ჰხარშავს ცილოვან ნივთიერება. ნერწყვი, როგორც წინადაც ესთქვით, საჭმლის ლუკმას აგუფთავებს და შიგ მოთავსებულ სახამებელს ჟაქრად აქცევს, ხოლო საჭმლის ცხიმის მოხარშეა-მონელება ნაღველისა და პანკრეატულ წვენის ზედგავლენით სწარმოებს თორმეტ-გოჯა ნაწლევები. ლუკმის ყველა ის ნაწილი, რომელიც აქაც მაგარი იქნება და უცვლელი გადარჩება, გარეთ იქნება გაძევებული, როგორც უვარგისი და გამოუსადეგარი ნივთიერება, (სურ. 5), თხელი წვეთები კი სამუშაოდ წავლენ და მთელ სხეულში დაიფანტებიან.

— რამდენიც ენებოთ, იმდენი იმუშაონ, მე კი, სწორე გითხრა, მუშაობა არ შემიძლიან და არცა მსურს,—სთქვა მარცვალმა და გასწია ქვევით. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მისი მოსაუბრე მართალი იყო: რაც უფრო ქვეით-ქვერთ მიღიოდა, მით უფრო საჭმლის ფაფა მეტად თხელდებოდა, შემთხვევით ჩამოვარდნილი ლუკმის პატარა ნაჭრები თვალსაჩინოდ რბილდებოდნენ, იხსნებოდენ ნაღველისა და პანკრეატულ წვენის ზედგავლენით, რომელნიც აქ ყოველ მხრივ თავს ესხმებოდათ. მალე მარცვალმაც იგრძნო, რომ იმასაც კარგი რამ არ მოელოდა, ძალიან გაიუღინთა, დარბილდა, გარე ნაწილები ცოტად თუ ბევრად ჩამოშორდა და ნაწლევების წვენს შეუერთდა. ცხადია, ისიც იმავე ბეღისა ყოფილა, როგორც სხვანი და ისიც თხელ წვეთად უნდა გადაიქცეს.


ამ ნაღვლიან ფიქრებში გართულს ჩვენს მარცვალს არც კი შეუმჩნევია, რომ ნაწლევის კედელს მიუახლოვდა.



1. მაგარი და ობილი სასა.
2. ტუჩები.
3. ენა, ზემოდან მოსჩანს პირას სილრუვე მომსხო შავი ხაზივით.
4. ხახა.
5. ხორხი.
6. სასულე.
7. საყლაპაფი მილი.
8. სტომაქის პირი.
9. სტომაქი.
10. სტომაქის გასავალი ყელი, მეკარე.
11. თორმეტ-გოჯა ნაწლევი.
12. წვრილ ნაწლევი.
13. წვრილ ნაწლევის შესართავი.
14. ბრმა ნაწლევი.
15. ბრმა ნაწლევის კუდი ანუ ჭიაყელას მსგავსი ნაწლევი.

საჭმლის მოსანელებელი ორგანოები აღამიანისა (სქემატიურად).

უეცრად ჰედავს, ნაწლევების მთელი კედელი დაფარულია მოკლე, მაგრამ წმინდა და ხშირ ძაფებით, ასე რომ




სურ. 6.—წვრილ ნაწლევის სახე, სიგრძეზე გაკვეთილი. ზემოდ მოსჩანს ბუსუსები, სათდანაც გამოდის ბადესა-ვით დახლართული მრავა-ლი პარაჭინა მილი.

პირველ შეხედვით ხავერდს მოგა-გონებს. (სურ. 6) ეს ძაფები, რო-მელთაც ბუსუსები ანუ ხაო ჰქვიანთ, როგორც აღმოჩდა, თურმე ისგამენ, ისუტავენ სიზუსტესაჭმლის ფაფისაუნ. ამიტომ წვრილ ნაწლევის ბოლოში ფაფა უფრო გასქელდა, მარცვა-მაც წვრილ ნაწლევრდგან მსხვილ ნაწლევეში გადაინაცვლა. ამ ნაწლე-ვის დასაწყისს ბრმა ნაწლევი ჰქვიან, ხოლო მის ბოლო ნაწილს სწორე ანუ უკანა ტანის ნაწლევს უწოდე-ბენ*). მეხვილ ნაწლევების ზემო ნა-წილის შიგნითა კედლები კიდევ და-ფარულია ბუსუსებით, მაგრამ რამდე-ნიც ქვევით და ქვევით მიღის, ბუ-

სუსი კლებულობს, თხელდება; ამიტომ ამ ნაწლევების ეს ნა-წილი საჭმლის ფაფასაც ნაკლებ შეიკრებს და შეისუტავს. სწო-რე ნაწლევეში იკრიბება საჭმლის ცველა ის ნაწილი, რომელიც გამოუსადევებარი და უსარგებლო აღმოჩნდა და რომელიც შემდეგ სხეულის გარედ უნდა განიდევნოს. ჩვენს მარცვალს სწორე ნაწლევამდის არც კი მიუღწევია. გადინაცვლა თუ არა წვრილ ნაწლევებიდგან მსხვილში, იგრძნო, რომ მისი ნაწილები ერთ-ბაშად ერთი-მეორეს დაშორდა და ნაწლევის წვენს შეერია, ასე რომ, მისდა უნებურად, გადაიქცა მოთეთრო სითხის წვეთად.

— თეოდა —

*) ბრმა ნაწლევს ქვემოდ პატარა კუდი აბია, რომელიც გარეგნობით კიაყელასა ჰგავს, ამიტომ ამ კუდს კიაყელის მსგავს ნაწლევს უწოდებენ. რა მნიშვნელობა აქვს ამ დანამატს, ჯერ სწავლულებს არ შეუტყვიათ; ეს კი ვიცით, რომ საჭმლის მონელებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს.



~~10/677
75~~

IV


სისხლი, არამერიკული და ვენები.

 მ გვარად ჩვენის პურის მარცვალი ახლა მარცვალი აღარ არის, არამედ პატარა თეთრი წვეთია. რაღაც საიდუმლო ძალა იზიდავს ამ წვეთს ბუსუსების კენ. წვეთი თანდათან უახლოვდება ბუსუსებს; აი, კიდეც შეეხო და უეცრივ ამ წვეთის ყველა ნაწილი ზედიზედ, ერთი მეორეზე ნაწლევიდგან ან ბუსუსებში შეიხიზნა და იქიდგან რაღაც წვრილ მილში გასხლ-ტა. ეს მილი ბეწვზედ უფრო წვრილია. შიგ მისვლა-მოსვლა მეტად მოუხერხებელია, მაგრამ მალე ცოტაოდნად განზე გაი-წევს, განიერდება, ასე რომ შეიძლება ოდნავ მაინც თავისუფ-ლად მიიხედ-მოიხედო. ჩვენს წვეთს გარდა, ამ მილში ბევრი სხვა წვეთიც არის, რომელთაც აქ ამავე ბუსუსების შემწეო-ბით მოუღწევიათ. როგორც აღმოჩნდა, თურმე თვითეულ ბუსუსში მოთავსებული ყოფილა მეტის მეტად წვრილი მილი, წრბოლის მილი (სურ. 7). შემდეგ ეს მილები ერთად შეერ-თდებიან, ერთი მეორეს ჩაერთვიან, განიერდებიან და ბოლოს ერთ საერთო და საკმაოდ განიერ მილად გადაიქცევიან. წვრი-ლის მილების ხეეული წვეთებმა მალე გაირჩინეს და მიაღწიეს ერთ განიერ მილს, რომელსაც სახელად მკერდის სადინარი ჰქვიან.

— მალე სისხლის სადენ მილებს ანუ ძარღვებს შევხვ-დებით, — მოულოდნელად უთხრა ჩვენს წვეთს მისმა მეზობელ-ი, როცა სამკერდე სადინარს მიაღწიეს.

— სისხლის სადენი მილები? ვგ რაღა? — გაიოცა წვეთია.

— ისინი თითქმის ისეთივე მიღები არიან, რანაირშიაც ეხლა ჩვენ ვიმუოფებით და ვმოძრაობთ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ავსებულნი არიან განსაკუთრებულ წითელ სითხით — სისხლით.



სურ. 7.—წვრილ ნაწლევის ბუსუსის წვერი.

(სურათი ძლიერ გადიდებულია). გარედამ წყობრიდ ჩაწყობილი მოსხანს უჯრები, რომელიც ბესტეს პერიოდს, ზიგადა-შიგ ვხდით მრავალ დახლართულ ბეწვისებურ სისხლის სადენ მიღებს, შეაშა მოგრძო ჭავის ხაზივით მოსხანს წრბოლის მიღები.

— სისხლი სწორედ იმ მუშაკ წვეთებისაგან შესდგება, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში ადამიანის სასარგებლოდ იღწვიან და შრომობენ, ასაზრდოებენ და ათბობენ ადამიანს, ხოლო სისხლის მიღები ჰგვანან, მაგალითად არხებს, გზებს, მდინარეებს, რომლებითაც სისხლის წვეთები სამუშაოდ მიღი-მოდიან. ამათ ზოგიერთნი სისხლის ძარღვებს ეძახიან. ადა-მიანის სხეულში არ მოიპოვება ისეთი ალაგი, რომელსაც ამ პატარა წვეთების შრომა არ ესაჭიროებოდეს; მართლაცა და, ჩვენს სხეულში ისეთ ალაგს, ისეთ კუნჭულს ვერ მოსძებნით,

რომ სისხლი არ იყოს. იმ ძარღვს, რომელშიაც ახლა ჩვენ
ჩავალთ, ჩავსდინდებით, სახელად ვენა ეწოდება.

საზოგადოდ ვენას იმ სისხლის სადენ მილებს ეძახიან,
რომლებითაც სისხლი გულისაკენ მიისწრაფის, მიმდინარეობს,
ხოლო იმ მილებს, რომლებითაც მოედინება გულიდან გამო-
სული სისხლი, ჰქვიან არტერიები. ყველა ამათ მალე თქვე-
ნისავე თვალით ჰნახავთ.

— აი, ვენაც! — წამოიძახა უეცრივ თეთრმა წვეთმა.

ვენაში შესვლა ვერც კი მოასწრეს, რომ ყოველ მხრივ
შემოეხვივნენ მუქ-წითელის ფერის წვეთები.

— ოჟ, ახალი მეგობრები! — წამოიძახეს გახარებულებმა: —
მშვიდობა თქვენსა მობრძანებასა. ერთად მუშაობას უფრო
შეტი ხალისი აქვს. წითელმა წვეთებმა უფრო და უფრო ძლიერ
შეავიწროეს. ჩვენი წვეთი ჰერძნობდა, რომ მისი ნაწილები
შეერთა და შეუერთდა წითელ წვეთების ნაწილებს. სისხლის
წვეთები შეუსვენებლივ ყედობდნენ.

— ახლა ჩვენ ხომ ბებრუცუნები ვართ, — ამბობდა ერთი
მათგანი: — უკვე ერთხელ შემოვიარეთ მთელი სხეული, ვას-
ვით, ვაჭამეთ და გავათბეთ, ახლა კი ცოტა უნდა დავისვენოთ,
ახალი ძალ-ღონის მოკრების თაღარიგს უნდა შეუდგეთ. კარგა
გინებებიათ, რომ მოსულხართ ჩვენდა გამოსაკვებად, თორეშ
საკმაოდ მოვიქანცეთ, მოვილალენით.

ჩვენი მგზავრი ყურს უგდებდა წვეთს და უკვირდა. წითე-
ლი სისხლი დალლილობას ჩიოდა, მაგრამ ყველა მისიანნი-კი
მხნედ და მხიარულად გამოიყურებოდნენ და მარდად დახტო-
რნენ. წვეთებმა ისე ხალისიანად იმუსაიფეს თავიანთ შრომის
შესხებ, რომ ჩვენმა მგზავრმა თვითონვე მოისურვა, მალე შეს-
დგომოდა სამუშაოს.


— მალე დავიწყებთ მუშაობას? — ეკითხებოდა წითელ
წვეთს ცნობის მოყვარულობით გატაცებული. წითელ წვეთს
პირს ღიმილი მოადგა.

— მოითმინეთ, ჯერ კიდევ მოესწრობით, ხომ იცი ამ
წუთში მივდივართ ჩვენს დედა ქალაქში ე. ი. გულში. როცა
იმასა და აგრედვე ფილტვებს მივივლ-მოვივლით, მაშინ ყველა

ერთად მოვკიდებთ ხელს მუშაობას. თქვენ ჯერ კარგად არც კი გასცნობიხართ ახალ მეგობრებს.

— დღიუ, მართალია. ჯერ რიგიანად არც კი მიმიხედ-მომიხედნია,—დაეთანხმა ჩვენი წვეთი, მაგრამ იმ ვენას, რომლითაც მომდინარეობდნენ, არავითირი დათვალიერება არ უნდოდა. ის იყო სულ უბრალო, რბილი და თხელ-კანიანი მილი. შიგნითა მისი პირი სადა იყო. ჯერ ხანად ჩვენმა წვეთმა ამის მეტი ვენის აგებულობაში ვერა შეამჩნია რა და თავის გარშემო მყოფს წვეთებს დაუწყო სინჯვა.

როცა სისხლი ყურადღებით დაათვალიერა, ძლიერ გაუკვირდა, რომ სისხლი არც ისე წითელი აღმოჩნდა, როგორც პირველ შეხედვით მოსჩანდა.



სურ. 8.— როგორ გვეჩვენება ადამიანის წვეთი სისხლი მიყრასკოში.

მოსჩანს მრავალი ურიცხვი წითელი ბურთული სხვადა სხვა სახისა. ზოგი რგვალია, ზოგი უზალთუნებივით ზეღიზედ ჩაწყობილია, ზოგიც ბისკვიტებსა ჰგავს, თუ გვერდიდან დაფსცერით. მარჯვნივ სურათის კიდეზე ვხედავთ თეთრ ბურთულს.

წილი ჩაჭრულებილია. ეს სისხლის რომ ერთ კუბ მილიმეტრ სისხლში 5 მილიონამდეა. რადგა-

სისხლი თითქმის უფერული სითხეა, რომელშიც დასცურავს აუარებელი რიცხვი პაწაწა სხეულთა. თვითეული ამ სხეულთაგანი ფერად მოყვითანოა და ოდნავ ვარდის ფერი დაჰკრავს. ამიტომ როცა ბევრსა ვხედავთ, ერთად შეგროვილს, წითლად გვეჩვენება. სისხლის ცველა მჭიდრო ნაწილი თავის გარეგნობით მოგვაგონებს ბრტყელ სორსლებს ან წვრილ ფულს, რომელთა შუა-გული ნაწილები ისე პატარებია,


ნაც ეს სხეული სისხლს წითელ ფერს აძლევს, ამიტომ სისხლის წითელ ბურთულას ეძახიან (სურ. 8. და 9).

წვეთმა მაღვე შეამჩნია სისხლში კიდევ სხვა მოთეთრო სხეული, წითელ ბურთულებზედ 2—3 ჯერ უდიდესი; ამათი რიცხვი სისხლში წითელზედ უფრო ნაკლები ყოფილა, როგორც ბოლოს გაიგო წვეთმა. 500 წითელ ბურთულაზედ ერთი თეთრი მოდის. სისხლის თეთრი ბურთულები მუდამ იცვლიდნენ თავის გარეგანს სახეს: ხან გამოუშვებდნენ თავის ტანიდგან გრძელ-გრძელ შტოებს, ხან შეიკუმშავდნენ. აი, წვეთის მახლობლად ნელ-ნელა მოიხლაზნება თეთრი ბურთულა; წვეთმა თვალის გადავლება ვერც-კი მოასწრო, რომ ბურთულამ უეცრად შტოები გამოსწია, თითქოს თითებიაო და სულ მთლად ხელთათმანს დაემსგავსა, მაგრამ ერთს წუთას ეს ხელთათმანი პაწაწა ვარსკლავს მოგაგონებდათ (სურ. 10). — რა მშვენიერებაა! — წამოიძახა ალტაცებით წვეთმა.

— იყი, — გამოეხმაურა ვილაცა წვეთს, — რომ პაწაწა თეთრი ბურთულები, რომელთაც აგრე ეალერსებით, ჩვენი ერთგული დამცველი მხედრობაა.

— ნუ თუ მართლა? — გაოცებით იკითხა წვეთმა.

— აი, დაუგდეთ ყური. დედა-მიწაზედ არიან ისეთი პაწაწა მცენარენი, რომ თვალით ვერ დაინახავს აღამიანი სიბატარავის გამო. მხოლოდ გამადიდებელ შუშის შემწეობით შეიძ-



სურ. 9.—აღამიანის სისხლი.

უფრო გადიდებულია ვილე მე-8 სურათი. а — წითელი ბურთულები. б — წითელი ბურთულები. როცა გვერდიან დაესცერით. ც — წითელი ბურთულები უზალთუნებ-ვით ზედიზედ გაწყობილი. დ — თეთრი ბურთულები.


ლება იმათი დანახვა. ამ შუშას ჰქვიან მიკროსკოპი. არის ისეთი მიკროსკოპი, რომელიც საგანს ასჯერ და ათასჯერ გაადიდებს, რომ უფრო ადვილად დაინახო. ეს მცენარენი, რომელთაც სახელად ბაქტერიები ჰქვიან, მტვერთან ერთად ჰაერ-



სურ. 10.—თეთრი ბურთული (ა), რომელიც მრავალნაირად იცვლის თვის სახეს.

ში დაჰქრიან და ხშირად აღამიანის გვამში ჩადიან. ბევრი ბაქტერია სრულიად უვნებელია, მაგრამ ბევრია ისეთიც, რომელიც აღამიანს სხვა და სხვა სენს უჩენს და ხშირად წუთისოფელსაც კი ასაღმებს. მაგალითად, არის განსაკუთრებული ჩხირის მსგავსი ბაქტერია, რომელიც აღამიანს ჭლექს უჩენს. არც ხუნაგისა, სახალისა, ხოლერისა და სხვა მოარულ სენის გამომწვევი ბაქტერია. როცა ეს ბაქტერიები აღამიანის სხეულის ქსოვილებში ჩავლენ, სწრაფად იწყებენ გამრავლებას და აღამიანს სიკედილის პირად მიაყენებენ; მაგრამ გაჩნდებიან თუ არა ბაქტერიები აღამიანის სხეულში, თეთრი ბურთულები ათასობით გამოვლენ სალაშქროდ; თითქოს ომში წასვლის ბრძანება მოსვლიათო, მიისწრაფიან ბრძოლის ველისაკენ, დაძრებიან სისხლის მილში (სურათი 11), თავს ესხმიან ბაქტერიებს, ყოველ მხრიდან გარს ერტყმიან და ჰნთქავენ. აი ამიტომა, რომ თეთრ ბურთულებს თავის გარეგანის სახის გამოცვლის უნარი აქვთ. ეს საჭიროა მათვეის, რათა მტრებს

უკეთ გაუმტკლავლნენ. ცუდი დღე დაადგებოდა ადამიანს, რომ მის სხეულში ეს პატარა ბურთულები არ ყოფილიყვნენ. ისინი მამაცურად იცავენ ადამიანის სხეულს და იხოცებიან გმირულად. აი რა თვისებისანი არიან თეთრი ბურთულები,—დააბოლოვა თავისი ამბავი პატარა წვეტმა.



სურ. 11.—სისხლის მრავი. შიგ ვხედავთ წითელს და თეთრ ბურთულებს, ერთი მათგანი მილიდან გარედ გამოსულა, ხოლო სამს მილის კედელი გაუხვერეტიათ და გამოსვლას აპირობენ, აქა-იქ წითელი ბურთულებიც მოსჩანს.

როცა ჩვენმა მგზავრმა გაიგო, რა დიდ სარგებლობას აძლევენ ადამიანს თეთრი ბურთულები, კიდევ უფრო მეტის ყურადღებით დაუწყო დათვალიერება, მეტის გულდადებით დაუკვირდა ყველაფერს, რაც კი მის გარშემო იყო. ვენა, რომელშიაც ის მომდინარეობდა თავის ამხანაგებით, მოგაგონებდა დიდ ქალაქის ქუჩას. თეთრი და წითელი ბურთულები თითქოს ქუჩაში მოსიარულე, მოსაქმე ხალხიაო, სადლაც მიეშურებიან, მიისწრაფიან; ხან და ხან ერთ წუთას ჟეჩერდებიან, თითქოს ეჭვობენ, განვაგრძოთ გზა თუ არაო, შემდეგ ხელ-ახლა გაექანებიან. ყველაზედ უფრო ჩქარა წითელი ბურთულები დახტიან, თეთრები კი უფრო ნელა, უფრო ზანტად მოძრაობენ და უმეტესად სისხლის მილის პირს

მიჰყებიან. წითელ და თეთრ ბურთულებს გარდა, წვეთმა სისხლში მაღლ რაღაც სხვა მცირე ნაწილები შეამჩნია. მაგრამ ვერ გაიგო, რისთვის და საიდგან მოხვდნენ აქ. ამის განსა-მარტებლად ისევ იმავე წვეთს მიჰმართა, რომელიც ამას წინად სისხლის თეთრ ბურთულების შესახებ ალაპარაკა და ასაუბრა.


— უკვე გეცოდინება,— მიუგო მან — რომ ის სისხლის წვე-
თები, რომელებსაც ვენაში შევხედით, ჩვენზედ ბევრად ხნიერნი
არიან. მათ უკვე იმუშავეს ადამიანის სასარგებლოდ, არა თუ
მარტო ასვეს, აკამეს, გაათბეს ჩვენი სხეული, არამედ კიდეც
შეკეთეს, განაახლეს ყოველივე, რაც მოძველდა, წახდა და
დაიფლითა; მიაწოდეს სხეულს ზოგიერთი თავისი ნაწილები,
გამოაცალეს და წამოიდეს მისგან ის, რაც აღარ ესაჭიროე-
ბოდა, რაც ახლა არაფერს არგებდა და მხოლოდ ზიანს მოუ-
ტანდა. აი ამ სხეულისათვის უგარგის და მავნე ნაწილებს
ამჩნევ აქ ახლა. ამ ნაწილებმა სისხლი აამდვრიეს და სიწითლე
დაუკარგეს. ამ ნაირი სისხლი სამუშაოდ აღარ ვარგა, უთუოდ
ხელახლა უნდა გაიწმინდოს და გასუფთავდეს.

— რა ნაირად მოხდება ეგ? — ჰეითხა ჩვენმა წვეთმა.

— მაგასაც მაღლ შეიტყობ. ჯერ კი დაიხსომე, რომ
გაფუჭებულ სისხლს ეძახიან ვენის სისხლს ანუ შავ სისხლს,
ხოლო გაწმედილ, ალისფერ, ჯერ მუშაობით მოუქანცველს.
არტერიის ანუ წმინდა სისხლს უწოდებენ.

ჩვენი წვეთი ისე გაიტაცა ამ საუბარბა, რომ ვერც კი
შეამჩნია, როგორ მიაღწია ვენის ბოლომდე.





V

გული

ვეთთა შორის უეცრად ასტყდა რაღაც არა-ჩვეულებრივი ჩოჩქოლი და ლაპარაკი.

— გული! გული! ისმოდა ყოველ მხრიდან ყვირილი.
— გული! ჩვენს წვეთს მეორედ შემოესმა ეს სიტყვა.
— რა არის ეს გული? ჰკითხა მან თავის მოსაუბრეს.
— როგორ? ნუ თუ არ იცი, გული რა არის? — გაკვირვებით და თითქმის დაცინვის კილოთიც-კი წარმოსთქვა მან. გული ყველაფერია! ის გვისტუმრებს სამუშაოდ, ის გვაძლევს ძალას მთელ სხეულში სამოძრაოდ. მხოლოდ იმის წყალობით ვასაზრდოებთ სისხლის წვეთები აღამიანს, ვაწვდით სითბოს, ვაახლებთ და შევაკეთებთ ხოლმე სხეულის გაცვეთილ და შელახულ ნაწილებს. უგულოდ და უსისხლოდ აღამიანი ვერ იცოცხლებს. სირცხვილია — არ იცოდე, რა არის გული; დიდათ დავალებულია მისგან აღამიანი!

— ი, გესმის? წარმოსთქვა უეცრივ წვეთმა. ჩვენმა მგზავრმა ყური დაუგდო. „ტაკ-ტუკ!“ მოისმოდა რაღაც ახირებული ხმა.

— ეს რა არის?

— ეგ ის არის, რომ გული ეგებება ჩვენს ამხანაგებს, რომელნიც ჩვენზე წინად იყვნენ წასულნი.

— „ტაკ-ტუკ!“ გაისმა კიდევ უფრო ხმა-მაღლა, უფრო ძლიერ.

ამ წუთს სისხლის ბურთულები ერთ კარს მიადგნენ, ეს კარი უცრად გაიღო და სისხლის ბურთულებმა გულში ამო-

ჰყვეს თავი. გული პარკი-

ვით არის, რომელსაც კუ-

თების მოსქო კედლები

აქვს (სურ. 12). ზომით

ადამიანის მუშტის ოდენა

იქნება. გარედან გულს

ახვევია თხელი, სიფრიფანა

გარსი. ამ გარსს სახელად

გულის პერანგი ჰქვიან.

შიგნით გული ოთხ უჯრად

არის გაყოფილი და ძრიელ

ჰყავს ორ სართულიან პა-

ტარა სახლისა, რომლის

თვითოეულ სართულში

ორ-ორი ოთახია. თვი-

თოეულ ზემო ოთახს შემო-

ლოდ მის ქვეშ მდებარე

სართულის ოთახში აქვს

გასაფალი კარი, ასე რომ

ზემოთა მარჯვენა ოთახი-

დან მროლოდ ქვემო ოთახ-


ში ჩასვლა შეიძლება, ხო-

ლო ზედა მარცხენა ოთა-

ხიდან მარტო ქვედაში. ორ

ზემო ოთახს ჰქვიან წინა-

გული; ორ ქვედას კი პარ-



სურ. 12.—გულის გარეგანი სახე
წინამხრიდგან.

1 და 2 მარცხენა და მარჯვენა პარკუტები.

3 და 10 მარცხენა და მარჯვენა წინაგული და მათი ყური. 4 ფილტვის არტერია. 5 ფილტვის ვენა. 6 აორტი. რომე-

ლიც რეალივით მონაცემი მოსჩანს, მის-
გან გამოსდინ: 7 ძილიად მიმეუვი არტე-

რია, მის გარჯენი მარცხენა ლივების ქვეშა
არტერია. 8 უსახელო არტერია. 9 ცედა
ღრუ ვენა.


კუჭას ანუ კოკობს ეძახიან. თითოეულ წინაგულს თავისი ყუ-
რი აქვს, რომელსაც გულის ყური ჰქვიან. კარები, ანუ რო-
გორც უწოდებენ, სარქველი აერთებს წინაგულებსა და პარ-
კუჭებს (სურ. 13). ეს კარ-სარქვლები ისეა მოწყობილი, რომ

მხოლოდ ერთ მხარეს იღება, ესე იგი პარკუტისაკენ, ხოლო
ამავე გზით უკან დაბრუნება-კი აღარ მოხერხდება.

გულის კარ-სარქველს

რომ ზემოდან დაწვე, იმ
წამსვე გაიღება, ხოლო,
თუ ქვემოდან მოაწვები,
მაშინვე მიიხურება და რავ-
დენადაც ძლიერ მიაწვები,
იმდენად უფრო ძრიელ
მიიხურება.

ვენიდან წვეთებმა კარ-
სარქველი დასწიეს და მარ-
ჯვენა წინაგულში შევიდ-
ნენ. შესვლის უმაღ მოის-
მა იგივე ხმა, იგივე ძერა
„ტაკ.“ წინაგული ერთ-
ბაშად მოიკუმშა, თითქოს
ვისმე გარედან ხელი მოე-
ჭიროს. კვლავ აქ დარჩე-
ნა შეუძლებელია, საში-
ნელი ვიწროობაა, მაგრამ
სად უნდა წახვიდე?!.. მი-
ვარდნენ ნაცნობ კარ-სარ-
ქველს, რომ უკანვე დაბ-
რუნებულიყვნენ ვენაში,
მაგრამ ამაოდ. კარ-სარქველი მხოლოდ წინაგულისაკენ იღე-
ბა; რავდენადაც მეტს აწვებიან წვეთები, იმდენად სარქველი
უფრო ძრიელ იხურება. გასაგალის საპოვნელად წვეთები ქვე-
მოდ დაეშვნენ. იმ წამსვე სარქველი გაიღო და წვეთები ჩაი-
ღნენ დაბლა სართულში, მარჯვენა პარკუტში. აქაც მხოლოდ
მოკლე ხნით, ერთ წუთს შეჩერდნენ, კიდევ გაისმა „ტაკ“,
მარჯვენა პარკუტი ძლიერ მოიკუმშა და წვეთებმა კვლავ
გასაგალის ძებნა დაიწყეს.



— გული მაინცა და მაინც სტუმრის მოყვარული არ ყოფილა, — ეუბნება ჩვენი წვეთი მეზობლებს.

— ლროს ნუ ვკარგავთ, უნდა მალე სამუშაოს მოვკიდოთ ხელი! უპასუხებს რომელიდაც სისხლის წვეთი და ყველა ერთად მივარდებიან იმ კარს, საიდანაც ეს-ეს იყო შემოვიდნენ. მაგრამ ტყუილია! მისი გაღება ყოვლად შეუძლებელია; მაგრა მისმა ამხანაგებმა უკვე სხვა კარი იპოვნეს და ყველანი ერთად პარკუჭიდან გაიქცნენ. კიდევ სისხლის სადენ მილში მოჰყვნენ.

— უეპველია, ეს არტერია იქნება, იმიტომ რომ ახლა გულიდან გავრბივართ, -- მოისახრებს ჩვენი. მგზავრი და თან იგონებს ადრინდელ ბაასს.

არტერია რამდენადმე განიჩქევა ვენისაგან: ერთი რომ არტერიას ვენისებრ რბილი კედლები როდი აქვს, არამედ უფრო მკვრივი, უფრო მოქნილი; მეორე ის რომ არტერია განუწყვეტლივ ხან იკუმშება და ხან განიერდება, სწორედ ისე, როგორც გული.

— საით მიეცეურებით! ჰეითხულობს წვეთი და თან კინალამ უკან არ ჩამორჩა თავის ამხანაგებს, რომელნიც აქ, არტერიაში, უფრო მარტივ გარბოლნენ, ვიდრე ვენაში.

— ფილტვებისაკენ მივემგზავრებით, — მიუგო ვილამაც: — იქ თადარიგი უნდა გავწიოთ, უნდა მოვამზადოთ ყოველივე, რაც კი საკიროა შრომა-მუშაობისათვის და შემდეგ მგზავრობისათვის. სტომაქმა მისცა სისხლს ახალი მუშაკი, შეკმატა ძველებს ძალა, მაგრამ რა გამოსადეგია მუშა, თუ იარალი და ხელსაწყის არ გააჩნია? რად ვარგა კალატოზ-დურგალი, თუ ასაშენებელი მასალა აკლია, ან მზარეული, თუ სადილისთვის სანოვაგე არ მოებოვება? როგორ მოამზადებს ასეთი მზარეული სადილს? სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვართ ჩვენც, წვეთები, ამ საათში და დურგლობაც და მზარეულობაც-კი უნდა ვიკისროთ. იი ამიტომ ახლა ფილტვებისაკენ მივეჩქარებით, რათა საჭრო თადარიგსა და სამზადისს შეუდგეთ. გარდა ამისა, გვაქვს ბევრი სხვა-და-სხვა ნაკერ-ნაფლეთი, რომელიც არას

გვარგია, ვერაფრად ვერ გამოვიყენებთ. უველა ეს აქ უნდა დავსტოვოთ. ფილტვები სავაჭრო სახლია, სადაც ჩვენ ხელ-საყრელად ვცვლით უსარგებლო და გამოუსაღევარ საქონელს საჭირო და სასარგებლო საქონელზე. მერე იცით, ვინ აწარ-მოებს ამ სასარგებლო გაცვლა-გამოცვლას? ჰაერი. უთულდ იცით, რა არის ჰაერი. გახსოვთ, როცა ჯერ კიდევ მარცვ-ლად იყავით, ზოგჯერ მინდორში ქარი ჰქონდა. ეგ ის იყო, რომ ჰაერი მოძრაობდა. ჰაერის თვალით დანახვა შეუძლებელია, მაგრამ მისი გრძნობა და გაგება-კი აღვილია. ინ-ნაირ ნივთიერებას-კი, რომლის ხელში დაკერა შეუძლებელია და რომელსაც ჩვეულებრივ თვალით ვერ ვარჩევთ, სახელად გაზი ჰქვიან. ჰაერიც, რასაკვირველია, გაზია, ანუ უფრო უკეთ რომ ვსთქვათ, რამდენისამე გაზის შენაზავია. მაგრაც ჩვენ, სისხლის წვეთებს, გვესაჭიროება მხოლოდ ერთი გაზი ამ შენაზავისაგან, სახელდობრ უანგმბადი. აი ამ გაზს ვპოვებთ ფილტვებში; ის უვარებისი ნაწილები-კი, რომლებმაც სისხლი აამლვრიეს და წახლინეს, შეიცავენ სხვა გაზს —ნახშირ-მეუკეს. ამ გვარად ფილტვებში ვიძენთ უანგმბადს და ვიშორებთ ნახ-შირმუავეს. აქ მოულოდნელად შესწყდა ბაასი.





VI

30/303080

ესდექ! რა ამბავია? არტერია, რომელშიაც წვეთები მირ-
ბოდნენ, უკურად ორ ტოტად გაიყო. რომელ ტოტს
გაუყვეთ? დილის ხნის ფიქრი და ლოდინი არ გვარგია,
ზურგს იქიდან სხვა წვეთები გვაწვებიან; არ გესმით მათი მო-
უსვენარი ხმა— წინ გასწითო? წვეთები დაიყვნენ: ერთი ნაწი-
ლი ერთ შტოს გაჰყა, მეორე—მეორეს; მაგრამ ეს ტოტიც
შალე დანაწილდა შტოებად, ეს შტო კიდევ სხვა შტოებად;
ამ რიგად, რამდენიც შორს მიჰყვებით არტერიას, იმდენად
უფრო ბევრ შტოებად იყოფა და თანდათან წვრილდება, სა-
ნამ ბოლოს მეტად წვრილ, ძაფის მსგავს მილებად არ გადაი-
ქცევა.— აი, კიდეც მივაღწიეთ ფილტვებს.


— ძლიერ! ეუბნება რომელილაც სისხლის წვეთი ჩვენს
მგზავრს. ეს ხომ ჩვენი უმთავრესი სავაჭრო სახლია. აქ ვიძენთ
უკველივეს, რაც-კი საჭიროა ჩვენის მუშაობისათვის. გარედ-
გან ფილტვები ჰგვანან ორს საკმაოდ დიდ პარკს, რომელიც
ხან გაიძერებიან და ხან დაიფუქებიან. ეს იმიტომ, რომ ადა-
მიანი მუდამ სუნთქვას. ადამიანის პირის სიღრმეში ორს მიღს
წააწყდებით. ერთი იმათგანი საჭმლის საყლაპავის დასაწყისია.
ამას ხახა ჰქვიან, მეორეთი იწყება სასუნთქი მიღი; ეს მიღი
საკმაოდ ფართოა და საჭმლის საყლაპავ მიღის წინა სდევს.
სასუნთქ მიღის ზემო ნაწილს ხორხს ეძახიან, ქვემო ნაწილს
კი სასულეს ანუ ყანყრატოს. სასულე გულმკერდში ჩადის
და იქ ორ მიღად, ორ ტოტად იყოფა. ამათ სახელად ბრონ-

ქები (სურ. 14) ჰქვიან; თვითოვეული ამბრონქთგანი ჩაღის ფილტვებში, იქ კიდევ იყოფა შტოვებად (სურ. 15) და, რასაკვირველია, უფრო წვრილდება. ბოლოს თვითოვეული დაპატარავებული ბრონქი პაწაწანაჩერეტით თავდება, რომელსაც სახელიად ჰქვიან ფილტვების ბუშტები ანუ ალვეოლები (სურ. 16). ამგვარად თვითოვეული ფილტვი შიგადაშიგ შეძლება მრავალ განცალკევებულ ალვეოლისაგან და შეიძლება შევადაროთ ყურძნის მტევანს, რომელსაც ცალ-ცალკე მარცვლები ასხია, ხოლო მარცვლებ შორის ცარიელი ადგილი გავ-




ბრონქების
დასაწყისი.

სურ. 14.—სასუნთქავი მილი. ზემოდ ხორხი, შუაზე—სასულე, ქვემოდ—ბრონქების დასაწყისი.



სურ. 15.—მოსჩანან ფილტვებში მრავალ ტოტებად დაყოფილი ბრონქები.



სურ. 16.—ფილტვების პატარა ნაწილი. მოსჩანან ნან ბრონქების ბოლოება—ზეალვეოლები—ფილტვების ბუშტები.

სებულია რბილ, ნაზ ნივთიერებით, რომელიც თვითონეულ ფილტვს ცალკე სხეულად აერთებს, მთელ ერთეულად ჰქმნის. ფილტვის ალვეოლს ირგვლივ აკრავს ბეწვისებრივ წვრილ-სი-სხლის მილთა ბადე. ჩვენი მოგზაურნი სწორედ ერთ-ერთ ამ სისხლის მილებში იყვნენ, რომელიც ფილტვის ალვეოლს ახლო-მახლო ჩაურბიან და აქედან მის გამჭვირვალე კედლებიდან თვალყურს ადევნებლენენ ყველა-ფერს, რაც-კი ამ ფილტვის პატარა კუნკულში ამბავი იყო.

— აი, შეჰედეთ! — სთქვა წვეთმა. ამ დროს ადამიანმა ჩაისუნთქა, ფილტვები გაგანიერდნენ, გადიდნენ და ჩვენმა წვეთებმა დაინახეს, თვითონეულ ფილტვის ალვეოლში როგორ შეიქრებოდნენ ხოლმე ზედი-ზედ პაწაწა ჰაეროვანი ბუშტები, სასულელანა და ბრონქებილან ჩაისული. ამ ბუშტებს და სისხლის ბურთულებს ჰყოფდა ალვეოლთა ნაზი კედლები. სწორედ ამ წამს მოჰქმდა წითელ ბურთულთა და ჰაერის ურთიერთ შორის გაცვლა-გამოცვლა.


— აბა, ამხანაგებო, — უთხრეს ერთმანეთს წვეთებმა, დროს ნუ დავჰქარგავთ, უანგმბადის თადარიგი იქონიეთ და მიეცით მალე ნახშირმჟავე.

მართლაც ამ დროს სისხლის ბურთულებს შეუერთდა უანგმბადი, რომელიც ფილტვების ალვეოლების თხელ და სველ კედლებიდან უემოძერა, უემოვიდა, ხოლო ნახშირმჟავე და წყლის ორთქლი იმავე გზით გაჰქრა, სისხლს გამოეცალა. წითელი ბურთულები ხარბად დაეწაფნენ უანგმბადს, ყოველ წუთში უფრო და უფრო წითლდებოდნენ, იღებდნენ ალისფერს, უფრო მხიარულად და უფრო ცოცხლად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს.

მეტი უანგმბადი მოიმზადეთ, მეტი, — ამბობდნენ წითელი ბურთულები: ყველას უნდა გვეყოს, ხომ იცით, რომ ყველან მიგველიან!

გაზების გაცვლა-გამოცვლა დასრულდა. ნახშირმჟავე და წყლის ორთქლი თითქმის მთლად ალვეოლში მყოფ ჰაერს ჩაბარეს, უანგმბადიც იმდენი წამოილეს, რამდენიც-კი შეიძ-

(სურ. 17.)



მოსჩანს გულ-მკერდისა და მუკლის სილრუეთა ორგანოები.

1. ლორნი, 2. ფარის მზგავი ჯირკებალი, 3. სასულე, 4. მარჯვენა ფილტვი,
5. მარცხნა ფილტვი, 6. გული თავის პერინგით, 7, 8, 9 და 10—სისხლის სადენი შილები, 11 შუა საძირი ფართე კუნთია, გულ-მკერდისა და მუკლის სიღრუესა პყოფე, 12. სტომაკი 13 ელემა, 14. სტომაკის უქან ჯირკებლი (ვანკრებისი), 15. ლვილი, 16. ნაღველის ბუშტი თავის შილით, 17. თორმეტ გოჯა ნაწლევის დახტების, წინიდები გაკვეთილი, რომ დავინახოთ ის ნაწლეტი, სადაც ჩადის ნაღველა და პანკრეატული წვენი.

ლებოდა. ამ დროს აღამიანმა ამოისუნთქა და ფილტვებიდგან ჰაერი გამოიცილა, ფილტვები მოიკუმშნენ და დაპატარავდნენ. თქმა არ უნდა, ამონასუნთქ ჰაერს ნახშირმჟავე და ორთქლი ამოჰვა და თავისუფალ ჰაერს შეუერთდა. (სურ. 17).

— დროა გზას გაუდგეთ, — უთხრეს ერთმანეთს წვეთებმა და გასწიეს წინ.

— ახლა საითკენ მივდივართ? იყითხა წვეთმა.


— გულისაკენ.

— როგორ თუ გულისაკენ? იქ აკი ვიყავით კიდეც!

— მაშინ მარჯვენა ნახევარი ვინახულეთ, ახლა-კი მარცენა უნდა დავათვალიეროთ.


მირბიან წვეთები ფილტვის ვენებში, რომელნიც თანდათან უფრო განივრდებიან; აი კიდეც მიაღწიეს ხელახლა გულს. იქ ისევ ძველი ამბავი განმეორდა: ჩაცვივდნენ თუ არა წვეთები მარცენა წინა გულში, იმ წამსვე გაისმა „ტაქ“, წინაგული მოიკუმშა, მისი კარ-სარქველი, რომელმაც წვეთები გულში შემოუშვა, დაიხურა, მაგრამ გაიღო მეორე სარქველი და წვეთებმა მარცენა კოჭობში (პარკუჭში) ამოჰვეს თავი. ამ წესით ჩვენმა წვეთმა დაასრულა თავისი პირველი მოგზაურობა გულიდგან ფილტვებამდე (სურ. 18). ამ გზა-სავალს სახელი სისხლის მიმოსვლის მოკლე გზა ჰქვიან. მარცენა პარკუჭშიაც წვეთებმა მხოლოდ ერთი წუთი დაჰყეს. შემდეგ გაისმა „ტაქ“ და ისინი საჩქაროდ გამოცვივდნენ გულიდგან.





სურ. 18.—სქემა სისხლის მიმოქცევისა.

ა მარჯვენა წინა-გული, ბ მარცხენა წინა-გული, გ მარჯვენა პარკუჭი. დ მატკ-სხნა პარკუჭი; ე ფილტრების არტერია. ნ და ჩ სარქელები. ლ ქვედა დრუ ვენა. ე და ვ მარჯვენა და მარცხენა კარტბი. შ და წ ხარქელები ქ და ყ სარქელები. ტ ფილტრების ძაფისებრი სისხლის მილები; ზორავრინი თბეგიარივე ძაფისებრი სისხ-ლის მილები ტანის ზემოთის ნაწილისა, გულს ზეშოდ, პ ფილტრის ვენა, კ ზედა ღრუ ვენა. ს ძაფისებრი სისხლის მილები ტანის ქვედა ნაწილისა, გულს ქვევით.



VII


აორთა, სისხლის მიზოდების გრძელი და მოკლე გზა. ტვინი.

სიარულად სცემს გული — „ტაქ-ტუკ“. მხიარულად მირბიან სისხლის წვეთები, ნელ-ნელა ერთმანერთს ეჯახებიან. მარცხენა პარკუტიდგან წვეთები დიდ არტერიაში — აორტაში გადავიდნენ; აორტა ფართო სისხლის მილია; იმაში თითო თავისუფლად ჩაეტევა და შიგ მიმოსვლაც ძალიან მოხერხებულია. ჩვენმა მგზავრმა წვეთმა დროიხელთა და გამოკითხებს შეუდგა.

— მითხარით, გენაცვა — დაიწყო იმან... — ტაქ-ტუკ... მოისმა უეცრად კიდევ გულის ცემა და წვეთი ძლიერის კინწის კვრით განზედ გადასტყორცნა.

— არ შეგეშინდეს, — მიაძახა მეზობელმა, როცა შეამჩნია, რომ ჩვენს წვეთს შეჰშინებოდა. — აორტა მოიკუმშა. გულივით მუდამ იკუმშება და ფართოვდება. ხოლო, როცა გული შეიკუმშება, აორტა გაიშლება, გაგანიერდება. ამ ნაირ გაშლა-მოკუმშების წყალობით ძლიერის კინწის-კვრით აქა-იქ გვტყორცნის, ერთმანეთს გვაჯახებს. ჰასაკში მოსულ ადამიანს გული ერთ წუთში 72 ჯერ უცემს და ამდენჯერ იკუმშება და გაიშლება აორტაც და მასთან ერთად სხვა არტერიებიც. არტერიების ასეთ მუდმივ გაფართოვდება-მოკუმშებას ეძახიან მაჯის-ცემას ანუ პულსს. როცა ექიმს ჰსურს გაიგოს გულის ცემა, მაჯას გაუსინჯავს ადამიანს, ესე იგი უურს-უგდებს ერთ-ერთ არტერიას ხელზედ და, იმის ძგერის მიხედვით, სკობს გუ-

1. მარჯვენა წინაგული.
2. მარჯვენა პარკუპი.
3. მარტენა წინა გული, საცა ერთვის ფილტვების ვენა (ს).
4. მარტენა პარკუპი.
5. ფილტვების სქემა.
6. სხეულის ზემო ნაწევარ ნაწილის სისხლის საღერ მილთა სქემა.
7. სხეულის ქვემო ნაწევარ ნაწილის სისხლის მილთა სქემა.
- ა. ფილტვების ორტერია.
- ბ. ქვედა ღრუ ვენა.
- გ. ზედა ღრუ ვენა.
- დ. ე. — აორტის ზედა და ქვედა ტოტები.
- ე. კისრის და თივის სისხლის მილთა სქემა.




სურ. 19. — სისხლის მიმოქცევის სქემა.

ლის ცემის სიავ-კარგეს. რასაკეირველია, აორტა ყველა არ-ტერიაზედ უფრო ღონივრად იკუმშება, რადგანაც უდიდესი სისხლის მილია ადამიანის სხეულში (სურ. 19). ისე ღრმა-დაა ადამიანის გულ-მკერდში, რომ გარედან მისი შეხება შეუძლებელია; ამიტომ მაჯის გამოსაკვლევად მიმართავენ უფრო წვრილ არტერიებს, ისეთებს, რომელნიც სხეულის ზედაპირის მახლობლად მდებარეობენ. საზოგადოდ თითქმის ყველა მსხვილი არტერია სხეულში საკმაოდ ღრმად არის დამალული, რადგანაც მათი დაშავება ადამიანისათვის ძლიერ საშიშია, ან საფრთხილოა; უმეტეს შემთხვევაში, მაგალითად, აორტის დაშავებას სიკვდილი მოსდევს. მალე აორტის პირველ დაყოფამდის მივაღწევთ, აქედგან-კი არტერიები თანდათან უფრო იყოფებიან მილებად, განიწილებიან უფრო ხშირ ტოტებად, ვიდრე ბოლოს ძაფივით წვრილ მასრებად არ გადიქცევიან. თუ გახსოვთ, ერთხელ ასეთი ძაფისებრი არტერიები უკვე ვნახეთ, როცა გულის მარჯვენა პარკუჭიდგან გამოვედით და ფილტვებისაკენ გავეშურეთ. ახლა არტერიებით და სხვა ბეწვისებურ სისხლის მილებით მთელ სხეულს მიმოვივლით და შემდეგ თანდათან მიმოვიქცევით, შევიკრიბებით ვენებში და იქიდგან ხელახლა ჩავალთ გულში, მარჯვენა წინა გულში.

— იქ აკი ვიყავით?

— მერე რა უყოთ? ახლა განუწყვეტლივ ორნაირ წრეს გარს შემოვივლით: პირველი განისაზღვრება მარჯვენა პარკუჭიდგან ფილტვებამდე და იქედგან მარცხენა წინაგულამდე. — ამას ეძახიან სისხლის მიმოქცევის მოკლე გზას, მეორე წრეს დასაწყისი მარცხენა პარკუჭში აქვს, ხოლო აქედგან მთელ ტანს მიმოვივლით და ხელახლა ვბრუნდებით მარჯვენა წინა გულში. — ამას ეძახიან სისხლის მიმოქცევის გრძელ გზას (სურ. 20). აი, ახლა ამ წრეში უნდა ვიმგზავროთ.

— ჰოო... ჩაილაპარაკა ენაწყლიანმა წვეთმა. სანამ ასე ვლაპბობდი, უკვე აორტის განაწილებამდე მივაღწიეთ; ამ ალაგას აორტა რკალივით მოზნექილია და სამ მომსხო ტოტს-



სურ. 20.—სისხლის მაღინებელ მილთა ადგილ-
მდებარეობა სისხლის მიმოქცევის გრძელ გზაზე.


თეთრი ძაფებით რომ მოსჩანან, ის არტერიებია, სისხლი მიაქვთ გულიდან
სხეულის ყველა კუნძულში. უფრო მქრთალი ძაფები ვენებია, რომელნიც
სისხლს გულისაკენ მუერთქმდიან ჩეკნის სხეულის ყველა ნაწილიდან.

- 1 საბულევ.
2. ლავიწის ქვეშა არ-ტერია
3. და 13. ლავიწის ქვეშა ვენა.
4. ზედა ღრუ ვენა.
5. აორტის ჩალი.
6. მარჯვენა გული.
7. მაჯის ძვალი.
8. ქვედა ღრუ ვენა.
9. მუცლის ქვეშა არტერია.
10. ბარძიყის არტე-რია რია და ვენა 21.
11. და 12. ძილიად შიშკუევი არტერია.
14. მარის არტერია.
15. ფილტვების არ-ტერია.
16. ფილტვი.
17. მარცხენა ნახევა-რი გული.
18. მუცლის აორტა.
19. მარცხენა თირკ-ზელი.
20. თირკმლის არტე-რია.

მიღს იძლევა ზევითკენ და შემდგომ პირდაპირ ქვევით დაე-შვება გულ-მკერდსა და მუცულისაკენ (სურ. 12 და 20).

— საით წავიდეთ? — ჰკითხა ჩვენმა წვეოთმა.

— სულ ერთია, წავიდეთ თუ გნებავსთ, ზევით, თავის ტვინისაკენ (სურ. 21).



სურ. 21.—თავის ტვინი ზემოდან.
გამოხატულია: მარჯვენა (2) და მარ-
ცხენა (4) ნახევარ-სფერო. შუაზე მოს-
ჩანს გრძელი და ღრმა ზოლი (1, 3),
რომელიც ტვინს ორ თანასწორ ნა-
წილად ჰყოფს. მოსჩანან აგრძელე
ხვეულები და ლარები.

იმ წამსვე აქედან საჭირო განკარგულებას მოახდენს. მეფის ბრძანება ელვაზედ უმალეს (სურ. 22) მიჰტრინავს ნერვე-
ბის საშუალებით სხეულის ყველა კუნკულისაკენ, ხოლო აქ უკვე ამ ბრძანების მოლოდინში არიან და, როგორც-კი მიი-
ღებენ ბრძანებას, მაშინვე მისი მონა-მორჩილნი ყველაფერს
სისრულეში მოიყვანენ და ამავე მავთულებით სატახტო ქა-

— ეგ რაღა არის?
თავის ტვინი ყველა-
ზედ უმთავრესი ნაწილია
აღამიანის სხეულისა, გულ-
ზედ არა ნაკლებ საჭირო.
ეს ჩვენი მეორე დედა-
ქალაქია. აქ სცხოვრობს
მეფე ჩვენის სამეფოსი—გო-
ნება, რომელიც აქედგან
მთელ სხეულს განაგებს.
ტვინიდგან სხეულის ყვე-
ლა ნაწილში, ყოველსავე
კუნკულში, ყოველ მხრივ
გაბმულია ტელეგრაფის
მავთულები—მაგარი თეთ-
რი ძაფები, რომელთაც
სახელად ნერვები ჰქვიან.
ამ მავთულებით სამეფო
ქალაქში მყოფ მეფეს მისი
მსახურნი აცნობებენ, სად
რა ამბავი მოჰდა. მეფე
მოისმენს ყველაფერს და

ლაქში მეფეს აცნობებენ, რომ ბრძანება მისი სისწორით იქმნა აღსრულებული.


— აჲ, ეგ რა სა-
უცხოვო რამ ყოფი-
ლა! — წამოიძახა აღ-
ტაცებით ჩვენმა წვეთ
მა. განა მარტო ისა
მხიარულობდა. წვე-
თებში ბევრი სხვაც
იყო, რომელიც პირ-
ველად მოგზაურობ-
და სხეულში და ამი-
ტომ ჯერ ბევრი რამ
არ ჰქონდა ნახული.
ყველანი დიდი ხანია
ყურს უგდებდნენ თა-
ვის გამოცდილ მეგო-
ბრის მოთხრობას.

— ნუ თუ ყვე-
ლა ამას ჩვენის თვა-
ლით ენახავთ? — ამ-
ბობდა სიხარულით
აღტაცებული ჩვენი
პატარა მგზაური.

— დიალ, — ღი-
მილით უპასუხა თა-
ნამოსაუბრებ: — ყველას ვერა, მაგრამ ისე-კი ბევრს, ძლიერ
ბევრს თვითონვე თქვენის თვალით დაინახავთ.

— მეფეს, მის მსახურთ, სატახტო ქალაქს და თეთრ
მავთულებს? — ერთბაშად წარმოსთქვა ჩვენმა წვეთმა. ყველა-
ფრის ნახვა და კოლნა მწადია.

— ჰო, გაგრამ, როგორც სჩანს, თქვენ ერთობ ბევრი
რამ გსურთ, — ჩაიცინა გონიერმა მოსაუბრებ. პირველ ყვე-
ლისა ვერ ჰნახავთ მეფეს.




სურ. 22.—თავის ტვინი ქვემოდან.
გამოხატულია სხვათა შორის დიდი ტვინის
ნახევარ-სფეროები.

ა. მარცხენა შუბლის ნაწილი ტვინისა. ბ. მა-
რჯვენა საფეხულის ნაწილი. გ. კეფის ნაწილი. დ.
პატარა ტვინი (ნათები). 21 ზურგის ტვინი გან-
ზე გაევეთილი, ზემოდ მოგრძო ტვინი მოსჩანს. მო-
სჩანს ფრედვე ძაფებით ნერვები, რომელიც თა-
ვის ტვინიზან გამოდიან.

მეფე-გონება ტვინში სცხოვრობს,—ასე პფიქრობენ ადა-
მიანები, რაღანაც აქედან ბრძანებას იძლევა. მაგრამ პირა-
დათ არც ის და არც მისი შვილები—აზრები—ჯერ არავის არ
უნახავს. ვერც მის სატახტო ქალაქს—ტვინს მთლად, ერთბა-
შად თვითეული თქვენგანი ვერ იხილავს; ნახავთ მარტო მის
პატარა ნაწილს. საკვირველ ტელეგრაფის მოქმედების დანა-
ხვასაც ვერც ერთი წვეთი ვერ მოახერხებს. ამიტომ ახლა
თავში ერთმა აზრმა გამიელვა... გსურთ, მეგობარნო, ყური
დამიგდოთ?—შეეკითხა მოსაუბრე ახალგაზრდა წვეთებს, რო-
მელნიც ჯგუფ-ჯგუფად გარს ეხვეოდნენ.

— გვსურს, გვსურს, რასაკვირველია! განაგრძეთ,— მოის-
მა ყოველ მხრიდან ხმაურობა. მაშ, სმენა იყოს და გაგონება!
ის საქმე როგორ არის: არტერია, რომელშიაც ქხლა ვმოგ-
ზაურობთ, მალე დაიყოფა მრავლისაგან უმრავლეს წვრილ
ტოტებათ და ძაფისებრ სისხლის მილებად, რომელნიც, მიაღ-
წევენ თუ არა ტვინამდე, სქელ ქსოვილივით ყოველ მხრივ
შემოეხვევიან. ამიტომ ნება-უნებლიერ მალე ერთმანეთს მოვ-
შორდებით და ამავე ტოტებით სხვა-და-სხვა მხარეს წავალთ.
ბოლოს და ბოლოს ყველანი სატახტო ქალაქში ივალთ, მაგრამ
ივალთ სხვა-და-სხვა გზით და მის სხვა-და-სხვა უბანში. რაღა-
ნაც იქ სამუშაოდ შივდივართ და არა გასართობად—უეჭვე-
ლია, ეს არ დაგვიწყებიათ,— და ამიტომ არც დრო და მოცა-
ლება გვეძლევა ქალაქში სასეირნოდ და, ცხადია, მის მთლად
დათვალიერებას ვერ მოვახერხებთ, მხოლოდ მის ერთ რომელ-
სამე ნაწილში მოგვიხდება ყოფნა და მუშაობა; როცა სამუშაოს
მოვრჩებით, დალალულ-დაქანულნი ისევ თანდათან ერთად
შეეკირებით, ერთმანეთს შევხვდებით რომელსამე ვენაში და
ამ გზით გულისაკენ გავეშურებით... ახლა გთხოვთ ჩემი წი-
ნადადება და დარიგება იგულისხმოთ: თვითეულმა თქვენგანმა
კარგად დაიხსომოს ყოველივე, რასაც კი მგზავრობის დროს
წაწყდება და შემდგომ, როცა ვენებში შევიკრიბებით, ერთ-
მანეთს უამბობთ და ნახული და გაგონილი ერთმანეთს გაუზია-
როთ,— თანახმა ხართ?— დიალ, თანახმა ვართ: ჩინებულია, ჩინე-
ბული,— შეჰყვირეს ყოველ მხრიდან წვეთებმა.



VIII.

ტვინის უჯრედები. დილი ტვინი.

 ვეთების ამ მუსაიფში არტერიამ მართლა შტოებად დაყოფა დაიწყო, ზედიზედ სხვა-და-სხვა მხრიდან მიღის წვრილ-წვრილი ტოტები. წვეთების გუნდი სწრაფად თხელდება.

როცა ის სისხლის სადინარი მიღი, რომელშიაც წვეთი მოგზაურობდა, ისე დავიწროვდა, რომ წინ-სვლა ძლიერ-ლა შეიძლებოდა, ჩვენმა მოგზაურმა უეცრად მის თხელ და ნა-ხევრად გამსჭვირვალე კედლებს იქით შეამჩნია ბევრი რაღაც მონაცრისფრო ამობურცული აღგილი და ხვეულები.

— ეს რაღაც მთები და ხეობები უნდა იყოს, — იფიქრა ჩვენმა წვეთმა. უეჭველია სატახტო ქალაქიც მაღა გამოჩნდება.

— ოჲ, როგორც იყო, ველირსეთ! — მოესმა უეცრად ახ-ლო-მახლო რაღაც ხმაურობა. გვიჩვენეთ ჩქარა, რა მოგი-ხეეჭნიათ?

— ვინ არის ეს, რომ ასე თამამად მელაპარაკება? ვერც კი მიმხვდარვარ, — სთქვა ჩვენმა მგზაურმა და თან შეჩერდა, რადგანაც ირგვლივ არავინ მოსჩანდა.

— ხა, ხა, ხა! გადიხედეთ კედელს იქით და თან თქვენი მონაგარი აქ მოიტანეთ! ჩვენ ტვინის უჯრედები გახლავართ, დიდი ხანია უკვე დავიღალეთ და მოველით შველას, დახ-მარებას.

აღმოჩნდა, რომ ის, რაც ჩვენს წვეთებს მთებად და ხეო-ბებათ მოეჩვენა, ტვინის პაწაწა ნაწილთა გროვა იყო.

— რად უწოდებთ თქვენს თავს ტვინის უჯრედებს? —
ჰკითხა გაოცებულმა წვეთმა.

— ასე გვეძახის ხალხი. თვითეული ნაწილი ადამიანის
სხეულისა, მაგ. გული, სტომაქი, ფილტვები აშენებულია
რამდენსამე მილიონ, პაწაწა და ერთგვარ ნაწილაკებისაგან,
რომელთაც სახელად უჯრედებს უწოდებენ. დიდის ტვინის
უჯრედები ყველა ერთნაირი როდია: ზედა ფენებში ნაცრის
ფერი აძვეთ, შუა გული კი თეთრია. მაგრამ ახლა სალაპა-
რაკოდ არა გვცალიან, ძილზედ დამშეულნი და დაღალულნი
ვართ. კარგს იზამთ, თუ დაგვაპურებთ.

ტვინის უჯრედები ყოველ მხრივ ხარბად დაეწაფნენ სისხ-
ლის სორსლებს, ბურთულებს.

— თქვენ უნდა მომცეთ უანგმბადი, — ამბობდა ერთი.

— ძლივს-და ვსუნთქავ, აბა, სასმელი მასვით, ჩიოდა მეორე.

— მშიან, კამა მინდა! მომეცით ერთი წვეთი ცხიმი მაინც, —
ლაპარაკობდა მესამე, და ამ გვარად ყველა უჯრედი ხარბად
ეტანებოდა, ერთმანეთს სტაცებდა მათვის საჭირო საზრდოს.

— ჩემი სახლი ლამის მთლად დაინგრეს, მალე შეაკე-
თეთ, — ჩიოდა ამ დროს მეოთხე უჯრედი.

ჩვენი პატარა მუშაკი მთლად დაიბნა, ყველა გარს ეხვე-
ოდა, ემუდარებოდა, აჩქარებდნენ, ეხვეწებოდნენ.

— წაიღეთ ეს ნაყარ-ნუყარი, ჩემთვის საჭირო აღარ
არის! — უყვიროდა ერთ-ერთი უჯრედი.

— კიდევ უანგმბადი! ერთი ყლაპი წყალი! მარილი ხომ
არა გაქვთ! პაწაწა ცხიმი! წაიღეთ, მომაშორეთ ნახშირ-
მჟავე! ასე მოსდიოდა ბრძანება ყველა კუთხიდან. წვეთი ხან
აქეთ ეცემოდა და ხან იქით, უხეად ურიგებდა ერთსაც და
მეორესაც თავის დამზადებულ სულადს, იკრებდა, ისუტავდა
ყველა გამოუსადეგარ ნაყარ-ნუყარს. მორჩა, გათავდა. რაც
დამზადებული რამ სულადი იყო, ყველა გამოილია, მეტი
აღარც უანგმბადია. დაღალულ-დაქანცული, გამურული და
ნახშირ-მჟავეთი დატვირთული ჩვენი წვეთი ძლივს მოძრაობ-
და, რომ უკანასკნელი ბრძანება აღესრულებინა.

— ახლა აქ ცოტა ხნით შემიძლიან დავისვენო, — გაი-
ფიქრა, მაგრამ ამ დროს გაახსენდა ამხანაგების წინაშე დადე-
ბული აღთქმა — ყველგან უკველივე კარგად გაიგოს და და-
თვალიეროს.

— უნდა გამოვიკითხო, — გადასწყვიტა წვეთმა და შეუ-
დგა ძიებას.

— ხომ არას მიამბობთ ტვინისასა, ან თქვენის ცხოვრე-
ბისასა, მეფისასა.

— დიდის სიამოვნებით! — მიუგო ერთმა უჯრედთაგანმა.
აი, ჰედავ ამ ნაცრის ფერ ბორცვებს და ხეეულებს, — დაიწ-
ყო იმან: ეს ყველა თავის ტვინია, მეფე-გონების სასახლე.
სივრცით საკმაოდ დიდია და უჭირავს თავის მთელი ზევითა
ნაწილი. გარეგნობით ტვინი ურიცხვ ხეეულების გამო ნაკუ-
ჭიდან გამოლებულ კაკლის ლებანს მოგავონებს. საკუთრად
ტვინი შესდგება ორის ნაწილისაგან — დიდი და პატარა ტვი-
ნისაგან, რომელიც მდებარეობს კეფაში, დიდის ტვინის უკანა
ნაწილს ქვეშ. დიდი ტვინი იყოფა ორ თანასწორ ნახევარ-
ნახევარ ბურთად შუა გავლილ ზოლით. აი ყოველივე, რაც
შემიძლიან ტვინისა მოგახსენოთ. დავსძენ მხოლოდ, რომ ყო-
ველ მხრიდგან თითქოს ციხის გალავანით არის დაცული თა-
ვის მაგარ ძვლებით, რომელსაც სახელად თავის ქალა ჰქვიან.

— თვით მეფისა არა იცი რა? — ჰკითხა მორცხვად წვეთმა.


— როგორ არ ვიცი. მეფე-გონება აქ ჩვენთან, დიდს ტვი-
ნში ბინადრობს. ეხლა ჩვენი მეფე ძლიერ დალლილია და დასას-
ვენებლად ემზადება, უნდა ცოტა დაიძინოს, დღეს ბევრი
იმუშავა. საჭმე ის არის, რომ ეს პატარა კაცი, რომლის
სხეულშიაც ჩვენ ვიმყოფებით, დღეს პირველად იყო სკო-
ლაში. რასაკვირველია, ამით ბავშვი ძალიან აღელვებული
იყო, ჯერ ძალიან სწუხდა, ეშინოდა, შემდგომ უეცრად რა-
ღაც სიხარულს მიეცა, მის სახეს მხიარულება და კმაყოფი-
ლება დაეტყო, იცინოდა, შეექცეოდა. დიაღ, დღეს ყველას
დიდი სასჯელი მოგვაყენა. მთელი დღე ყოველ მხრიდგან აქ
დეპეშით მოგვდიოდა სხვა-და-სხვა საგანგებო ცნობა და სა-


წყალი ჩვენი მეფე იძულებული იყო იმ წამსვე საქმისათვის ხელი მიეყო. მისმა შვილებმა — აზრებმაც დღეს მუკაითად იმუშავეს; ამ უამაღ-კი მეფე თავის შვილებით მალე ძილს მიეცემა. მეტი მუშაობა არ შეუძლიანთ. როცა მეფეს სძინავს, მაშინ ეს მოუსვენარი დეპეშის მავთულები — ნერვებიც დასვენებული არიან; როცა სახლში უკვე მყუდროება ჩამორდება, მხოლოდ მაშინ დაიწყება უმთავრესი ჩვენი მუშაობა. მეფეს ყოველთვის ძალიან ჰდალავს მუშაობა, მუშაობა ასუსტებს ტვინის უჯრედებსაც. მუშაობის შემდგომ, ყველგან ჰგრძნობენ ძალის შესუსტებას და საჭმელ-სასმლის, უანგმბადისა და საშენებელ მასალის დაკლებას — იქაც მრავალი უვარებისი და ნამუშევარი ნაწილაკებია, რომელნიც აქედან, რაც შეიძლება, აღრე უნდა იქმნას გაზიდული. ყველგან ჰნახავთ უწესრიგობის და დაქცევა-დარღვევის ნიშნებს, თითქოს აქ ომი და ჩხუბი ყოფილიყოს. აი, ამ დროს განსაკუთრებით თქვენ, სისხლის წვეთები, გვპირდებით, რათა გაგვაახლოთ, გაგვამტკიცოთ და თან გაგვათავისუფლოთ ყველა გამოუსადეგარ ნაყარ-ნუკარისაგან. ამიტომაც ამ წუთში, როგორც-კი მოხვედით, ასე ხარბად შემოგესიერ, — დაასრულა უჯრედმა. ახლა მგონია თქვენის უკან დაბრუნების დროცა?

— სწორედ ღროა, — ამოიოხრა ჩვენმა წვეთმა. ისე მოეწონა ეს ენა-წყლიანი უჯრედი, რომ სხვაგან წასვლა არც კი უნდოდა.

— კიდევ ერთი რამ უნდა გკითხო უკანასკნელად, წარმოსთხვა წვეთმა. სწორედ გამიგია თუ არა შენი ნათქვამი. ყოველივე, რასაც აღამიანი ჰფიქრობს, ჰგრძნობს, იხსომებს, სწადიან, მსჯელობს, ლაპარაკობს, ესმის, — ყველა ეს მეფისა და დიდის ტვინის ნამუშევარ-ნამოქმედარია?

— დიალ, ეგ ნამდვილი კეშმარიტებაა. ჩვენმა მგზავრმა საყვარელ უჯრედს მაღლობა გადაუხადა და შორეულ გზას გაუდგა.





IX

-

პატარა, მოგრძო და ხელხემლის ტვინი.

ი უკანასკნელად სად შევიკრიბენით, სად შეეხედით (სურ. 23) ერთმანეთს?—მოისმა უეცრივ ვიღასიც მხია-რული ხმა ჩვენის პატარა მგზავრის მახლობლად, როცა ეს მგზავრი ის-ის იყო ტვინიდგან გამოვიდა და უკან დაბრუნებული, ვენით გულისაკენ მიიმართებოდა.

— ამ, შენა ხარ!—წამოიძახა გახარებულმა ჩვენმა წვეთ-მა, როცა შეხვდა და იცნო თავისი ძველი მოსაუბრე.

— აბა, მიამბე, როგორ იმგზავრე? იცი, ირგვლივ ვისაც ჰქედავთ, სულ ყველა ჩვენი ძველი მეგობრები არიან. მართ-ლა რომ ისინი ახლა ძნელი საცნობნი არიან. ხომ ძალიან გამოცვლილან?


ჩვენმა წვეთმა მიიხედ-მოიხედა. მის გარშემო ზარმაცად მიღი-მოდიოდნენ მღვრიე მუქის, თითქმის შავის სისხლის წვეთები ნახშირმევიანნი და სხვა-და-სხვა ნაყარ-ნაძირალით დატვირთულნი, ყველანი ერთმანერთს თვალით სინჯავდნენ, ზერავდნენ და, პატარა ხანს უკან, დიდის ხნის უნახავნი ძველნი ნაცნობნი მხიარულად საუბრობდნენ. ყოველის მხრივ მოისმოდა ალერსიანი მისალმება, სიტყვა-პასუხი და მოკითხვა. ყველა ისწრაფოდა თავისი შთაბეჭდილებანი ბეგობრისთვის გაეზიარებინა. ერთად ლაპარაკობდნენ რამდენიმე წვეთი.

— აბა, ამხანაგო,—წარმოსთქვა ბოლოს ერთმა მათ-განმა:—გახსოვთ ჩვენი დანაპირები, ჩვენი ალთქმა? ვინ მო-გვითხრობს თავის თავგადასავალს?

— მე,—უპასუხა ჩვენმა წვეთმა და საკმაოდ ვრცლად ილაპარაკა დიდის ტვინისა და მის უჯრედების ამბავი, აგრე- დვე ამბავი იმის მუ- შაობისა, კეუა-გონე- ბისა და ძილისა. ცვე- ლა ყურადღებით ის- მენდა წვეთის საუ- ბარს.

როცა დაასრუ- ლა თავისი თავგადა- სავალი, ახლა მეორემ დაიწყო:

— მე სტუმრად გიახელ პატარა ტვინ- თან ანუ ნათხემთან. ის მთავარ მეფე-გო- ნების ვეზირია, სხე- ულის ცველა მოძრა- ობას და მიხერა-მო- ხერას განაგებს. ამი- ტომ მეფის სასახლის მეზობლად სცხოვ-



სურ. 23.—სიგრძეზედ გაკვეთილი ტვინი.

1. მარჯვენა ნახევარი დიდის ტვინისა. 2. კორ- ძიანი სხეული, რომელიც დიდის ტვინის ნახევარ სცე- როებს აერთებს. 3. პატარა ტვინის (ნათხემის) გარ- ჯვენა ნახევარი.

რობს და დაცულია იმავე ციხე-გალავნით, ესე იგი თავის ქალით.

პატარა ტვინი შესდგება ურიცხვ განცალკევებულ უჯრე- დებისაგან, რომელთაც ტვინის გარეგან ფენილებში ნაცრის ფერი დაჰკრავთ, ხოლო შიგნით უფრო თეთრია, სწორედ ისე, როგორც დიდ ტვინში ვნახეთ. იქ ფრიად კარგ დროს შემემთხვა მისვლა. ის დრო იყო, როცა ჩვენმა ვეზირმა ამ- ნაირი ბრძანება მიიღო:

— მთელი ჩვენი სახელმწიფო—სხეული და მეც, მეფე- გონება, დღეს ძალიან დავიქანცეთ, ძილი და მოსვენება გვე- ჭირვება, რაღანაც ბავშვი, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, დაჩვეულია ძილის დროს თბილ ქვეშავებში წოლის, ხოლო

იმისი თავი ბალიშჩე განისვენებს, ამიტომ ჩვენმა ვეზირმა, პატარა ტვინმა, განკარგულება მოახდინოს, რომ ფეხებმა ბიჭუნია მის ოთახში მიიყვანონ.

პატარა ტვინმა მეფის ბძანება ფიცხლავ დეპეშით ფეხეფს აცნობა. ფეხები იმ წამსვე გზას გაუდგნენ, მიუტანეს თუ არა ნერვებმა მეფის ბძანება, მაგრამ დღეს ფეხებიც ძალიან დაიღალნენ, ამიტომაც ცუდათ მოძრაობდნენ, ძლივს-ძლიობით გადადიოდნენ ერთი ალაგიდან მეორეზე, ასე რომ, საწყალ ბიჭუნიას თუ დედა არ მოხმარებოდა, ეგებ ვერც კი მიეღწია თავის ოთახამდე.

— ყოველივე მზად არის, მოვედით! — აცნობა ფეხებმა, როცა ბიჭუნია უკვე თავის ოთახში იყო შესული. საჭიროა გახდა ტანთაო.. მიეხმარნენ ხელებიო! კვლავ უბრძანა მეფემ თავის ვეზირს.

მეფის ვეზირმა, პატარა ტვინმა ისევ დეპეშით მოახდინა განკარგულება: ხელები და თითები ბიჭუნიას ტანისამოსის გახდაში უნდა მიეშველენო. მაგრამ თვითონ ვეზირიც ძალიან დაქანცული და დაღლილი იყო, იმასაც სოვლებდა, ეძინებოდა, ამიტომ მისი ბრძანება ვერ იყო გამორკვეული და, რასაკვირველია, ხელებიც ცუდად ასრულებდნენ მის ბრძანებას: ისინი სულ იქ ფათურობდნენ. სადაც საჭირო არ იყო; დაღლილმა თითებმა ვერას გზით ვერ იპოვნეს ჩიხის ლილები, რომ გაეხსნათ; ეჭვს გარეშეა, ბავშვი გაუხდელი დაწვებოდა, რომ ახლაც დედა არ მიხმარებოდა.

— მეტი მუშაობა აღარ შეგვიძლიან, მეტად დავიქანუთ! — შემოსთვალეს პატარა ხელებმა, მაგრამ ამ ცნობამ ძლივს-ლა მიაღწია ვეზირთან და მეფესთან, რადგანაც ამ დროს ამათ ორთავეს უკვე ჩასძინებოდათ.

როცა მთელი სხეული ლრმა ძილს მიეცა, პატარა ტვინის უჯრედებმა მუშაობა დაიწყეს, სწორედ იმ რიგზე, როგორც დიდ ტვინში მოიქცნენ, წაგვართვეს სისხლის წვეთებს, რაც კი რამ დამზადებული სანოვაგე გაგვაჩნდა, ჩვენივე ნაჭირნახულევი, ჩვენ მიერ მოტანილი ლა შეუდგნენ

განახლება-აღორძინებას. როცა იქ მუშაობას მოვტჩით, ვენებითვე ხელ-ახლა უკან დავბრუნდით და აი ახლა აქ მოვხედით.

ასე დაასრულა თავისი საუბარი მეორე წვეთმა.

— ახლა ჩემს მოგზაურობას გიამბობთ, წარმოსთქვა ერთ-ერთმა წვეთმა.

— ძალიან კარგი! გვიამბეთ. პირველ ყოვლისა უნდა გითხრათ, რომ მე ვიყავ სტუმრად ისეთ წარჩინებულ გვამებთან, რომელთაც, ვგონებ, აღამიანის სიცოცხლისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე თქვენს დიდს ვეზირს და თვით ხელმწიფესაც-კი.

— ეგ შეუძლებელია, ჰელმრობ,—ერთხმად შესძახეს წვეთვებმა. ვინ არის ეგ უაღრესი გვამი?

— ეგ გახლავთ მოგრძელო ტვინი.


— რით არის აგრე გამოჩენილი და რითი აქვს დიდი მნიშვნელობა? განა ის ზომით ძლიერ დიდია? ან შეუძლიან უბრძანოს და დაავალოს რამ მეფე-გონებას, ან მის ვეზირს?

— არც ერთი და არც მეორე. ზომით მოგრძო ტვინი დიდ და პატარა ტვინზე ბევრად მომცრო. ისიც სხვა ტვინი-ვით თავის ქალაში დევს, მხოლოდ სულ ძირს, პატარა ტვინის ქვემოდ. გარედამ მისი ნივთიერება თეთრია, შიგნით-კი ნაცრის ფერი, პირიქით, დიდსა და პატარა ტვინში, როგორც ზემოდა ვსთვეით, შიგნითა ნაწილი თეთრია, გარეთა-კი ყომრალი, ნაცრის ფერი. მოგრძელო ტვინი სიცოცხლისათვის ფრიად საჭიროა. ეს იმით შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ მისი ოდნავ დაშავება აღამიანს სიკვდილის კარამდე მიიყვანს. პირიქით, თუ აღამიანს დიდი ტვინი დაუშავდა, დაუზიანდა, შეიძლება გონება დაჰკარგოს; მოკლებული იქნება წესიერ მსჯელობას, მეხსიერებას, მაგრამ სიცოცხლით მაინც იცოცხლებს. აი ეს როგორ მოჰქმდება: მოგრძო ტვინი დეპაშის მავთულებით შეერთებულია ფილტვებთან, გულთან, სასულესთან და საჭმლის მოსანელებელ მილთან. ამ მავთულს სახელიად ცოლმილი ნერვი ჰქვიან. გინდ იყოს მეფე-გონების სურვილი, გინდ არა, მოგრძო ტვინი ამ ნერვის შემწეობით

მუდამ ბრძანებას უთვლის ფილტვებს და რამდენადმე გულ-საც, რათა იმუშაონ, იშრომონ. ესთქვათ, მეფე-გონებას უცებ აზრად მოუკიდა ფილტვებსა და გულს მუშაობა აუკრძალოს, მოგრძო ტვინი მაინც არ დაეთანხმება და თავის მხრივ უბრძანებს — იმუშავეთო. მეფე ამ შემთხვევაში ვერას გააწყობს, მის სურვილს წინ ვერ გადაეღობება. იმ ადგილს, სადაც ცდომილი ნერვი მოგრძო ტვინს უერთდება, სახელად სიცოცხლის ნასკენ ჰქვიან. მარტო ეს სახელი გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვ-

ნელობა ჰქონია სი-
ცოცხლისათვის ამ პა-
რატა ადგილს. მართ-
ლაცა და, საკმარისია
ადამიანს ამ სიცოც-
ხლის ნასკეში ნემსის
წვერით უჩხვლიტო,
რომ სული ვეღარ
მოითქვას, სულის მო-
ბრუნება შეუწყდეს,
მოესპოს. ამას თან
მოჰყვება გულის ცე-
მის შეჩერება, დაღუ-
მება და ამ დროს უე-
ცარი სიკედილიც აუ-
ცდენელია.

მგონია ამაზედ
ბაასი გვეყოფა. ახლა
მხოლოდ რამდენისა-
მე სიტყვით აგიწერთ
ნერვებს (სურ. 24.),
რადგანაც ახლო-მახ-
ლო ვნახე და ცოტა რამ მათ შესახებაც ვიცი. გარეგანის სა-
ხით ნერვები მაგარი ბრწყინვალე და თეთრი ძაფებია. ორ ჯგუ-



სურ. 24.—ნერვების დაწყობილობა (სისტემა),
თავის ქალის უკანა ნაწილი მოხდილია, მოსჩანს
ნაწილი დიდის ტვინისა. თეთრი ხაზები—ნერვე-
ბის, რომელიც თავის და ზურგის ცვინიდან
გამოსულა და მთელს სხეულშია დაქსაქსული.


ფად განიყოფებიან. პირველ ჯგუფის ნერვებით მეფე-გონება ჰგავნის თავის ბრძანებას, რომ სხეულის ამა თუ იმ ნაწილმა, რომელიმე მოძრაობა იკისროს, მაგ. გაანძრიოს თითო, ხელი ასწიოს და დაუშვას და სხვ. ამ ჯგუფის ნერვებს ჰქვიან მამოძრავებელი ნერვები. მეორე ჯგუფის ნერვები ტვინს აწვდიან ცნობას სხეულის ნაწილთა მდგომარეობის შესახებ, მაგალ. როგორ ჰგრძნობს თავს ესა თუ ის ნაწილი სხეულისა. ამ ნერვებს მგრძნობარე ნერვებს უწოდებენ. თავის ტვინიდან მომავალი ნერვები, გარდა ცთომილ ნერვებისა, ეყუთვნიან ამ მამოძრავებელ ან მგრძნობარე ჯგუფებს. აი ეს არის ყოველივე ის, რაც მგზავრობაში შევიტყე.

— ნება მიბოძეთ ახლა, ჩემის მოგზაურობის ამბავიც მოგახსენოთ,—ითხოვა ერთმა წვეთთაგანშა.

— ბატონი ბრძანდები, გვიამბე, გვნაცვა, გვიამბე!

— მე,— დაიწყო წვეთმა, შემთხვევით ვიყავ ჩვენის სამფლობელოს ერთ ფრიად წარჩინებულ გვამთან. იმას ხერხემლის ტვინს ეძახიან (სურ. 25). მეფის წინაშე დიდი ნდობა აქვს დამსახურებული; იმასაც საკმაო სამუშაო აქვს. მაგრამ ეს შემდეგ იყოს. ჯერ გარეგნობას გაგაცნობთ. წარმოიდგინეთ გრძელი, მოთეთრო ლარი, ასე, ადამიანის თითის სიმსხო, რომელსაც სათავე სულ მთლად თავის ქალის ქვემოდ აქვს. ის ნამდვილი განგრძობაა თავის ტვინისა და ადამიანის მთელ სხეულშია მოდებული. ეს პატივსაცემი გვამი სცხოვრობს შშვენიერ და მკეიდრ სადგომში, რომელსაც ხერხემლის ბოძს ან ზურგის ძვალს ეძახიან. ზურგის ტვინის სასახლე ძვლისაგან აგებულ და მრავალ განცალკევებულ ოთახებისაგან შესდგება; თვითეულს ამათგანს სახელად მძივი ჰქვიან; რიგზელ მიჰყვებიან ერთმანეთს, ერთმანეთზედ წაბმულნი; ამგვარ აგებულობის გამო ხერხემლის ბოძი საკმაოდ მოძრავი და მოქნილია. აი ამ ვიწრო და გრძელ სადგომში სცხოვრობს ხერხემლის ტვინი, ერთი უმახლობელესი თანაშემწე მეფე-გონებისა; როცა მის სასახლეს მიუახლოვდი, მრავალზედ უმრავლესი დეპეშის მავთულები დავინახე და, ცოტა არ იყოს, ამ

- ა. და ბ.—თავის ტვინი.
- ვ და თ. ნითხემები (პარარა
ტვინი).
- გ. ვართოლის სიდი.
- დ. ოვალების ნერვთა ჯვარე-
დინი.
- ე. მოგრძო ტვინი
- ი. ხერხემლის (ზურგის) ტვინი.
- 1—12. თორმეტი წყვილი თავის
ნერვები.
- 13—13, 14—14, 15, 16, 17—კის-
რისა, გულმკერდისა, წელისა,
გავისა და კუდუსუნის ნერვე-
ბი.



სურ. 25.—ზურგისა და თავის ტვინი
თავის ნერვებით.

სანახაობაშ კიდეც გამაკვირვა. სასახლის თითქმის ყველა ოთა-ზიდან გამოდიოდა ორ-ორი მავთული—ნერვები, ასე რომ მთლად აქედან სხეულის ყველა ნაწილში მიღიოდა წყვილი ნერვი.

— დაიხსომე, — მოთხრა სასახლის ერთმა მსახურთაგანმა, რომელთანაც გავები ლაპარაკში, რომ ეს ნერვები რამდენადმე განიჩევიან თავის ტვინის ნერვებისაგან. თავის ტვინის ნერ-ვები უმეტეს შემთხვევაში ან არიან მარტო მგრძნობარე ან და მხოლოდ მამოძრავებელნი. ხერხემლის ტვინის ნერვებს ერთი თვისებაცა აქვს და მეორეც; ამიტომ ამათ **არეულ ნერვებს** ეძა-ხიან. ამ ნერვებით ხშირად სარგებლობენ ბოლმე მეფე-გონება და მისი ვეზირი, პატარა ტვინი, თავიანთ ბრძანებათა გადა-საცემად.


აი, მაგალითად: როცა მეფეს ჰსურს, ხელი მუშტად მოიკუმშოს, თავის ვეზირს, პატარა ტვინს, შეატყობინებს, ხოლო პატარა ტვინი მეფის ბრძანებას ხერხემლის ტვინს გა-დასცემს და აქედან კი ეს ბრძანება ხერხემლის ნერვებს გაი-რბენს და ხელში ჩავა. მაგრამ ხერხემლის ტვინის მუშაობა მარტო ამით არ განისაზღვრება, ეგ სულ უბრალო, მეორე-ხარისხოვინი მისი სამუშაოა. უმთავრესი მისი საქმიანობა სხვა რამით გამოიხატება, რასაც ალაპიანისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს; ამას უთუოდ მალე ჰნახავთ და დამერ-წმუნებით, რომ ეს ასეა.

ლაპარაკი ჯერ არც კი გაეთავებინათ, რომ ნერვებმა ხერხემლის ტვინს ერთი მეორეზე საშინელი ამბავი მოუტანეს. ტვინმა იმწამსვე იმავე მავთულ-ნერვით, რომლითაც ეს ამბავი მიიღო, გასცა ბრძანება: ხელი მოაშორე! ყოველივე ეს ისე მოულოდნელად, ისე უცებ მოპხდა, რომ ვერაფერი ვერც კი გავიგე. აღმოჩნდა, რომ იმ პატარა ბიჭუნიას, რომლის სხეულ-შიაც ახლა ვიმყოფებით, დაღლილობის გამო სასაღილო ოთახში ჩასძინებოდა და როგორლაც უეცრად ჩაით სავსე ჭიქისათვის ხელი წაეკრა. ხელების ნერვებმა მსწრაფლად ხერხემლის ტვინს აცნობა, რომ ხელს მდუღარე მოხვდაო, — ტვინმა მა-

შინვე განკარგულება გასცა—„ხელი. მოაშორეთო“. როცა ხელი მხურგალე საგანს მოაშორეს და ტკივილმა თითქმის მთლად იკლო, ხერხემლის ტვინმა მხოლოდ მაშინ შეატყობინა მეფე-გონებას, რაც ამბავი მოჰხდა. ამ გვარად ხერხემლის ტვინმა თადარიგი თვითონვე გასწია, მეფე-გონება მის განკარგულებაში არც კი ჩარეცულა. მხოლოდ ბოლოს შეიტყო, რაც ამბავი იყო. ისეთ მოძრაობას, რომელიც სწარმოებს გონების ჩაურევნელად, თვინიერ მისის ნებისა, სახელად ჰქვიან უნებლივთ ანუ შეუგნებელი მოძრაობა.

აღრე ამნაირისავე მოძრაობის მეორე შემთხვევას შევესწარი. საქმე ასე იყო: როცა პატარა ბიჭუნია უკვე მთლად გახდილი იყო და თავის საწოლში ეძინა, ხელი რაღაც უხერხეულად დაედვა. თუმცა თვითონ ვერ ჰგრძნობდა, მაგრამ ეს ამბავი აღრევე შეიტყეს და იგრძნეს დარაჯებმა, ე. ი. ხელის ნერვებმა, რომელთაც მინდობილი აქვთ ამისათვის ზრუნვა. ხერხემლის ტვინს ხელისაგან ზედი-ზედ ცნობები მოსდიოდა:—მტკივა, უხერხეულად ვწევარ, ხელი ტკივილს განიცდის. „ხელი მეორე მხარეს შეაბრუნეთ!“ გასცა დეპე-შით ბრძანება ხერხემლის ტვინმა; ხელმა იმწამსვე ადგილი შეიცვალა და სხვა მდებარეობა მიიღო. ხერხემლის ტვინის ასეთ განკარგულებას მეფე-გონებამდის არ მიუღწევია, მისთვის ხერხემლის ტვინს არა უცნობებია-რა: სულ ერთია, მეფეს ახლა სძინავს, რა საჭიროა მისი შეწუხებაო. ამ ორის მაგალითით გავიგე, რომ ხერხემლის ტვინი ჰქელმდლვანელობს ადამიანის ყოველ გვარ მოძრაობას, როცა თავის დიდ ტვინს სძინავს ანუ განისვენებს; აგრძევე განაგებს ისეთ მოძრაობას, რომელიც უკვე კარგად არის შესწავლული, ერთის სიტყვით, ზედამხედველობას უწევს უნებურს მოძრაობას.





X

თ ვ ა ლ ე ბ ი


ხლა ნებას მომცემთ, მეც აგიწეროთ ჩემი მოგზაურობა? — იკითხა რომელლაც წვეთმა, როცა მოსაუბრემ დაასრულა თავისი მოთხრობა ხერხემლის ტვინის შესახებ.

— დიდის სიამოვნებით! გვიამბეთ, შენი ჭირიმე, გვიამბეთ! — მოისმა პასუხი ყოველის მხრიდან.

— თვალში ვივავი. თვალები სარკმელია, საიდანაც ადამიანი ჰქედავს ყოველსავე, რაც კი მის გარშემოა. ამ ორ საკირველ სარკმლით ადამიანი ბევრნაირად დავალებულია. მხოლოდ იმათის შემწეობით შესცეკრის მთელ ქვეყნიერებას: ჰქედავს ოქროს ფრად ბრწყინვალე მზეს, ლაქვარდ ცას, ჰქედავს შორიდან ნაზად მოციმციმე ვარსკვლავებს, ჰქედავს დედა-მიწას, მის ამწვანებულ ტყე-ველს, საუცხოვო ყვავილებს და ლრმა, ცისფერ ზღვა-წყალს. ეს სარკმლები რომ არ ჰქონდა ადამიანს, ბრმა იქნებოდა. ვერ დაინახავდა ვერც ერთ საგანს, რომელიც მის გარშემოა, ვერ გაარჩევდა მათ სიმსხო-სიდიდეს, გარეგნობას და ვერც მათს ფერადობას. ერთის სიტყვით, ძნელია ჩამოთვლა, თუ რას დაჲკარგავდა ადამიანი, რომ მხედველობა არა ჰქონდა. მაგრავ ადამიანს რომ მარტო ეს საკირველი სარკმელი ჰქონდა და მეფე-გონებას მოკლებული ყოფილიყო, სულ ერთია, მაშინაც ვერას დაინახავდა, რადგანაც ეს სარკმელი თავისთავალ, გონების დაუხმარებლად ვერაფერს გაარჩევდა. თვითეულ თვალსა და თავის ტვინს შორის გაბმულია თითო-თითო დეპეშის მავთული — მხედველობის ნერვი. მათის შემწეობით გონება სკნობს, თუ რა ამ-

ბავია სარკმელს გარედ. ეს მავთული-ნერვები რომ გადავს-კრათ, ადამიანი დაბრმავდება. გარედ ამ თვალს ზემოდან ჰქორავს რბილი რიცე, თვალის **ქუთუთო**, —რომელსაც შეუძლიან აწევა-დაწევა, თანხმად ადამიანის სურვილისა, ან და მის ნება-სურვილის გარეშე, მაგალითად, მაშინ, როცა თვალს რამე გარეშე საგანი უახლოვდება ან ძლიერი სხივი მიადგება. ვიდრე ქუთუთოები აწეულია და თვალები ღიაა, მეფე-გონებას მხედველობის ნერვებით მისდის ცნობა, თუ რა ამბავია ადამიანის გარშემო. მაგრამ როგორც კი ეს რიცე დაიწევს, დაიხურება, სინათლე სარკმლებიდან ველარ შეატანს და მაშინ შეუძლებელია დანახვა იმისა, რაც იხილვის სარკმლებ გარეშე.

თვალის აგებულობა მეტად რთულია. გარეგნობით თვალი ჰგავს (სურ. 26.) საკმაოდ დიდ ბურთს. ეს არის **თვალის კაკალი** და მდებარეობს თვალის **სილრმეში**, საცა თავის ქალის ძვლებით არის გარე-შემოზღუდული. გარედან თვალს აფარია ერთნაირი გარსი, რომელიც განუჭვრეტელი თეთრი ნივთიერებაა: ამას სახელად თეთრი გარსი ან **სკლერა** ჰქვიან; თვალის წინა ნაწილზედ გამსჭვირვალე გარსი არის — ამას რქისებურ გარსს ეძახიან. გარეგან თეთრ გარსის ქვეშ მეორე ფენილი დევს — ეს საჭურჭლე ანუ **ძარღვიანი** გარსია (სურ. 27). ეს სახელი იმიტომ ჰქვიან, რომ გარსში გადი-გამოდის მრავალი ურიცხვი ძაფისებური სისხლის საღინარი მილები; ეს გარსი თვალის სალაროა, საიდანაც ყველა იმისი ნაწილები იღებენ საჭირო საზრდოს — უანგმბალს და




სურ. 26.—ადამიანის თვალი წინიდან.

1. თეთრი გარსი. 2. რქსებრივი გარსი, იმას იქით თვალის ბაია. 3. თვალის გუგა. აქეე მოსჩანან რორვე ქითუთო — წამწამებით და წარბებით.

არის — ამას რქისებურ გარსს ეძახიან. გარეგან თეთრ გარსის ქვეშ მეორე ფენილი დევს — ეს საჭურჭლე ანუ **ძარღვიანი** გარსია (სურ. 27). ეს სახელი იმიტომ ჰქვიან, რომ გარსში გადი-გამოდის მრავალი ურიცხვი ძაფისებური სისხლის საღინარი მილები; ეს გარსი თვალის სალაროა, საიდანაც ყველა იმისი ნაწილები იღებენ საჭირო საზრდოს — უანგმბალს და


სხვა ასაგებ მასალას. აი ამ სალაროში მოვხვდი და აქედან უნდა
დამეთვალიერებინა ყოველივე. ძარღვიან გარსის იმ ნაწილს,



სურ. 27.

რომელიც რქისებურ გარსის უკან დევს, სახელად **ბაია** ან **ირისეს** ფერი გარსი ჰქვიან. ყველა ადამიანს ეს გარსი ერთის ფერისა არა აქვს; იმაზეა დამოკიდებული თვალის ფერადობა (კისფერი, წაბლის ფერი, შავი და სხვა). ძარღვიან გარსის შუა-გულში მრგვალი ნაჩრეტია, რომელიც მიდის თვალის შიგნით. ამას **თვალის გუგა** ჰქვიან. გარედან მოშავო წინწკალსა ჰგავს: ეს იმიტომ რომ თვალის შიგნით ბნელა. ძარღვიან გარსის უკან მდებარეობს მესამე ფენილი, მესამე გარსი—ეს **თვალთ-ბადეა** და წარმოგვიდგენს მხედველობის ნერვის ბოლოს, შტოებად დაყოფილს. ამიტომ ზოგი ამას ნერვის გარსებასის. თვალის შიგნით, გუგას უკან, მოთავსებულია გამსქვირვალე მომაგრო სხეული—ამას **ბროლს** ანუ **ლინზას** ეძახიან.


(სურ. 28). ბროლი თვალის შიგნეულს ორ ნაწილადა ჰყოფს. წინა ნაწილი სავსეა გამსჭირვალე წყალნაირ სითხით (ცვარით), უკანაში-კი. მოთავსებულია მოთხო და გამსჭირვალე მინის (შუშის) მსგავსი სხეული ანუ სითხე.



სურ. 28.

ეს კარგი, მაგრამ თვალებით საგნებს როგორ ვხედავთ? შევეკითხე ჩემს თავს, როცა უკვე კარგად გავიცანი თვალის მოწყობილობა. თვითონ მე, რასაკვირველია, ვერაფერ აზრს ვერ დავსკვენილი, მაგრამ მიშველა ჩემმა მეზობელმა. შეპხედე, ჩქარა შეპხედე თვალის ბადეს! დაიყვირა ვან უეცრივ. განცვიურებით იქითქენ გავიხედე და, დახე ჩემს გაკვირვებას, როცა იქ შევამჩნიე პაწაწინა ოთახის გამოხატულება, აგრედვე გამოხატულება ჩამოკიდებულ ლამპრისა და მაგიდისა, რომელსაც გარშემო უსხდა რამდენიმე კაცი. გამოხატულება თავ-დაყირა, თავ-უკულმა მოსჩანდა (სურ. 29), ასე რომ პირველად ვერც კი გავარჩიე, მაგრამ შემდგომ, როცა შევეჩვიე, ყოველივე მშვენივრად გავსინჯე და დავათვალიერე. სურათი მუდამ უმოძრაოდ არ ყოფილა, წამდა-უწუმ იცვლებოდა: სჩანს, რომ მაგიდის გარ-

შემო მჯდომარენი ხან ხელებს ანძრევდნენ, ხან ბაგეს ათა-
შებდნენ, თითქოს ერთმანეთს ელაპარაკებიანო. ზოგჯერ



სურ. 29.

შუაში დაბატულია ორ მხრივ გამოშე-
რილი შინი (ლინზა), რომელიც თვალის ბროლ-
სა ჰგავს. სურათი გვიხატებს, როგორ გვეჩვენება
საგნის გარეგნობა ამგვარის მინის შემწევით:
გარეგნივ „აბ“ ლამპარია, მისი თავდაყირი და
დაბატულავებული გამოხატულება მოსწონ მა-
ცხივ, მოკრძო შავი ხაზები „აბ“, „ბე“ ლამ-
პრიდან მომდინარე სტიკია, მიმართულების მა-
ჩვენებულია: სტიკები მინაში იხრებინ, სხვა მიმარ-
თულებას იღებენ, ერთი-მეორეს ჯვარედინდ
გადაებიან. რის გამოც ლამპრის გამოხატულება
მინის მარცხივ თავდაყირა გვეჩვენება. შისული
სტიკები ბროლში გადისრება და საგნის გამო-
ხატულება თვალთ-ბადეზე აღიძეჭვება.

ბული ლამპარი, იგივე ქალი და კაცი, იგივე მაგიდა, უფრო
დიდის ზომისა და არა ის პარაწყინტელანი, როგორც თვალის
ბადურზედ ვხედავდი.

ხომ ჰედავ ახლა! — მითხრა ჩემმა მოსაუბრემ, რომ თვა-
ლის ბადურზე მხოლოდ იმის გამოხატულება გამოჩნდა, რაც
ამ ხანად ნამდვილ თვალებ წინ იმყოფება. სწორედ ამნაირადვე
მივიღებთ საგნების გამოხატულების სურათს მკრთალ ფოტო-
გრაფიულ აპარატში. რადგანაც თვალთ-ბადე მხედველობითის
ნერვის შტოებათ დაყოფილი ნაწილია, ამიტომ ამაზე აღნიშნულ
საგნის გამოხატულება ამ ნერვით დიდ ტვინთან მიაღწევს და
იქ გონებას შეუძლია კარგად დაასურათხატოს ყოველივე,
რაც თვალთ-ბადეს მოხვდა.

ყურს უგდებდი მეზობლის ახსნა-განმარტებას და ამავე
დროს თვალს ვაღევნებდი თვალთ-ბადეზე გამოხატულებას.

სახეზე ლიმილიც ეტ-
კობოდათ, ხან თავ-
საკვანევდნენ ხოლ-
მე. სრულებით ვერა
გავიგე-რა იმათის მი-
ხერა-მოხერისა და ხე-
ლების შლისა. აბა,
ახლა იქით გადიხე-
დე! მიმითითა ხელ-
მეორედ ჩემმა მეზო-
ბელმა თვალის გუგა-
ზედ.

შევიხედე იმ მხა-
რეს, თვალის გუგა-
ში. იქაც სულ მთლად
ისეთი ოთახი იყო,
ისეთივე ჩამოკიდე-
ბული ლამპარი.

უეცრად... ეს რა ამბავია? ერთის წამის წინად სრულიად ნათელი სურათი თვალთ-ბადეზე მოსჩანდა, ახლა კი გაჰქია, თვალის შიგნით სულ მთლად დაბნელდა...

— რა მოჰხდა?

— მაინც და მაინც არაფერი! — ჩაიცინა ჩემმა მეზობელმა, როცა განცვიფრებული დამინახა.


საიმისო არაფერი მომხდარა, მხოლოდ ჩვენმა ბიჭუნიამ თვალები დახუჭა, ოვალში სინათლემ ვეღარ შეატანა და ამიტომ სურათი გაჰქია, აღარ მოსჩანს.

ამ დროს თვალში ისევ სინათლე გამოჩნდა და ოთახის გამოხატულება ხელ-ახლა აღიბეჭდა თვალთ-ბადეზე.

— აი ბიჭუნიამ თვალი კიდევ გაახილა! — წაილულლულა მეზობელმა. ცოტა ხანს შემდეგ, სინათლე ისევ გაჰქია, კიდევ და კიდევ, უფრო ხშირად და ხშირად.

— ჩვენს ბიჭუნიას ძილი მოერია! — გადაჭრითა სთქვა ჩვენმა მეზობელმა და უთუოდ ამიტომ მისი თვალები აგრე ხშირ-ხშირად იხუჭება. როცა ადამიანი იძინებს, მაშინ თვალები უნებურად ხშირ-ხშირად ხამხამებენ, ქუთუ-თოები მძიმდებიან და ძლიერ-ძლიობით მოძრაობენ, ასე რომ ბოლოს მაინც დაეშვებიან, დაიხუჭებიან და ამ დროს ადამიანიც ძილს მიეცება.

ეს მართალი იყო. ჩვენს ბიჭუნიას, როგორც ეტყობოდა, მართლა ძილი მოერია, თუმცა (სურ. 30) თვის თვეს ძალას ატანდა, თვალის ქუთუთობი სულ უფრო და უფრო ეხუჭება.



სურ. 30.


თვალის კაკალი და მისი კუნთები, რომელნიც თვალს მოძრაობაში ჰქველიან.


თვალის კაკალი და მისი კუნთები, რომელნიც თვალს მოძრაობაში ჰქველიან.

ბოდნენ, თავი უღონოდ ძირს ეშვებოდა. ბოლოს ისევ თვალთბადეს დაუწყე ცქერა და შევამჩნიე, რომ ოთახის გამოხატულება საოცრად იცვლება. აღმოჩნდა, რომ პატარა ბიჭუნია სასაღილო ოთახიდან საბავშოში გაეყვანათ და ყოველივე, რასაც კი მისი მილულული თვალები მისწვდებოდა, თვალთბადეს გადაეცემოდა, იმაზედ აღიბეჭდებოდა. ბავშვების ოთახი ვერას გზით ვერ ავათვალიერ-ჩავათვალიერე, რაფგანაც ბავშვს თვალის ქუთუთოები დაეხუჭა და აღარ ახელდა. ზოგჯერ, როცა ბიჭუნია ერთ წუთას თვალს გაახელდა, მოსჩანდა რაღაც მის წინ დახრილი სურათი, რომელიც დიდის მზრუნველობით ტანთ ჰქონდა და ლოგინში აწვენდა.

ბოლოს ქუთუთოები მთლად ჩამოეშვნენ, შემდეგ აღარც აწეულან ზევით, არ გახელილან და თვალებშიც სრული წყვდიალი გამეფდა. ცოტა ხანს კიდევ დავიცადე, მაგრამ თვალები მაინც არ გახილულან. ბავშვს ეძინა.

— დროა უკან დავბრუნდეთ,—უთხარი ჩემს მეზობელს და თვალიდან გამოვძერი.





XI


ച ശ ന റ

വ്യേതമാ ദാാമതായ്രാ തവാല്ലേഡിസ് ശ്വേശാഖേദി സാഖുഭാരി. നാമ്മുന-
സാമ്പേ കാൻസ് സാജ്രതന ദിപ്പമില്ലി ഹിമന്വാരലാ. ഭന്നമും എന്തമാ
ഈവ്യേതതാഗാനമാ ഒന്നിത്വാ:

— ഒപ്പിത, നാ അരിസ് പുരി, അം നിസ്ത്വീസാ സാഘിരിന അടാഞ്ചി-
നിസാത്വീസി? — അരാ, അരാ! അ വിപ്പിത! ഗ്രോമ്മെ! ഗാംഡാബോൾഡിനു പുന്നേണ
ഥിരിറാം.

— ഒരു കി ഗബുരന്ത, ദിലിസ് സിഹിന്വുന്നേഡിനു, — ഉദാശുഖാ ഈവ്യേ-
തമാ, ഇ ഇ അരിസ് ഒന്നിരാം ദാവുഡരിഞ്ഞിലാ. തിന്റുവേലു പുന്നവലിസ ഉന്നിലാ
ഗിതക്രാത, നുമ അഡാമിാൻസ്, നുമന്നുപ തവാല്ലേഡി, ഒരു പുരിജേഡിപ
താവും അക്കു മന്താവശ്വുലി. ഗാർജേദാമ മാംസിാൻസ് മിന്നല്ലം എന്തി
ബാംഗിലിരു പുരിഡി, നുമേലിസാപ ഗാർജേതാ പുരി അഞ്ചു പുരിഡി
ബിഡിലി കുഞ്ഞിരാം. പുന്നേണ സിംഗാ ബാംഗിലി പുരിഡി, നുമേലിസാപ അഡാ-
മിാനിസാത്വീസി ഉത്തരം ദിലി മിനിശ്വുന്നേണലിഡാ അക്കു. മാഗാലിനിതാഡ ശും-
ഡാ ശിഗ്നിതാ അഞ്ചു ശിഡാ പുരി ലർമാദ ഹിമാലിഞ്ഞി താവിസ കുലിസ
ക്വലേഡിശി ഡാ ഗാർജേദാം അപ കി മാംസിാൻസ്. പുരിഡി അഡാമിാനിസാ-
ത്വീസ തിത്തിമിസ ഒപ്പേതിവേ. ദിലി മിനിശ്വുന്നേണലിഡാ അക്കു, നുമന്നുപ
തവാല്ലേഡി. പുരിജേഡിസ ശ്വേശാഖേദിനു ഒമ്മേൻസ പുന്നേണിനാിര ദിവുരാസ
കൊറിഡിസി, മാഗ. ക്രമാ, ലാബുംബി, ശ്രിരാജിസ, കുബുകാബി ഡാ സിംഗാ. മാ-
തിസാവേ ശ്വേശാഖേദിനു ഇംഡിസ ബുംബേഡിസ സിംഗാ-ഡാ-സിംഗാ ഗ്രാരി ക്രമാ-
ഖിഡാ, ഉല്ലിഡുരി കുബുകാ-കുബുകിലിസ ഡാ കുരാ-ബുംബേഡിസ സാശിനേണ
ലർബാലിഡാം ദാംവുഡുലി വില്ലരു ടുരിന്വേലിതാ നാം സ്റ്റ്രേബ-ഗാ-
ലിഡാംഡേ, നാജാഡുലിസ ഈബനാർ ഹുബുകുശാമഡേ, ഇംഡിസ ശ്രിരാജുല
തുംബി ശ്രിരാജി ഡാ അംവാന്വുഡുല മിന്ദുര-ബാലാബിസ ലഭേര-ബിഡിനി.
അഡാമിാനിസ നുമ സിംഗാ അ ക്രമാന്വിഡാ, പുരിപ മുസിപിതാ ഡാ ഗാല്ല-

ბით დასტკბებოდა: ვერ შესძლებდა ეცნო ხმაზედ აღამიანი, ვერ გაარჩევდა ცხოველთა ყვირილს, ვერ გაიგონებდა შწერთა ბზუილს; ერთის სიტყვით, ყრუ იქნებოდა და ეგონებოდა, ჩემს გარშემო სამარადისო მყუდროება მეფობსო. როცა ყურს უახლოვდებოდი, ყველაზე უფრო იმისმა რთულმა, ბრძნულმა მოწყობილობამ გამაოცა. წარმოიდგინეთ პაწია ძვლების კაკ-ნატელთა მთელი გროვა მეტად მოხერხებულისა და გასაკვირ-ველის აგებულობისა. ყველა ერთმანეთს ახლო აწყვია, თი-თქმის ეკვრის ერთი მეორეს, ასე რომ საკმარისია მხოლოდ ერთ ძვალს ანუ კაკნატელს შეეხო, რომ მოპრაობაში მოვი-



სურ. 31.—სმენის ორგანო.


1. ყურის ბიბილო.
2. გარეგანი ყურის შე-საჭალი.
3. ყურის აპკი (დაფუ).
4. შუა ყური.
5. ექსტანის მილიც ჩახას და ყურის უკანა ნაწილს უერთდება (სურ. 38,2).
6. ჩიკუჩი.
7. გრდემლი.
8. უზანგი.
9. ლოკოკინა.
10. კარიბე.
11. სამი ნახევარ რგოლიანი მორკალული შილი.

იწყება შუა ყური, რომელიც ვიწრო მილის (ევსტახის მილის*) საშვალებით ხახასა და ცხვირის უკანა ნაწილს უერთდება. შუა

*) ევსტახი სახელია იტალიურ ექიმისა. რომელმაც პირველმა აღმოაჩინა ეს მდლი, ამიტომ მის სახსოვრად დაერქვა მილს ეს სახელი.

დეს, შეეხოს თავის მეზობელს, ხოლო ეს მეორე ამ მოძრაობას მესამე მეზობელს გარდასცემს და ამ გვა-რად ყველა მოძრაობაში მოვა. ბიბილო-დან რომ დავიწვოთ, ყურის ნაწილები ამ რიგად არის ჩამორჩი-გებული (სურ. 31). ყურის ბიბილო, გა-რეგანი ყურის გასა-ვალი ანუ სანათური, რომლის ბოლოზე გა-კიმულია ყურის და-ფი (აპკი). ყველა ესე-ნი შეადგენენ გარე-თა ყურს. შემდგომ

ყურის სილრუვეში მოთავსებულია სასმენი ძვლები: ჩაქუჩი, გრდემლი და უზანგი. ჩაქუჩი ერთის ბოლოთი (ხელტარით) შეზრდილ-შეხორცებულია ყურის აპკთან, მეორეთი (თავით) შეერთებულია გრდემლთან, გრდემლი—უზანგთან, ხოლო უზანგი მიბჯენილია შიგნითა ყურის კედელზე. შიგნითა ყური, რომელსაც ლაბირინტის ეძახიან,* შეიცავს ლოკოკინას, კარიბჭეს და სამს, ნახევარ-გრგოლიან არხს. მთელი სილრუვე შიგნითა ყურისა ყოველ მხრიდან მჭიდროდ შემოზღუდულია. შიგნით მოთავსებულია გამსჭვირვალე სასმენელი სითხე და კირის პაწაწინა მარცვლები (სასმენი კენჭები). ლაბირინტის შემოდის სასმენი ნერვი, რომლის დასაწყისიც მოგრძელო ტვინშია მო-



სურ. 32 და 33.—შიგნითა ყური (ლაბირინტი).

მარცხნივ—მრთელი, მარჯვნივ ძეალი ოდნავ მოცილებული აქვს. მარცხნივ: 1. ლაბირინტის კარიბჭე. 2, 3 რგვალი და კვერცხებრ წოროლა სარკმელი. 4, 5, 6—სამი მორკეალული მილი. 8. ლოკოკინა. მარჯვნივ: 1. კარიბჭის სილრუვე 2, 3, 4—ლოკიკინის ჭვლები. 5. რგვალი სარკმელი. 6, 7, 8—სამი ნახევრად მორკეალული მილი.


თავსებული. სასმენი ნერვი როცა ლაბირინტში შედის, მრავალ, ურიცხვ ძაფისებრ წვრილ ბეწვებად იყოფა (სურ. 32 და 33) და ლაბირინტს შიგნითა პირზე მოეფინება. დიდხანს ვათვა-

*.) ლაბირინტი ძველ დროს ერქვა ისეთ შენობას. რომელსაც მრავალი, უზიცხვი თათახები ჰქონდა და ეს თათახები ისე იყო აშენებული, რომ თუ ერთხელ შიგ შეხვიდოდა, გარედ გამოსვლა ძნელი იყო; ამიტომ ეხლა ძლიერ დახლართულ შენობას ლაბირინტს უწოდებენ. შიგნითა ყურის ნაწილიც ძლიერ დახლართულია.

ლიერე ყურის ყველა ეს ნაწილი, მაგრამ ვერას გზით ვერ გავიგე, თუ რანაირად შეუძლან ადამიანს მათის შემწეობით სხვა-და-სხვა ბერის მოსმენა. ამ მოვლენის ასაღსნელად ბოლოს ჩემს მეზობელს მივმართე.—იცი, რა არის ბერა და ან როგორ წარმოსდგება? მკითხა ერთმა მეზობელთაგანმა.

— არა, არ ვიცი,—უპასუხე გულახდითა.

— მაშ, არც გასაკვირველია, რომ ამ მოვლენისა არა გაგებოდეს-რა, რადგან თავი და თავი, უპირველესი რამ არ გცოლნია. ბერია ჰქვიან ჰაერის რხევას, რომელიც ტვინს გადაეცემა ყურების საშუალებით. ჰაერის რხევა შეიძლება გამოწვეულ იქმნას მრავალ ნაირის მიზეზით, მაგ. სიმის ელერით, გაჭიმულ აპკის მოძრაობით, ერთი სხეულის მეორეზე დარტყმით და სხვა. ყველა ამ შემთხვევაში თვით მთრთოლარე ანუ მოძრაობაში მოსული სხეული შეანძრევს და შეარხევს მის ირგვლივ მდებარე ჰაერს. ეს რხევა-მოძრაობა ჰაერისა ამ სხეულიდან ზღვის ჭავლივით ყოველ მხრივ ვრცელდება და ამნაირად ყურამდე მიაღწევს (სურ. 34). შეჰე-



სურ. 34 — მგრძნობელ სხეულიდან ჰაერის ტალღა
გავრცელება.

დე, აი, ამ წუთს ყურის აპკმა უეცრად რხევა იწყო. ეჭვს გარეშეა, რომ მასთან ბერათა ჭავლს მიუღწევია. დაუკვირდი, აპკის რხევის ზედ-გავლენით ჩაქუჩი მოძრაობაში

მოვიდა; აი, მისი ტარიც შეინძრა, ხოლო თავი მისი გრძემლს დაეჯახა. ახლა გრძემლმა ეს მოძრაობა გადასცა სხვებს—უზანგს, ესეც დაიძრა. ამ გზით და ამ წესით რხევა-მოძრაობამ ლაბირინტამდის მიაღწია. ლაბირინტი, როგორც უკვე იცით, ავებულია სასმენ სითხით. შეპხედე, ეს თხელიადიც მოძრაობაში მოვიდა, სწორედ ისე, როგორც სასმენი პატარა ძვლები. იი ამ წუთში ყოველივე ტვინს გადაეცემა, ტყუილა უბრალოდ ხომ არ არის ლაბირინტის კედლები დეპეშის მავთულებით თავის ტვინთან შეერთებული! გსურთ იცოდეთ, რას გარდასცემენ ეს მავთულები ჩვენს მეფე-გონებისათვის შემდეგი გარდაუცია: „სჩანს, ჩემო კარგო ბიჭუნიავ, ძალიან გეძინება, გთვლებს? ბარემ მალე ივახშე და ტკბილად დაიძნე. —ამას უეჭველად ვიღაც უფროსთაგანი ურჩევდა ჩვენს ბიჭიკოს. ამას ჩვენც კარგად მივხედით. აბა, ყური დაუგლოთ, შემდგომ რა მოხდება? ამავე წუთში სასმენშა ნერვმა ტვინს სხვა ახალი ამბავი მოუტანა: „არა, ჯერ არ მეძინება, ცოტა ხანს კიდევ დავიცდი.“ ამ ხნის განმავლობაში აპკი თითქმის შეუწყვეტლივ ინძრეოდა, თრდოდა, ჩაქუჩი სულ გრძემლსა სცემდა, რომ ამას მოძრაობაში მოეყვანა უზანგი; უზანგის მოძრაობას თან მოჰყვებოდა სასმენ სითხის ღელვა და ამ გვარად ნერვები მეფეს სულ ახალ-ახალ ამბებს აცყობინებდნენ. ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ! გადასცემდნენ ნერვები ტვინს. უსათუოდ ეს ჩვენის კედლის საათის ხმა იყო. ისმოდა იგრძელვე სამოვრის შიშინი, ლაპარაკი, ფეხების ფრატუნი, ჭურჭლის წკარუნი და სხვა. ყველა ეს ბგერანი განუწყვეტლივ ერთმანეთს მოსდევდა და ნერვებსაც კეთილ-სვინიდისერად მიჰქონდათ ტვინთან. სჩანს, ნერვებს დიღი ჯაფა ადგია! — შევნიშნე მე. დიალ, დიდი ჯაფა,— მომიგო ჩემმა მოსაუბრებ. მაგრამ უეჭველია იმათაც დაუდგებათ მოსვენების დრო. შეამჩნიეთ, როგორი ნამძინარევი ხმა აქვს ჩვენს ბიჭუნიას? მალე ჩვენი მეფეც ლრმა ძილს მიეცემა. როცა იმას სძინავს, მაშინ სასმენი ნერვებიც განისვენებენ, სწორედ ისე,


როგორც მხედველობისა. ისინი მხოლოდ მაშინ შეაწუხებენ მეფე-გონებას, როცა რაიმე არა-ჩვეულებრივი ამბავი მოხდება, მაგალითად, როცა რაიმე დაირახუნებს, ან ვინმე ხმა-მაღლა დაიყვირებს და დაკივლებს. ისეთნი სუსტნი ბგერანი, როგორიც არის მაგალითად საათის ხმა, წყნარი ლაპარაკი, ნელი ნაბიჯი ჩვეულებრივ მეფე-გონებამდის ბოლოს დროს ვერ მიაღწევს, მეტადრე თუ ტვინი-გონება ძალიან დაღლილია.

ვიდრე ჩვენ ვბაასობდით, ნერვები მუშაობას განაგრძობ-დნენ.

— შეჰედეთ, ბავშვს სულ მთლად ჩაეძინა! — ძლივს-ლა შემოგვესმა. ეს იყო უკანასკნელი ცნობა, რომელიც ჯერ კიდევ, ასე თუ ისე, მოჰქონდათ ბურანში წასულ მსახურთ ნახევრად მიძინებულ მეფესთან.

შემდგომ რამდენსამე ხანს კიდევ შორიდან მოდიოდა ყრუ ხმაურობა, არეული გუგუნი, მაგრამ, რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენად ყოველივე მშვიდებოდა და ბოლოს მთლად მისწყდა ხმაურობა. ბიჭუნიას დაეძინა. რამდენსამე წუთს კიდევ დავრჩი იქ და შემდეგ-კი უკან გამოვბრუნდი.





ХII

ენა. ცხვირი

ეი, ამხანაგებო! — იკითხა უეცრად ერთმა სისხლის წვეთ-
თაგანშა: ხომ არაყან იცნობთ ენას? ხომ იცით, რომ
პირში სცხოვრობს; საკვირველი გულ-კეთილია და მას-
თანავე სქელი. იცნობთ? — არა, არა, — მოისმა ყოველ მხრიდან
ყვირილი. — მე კი ცოტათი ვიცნობ, — გაისმა ვიღასიც მისუს-
ტებული ხმა. ეს იყო პატარა წვეთი-მოგზაური, რომელსაც
დიდი ხანია ერთი სიტყვაც არ დაუძრავს და მხოლოდ გულ-
მოდგინედ ყურს უგდებდა თავის მეგობრის ლაპარაქს. — მე
მინახავს — განაგრძო წვეთმა, ჯერ მაშინვე, როცა პურის ლუ-
კმაში ვიყავ. ჩვენ მაშინ პირში ჩავვარდით და, აი, შემთხვევა
მქონდა ენას გავცნობოდი. ძალიან დიდი კაცია.


— არც აგრე დიდია, — გააწყვეტინა სიტყვა იმ წვეთმა, რო-
მელმაც პირველმა დაიწყო ენაზედ საუბარი. ეგ „დიდი კა-
ცი“ ეჯიბია და სხვა არაფერი.

— რას ბრძანებთ! მაშინ თვითონ გვითხრა, პირის პატ-
რონი და მასპინძელი ვარო!

— ეგ სრული ქეშმარიტებაა! მხოლოდ თვითონ პირი,
რომელსაც ენა პბატონ-პატრონობს, ბატონ სტომაქის წინა
ოთახია, მისავალია მის: ბინა-საყუდელამდე. ყველა, ვისაც
კი პსურს — სტუმრად ეწვიოს სტომაქს, აუცილებლად თავ-
დაპირველ პირში უნდა მოჰვდეს. აქ სქელი ენა თვითეულ
სტუმარს მიეგებდა და უწინარეს ყოვლისა ცნობებს შეჰკ-

რებს, თუ კინ მოვიდა, რისთვის, აპხედ-დაპხედავს ახალ მოსულს. ვაი იმას, ვიზედაც ეს მეკარე ეჭვს აიღებს, ასეთ სტუმარს არას გზით იქრთ ალარ გაუშვებს; პირდაპირ გამოუცხადებს, შორს დაიკარგე, მომშორდი თავიდანაო, მოური-დებლად კარში გამოისტუმრებს. მაგრამ თუ სტუმარი სასურველია და ეჯიბს მოეწონა: მაშინ არა-ჩვეულებრივი სიყვარულით მიიღებს და სცდილობს, რაც შეიძლება, დოდხანს მოაცდევინოს პირში და საშველად თავის მეგობაფ-მსახურთ ე. ი. კბილებს დაუძახებს. თქვენ იცით, რომ ჩვეულებრივ ყველა ზრდილობიანი სტუმარი, სანამ სასტუმრო ოთახში შევიდოდეს, გარეთა ტანთსაცმელს წინა ოთახში დასტოვებს, თავის-თავს წეს-რიგს მისცემს და მხოლოდ შემდეგ მიღის მასპინძლის ოთახში. აქაც ისეა. თუ ენის აზრით, მნახველი რიგიანი სტუმარი აღმოჩნდა და შეიძლება მისი გაშვება, კბილები ვალდებულნი არიან ენას დაეხმარონ, მნახველს ისეთი სახე მისცენ, რომ შესაძლებელი გახდეს მისი პატივით მიღება სტომაქის სასტუმრო ოთახში. ამ წესით ენას დიდი მოვალეობა აწევს. მან უნდა გაიცნოს პირის თვითეული მნახველი, რომელსაც სწადიან ქვემოდ, სტომაქის ბინა-საყუდელში შესვლა და მის ნებაყოფლობაზეა, გაუშვას თუ დააკავოს. ვინ არიან ეს მნახველები, რომელნიც პირველად პირს ესტუმრებიან? უეჭველია, მიხვდებოდით, რომ ეგენია საჭმლის ლუკმანი, რომელსაც ადამიანი პირში იდებს. ამ ნაირად ენა საჭმლის აჩევანს განაგებს და, რადგანაც ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მთელ სხეულისათვის, ამიტომ ენას სრული უფლება აქვს თავი მოიწონოს და იდიდკაცოს, თუმცა ნამდვილ, საქმით, მხოლოდ მოსამსახურეა და სხვა არათერი. ენის შემწეობით ამა თუ იმ ნივთიერების და საჭმლის გემოს გავარჩევთ. ენის ასეთ ნიკა გემოვნების გრძნობა ჰქვიან. ენა ზემოდან დაუარულია მრავალ, ურიცხვ, თვალისათვის ოდნავ დასანახის ხაოთი (სურ. 35). ეს გემოვნებისა და შეხების დვრილებია, რომელნიც აქედან თავის ტვინთან არიან შეერ-

თებულნი ნერვებით. გემოს დვრილების და ნერვების ძაფების შემწეობით ტვინამდის მიაღწევენ ცნობანი სხვა-და-სხვა ნივთიერების გემოს შესახებ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გემოს მხოლოდ მაშინ ვსცნობთ, როცა პირში ჩავარდნილი ნივთიერება ნერწყვში გაიხსნება, მაგ. შაქარი, მარილი და სხვა. იმ ნივთიერებას, რომელიც ნერწყვში არ გაიხსნება, მაგ. მიწა, ქვა, ვერცხლი, არავითარი გემო არა აქვს. როცა ენის ერთერთ სისხლის მილში ვიყავ, ჩვენი ბიჭუნია მაშინ ვახშმად იჯდა. წინა ოთახის კარები (ტუჩები) გაიღებოდნენ და ყოველ წუთში შეუშვებდნენ სულ ახალასალ მნახველებს. საბრალო ენა, რა ვაი ვაგლახუ იყო! პირველად გაჩნდნენ ხორცის ლუკმები. ამ სტუმრებით ენა მაინც და მაინც კმაყოფილი არ ყოფილა, ზანტად მოძრაობდა და სულ რაღასაც ჰყბედობდა; ამბობდა, ხორცი უგემურია, მაგარია, ცუდიო. ერთის სიტყვით, უნდოდა როგორმე მისი თავიდგან მოშორება. არც პური მოსწონდა, არ ვიცი, რატომ. ამბობდა, მუავეაო და უგულოდ, უნდობლად ჰგავნიდა სტომაქში. მაგრამ როცა ჯერ ტკბილ საჭმელზე მიდგა, ძალიან გამოცოცხლდა. ძლივს ვი-



სურ. ვა. — ენა. ზემოდან მოსჩან-ნ. ნ წერტილები ვით გამოვნებისა და შეხების საკრძნი აბელი დერი-ლები.


შეხების დვრილები ძაფისებრივი და ენის შუა ნაწილზეა დაფანტული (8 და 10); გემოვნების დვრილებს ენის წინა და უკენა ნაწილი უჭირავს. ზოგი შათვანი სოკონა ჰგავს (5 და 9); ზოგიც თითქო ირგვლივ თხრილ-შემოზღუდულია (4 და 7). 1 და 8 პატარა პარკის მზგავსი ჯირყვლებია ენისა. 2. ნუშის მზგავსი ჯირყვლი. 3. პრმანენტურეტი, რომელიც თხრილ შემოვლილ დერილის ბოლოშია მოთავსებული.

ცანი ჩვენი მსხვილი ეჯიბი. ისე ცოცხლად მოძრაობდა, მარტად და დაუზარებლად ემსახურებოდა მნახველებს, რომ ისინი ელვის სისწრაფვით ჰქონდოლნენ ერთი მეორეს შემდგომ საჭმლის საყლაპავ მიღის ბნელ შესავალში და მიექანებოდნენ სტომაქისაკენ.

— აღარ გეყო, ჩემო ბიჭუნიავ, ამდენის ტკბილის ჭამა? — ალექსით დაეკითხა დედა; ფრთხილად იყავ, ძილის წინად ამდენის ტკბილის ჭამა სასარგებლო არ არის, პირიქით, მავნებელიცა.

— არა, არა! ცოტას კიდევ,— წარმოსთქვა ენამ, მხოლოდ ცოტას გიახლები.— იცი, მომიბრუნდა ერთი ჩემი მეზობელთაგანი, — ჩვენს მსხვილ მეკარეს (სურ. 36) განსაკუთრებით უყვარს პირის ზოგიერთი მნახველი და მზად არის გაუშვას თავის ბატონ-პატრონის ბინა-საყუდელში, სტომაქში და სრულებით არ ზრუნავს და ფიქრადაც არ მოსდის, მოეწონა ის სტომაქს თუ არა. აი, მაგალითად, ამ წუთში რა სიხარულით და კმაყოფილებით ეგებება ტკბილის პურის და კონფეტის ნაკერსა. მის ბატონს უეპველად ესიამოვნებოდა ისეთი სტუმრები, როგორიც მაგ. პური ან ხორცია, მაგრამ, სიმართლე უნდა ესთქვათ, რომ სტომაქი საზოგადოდ ძალიან მოყვარულია ზომიერებისა და არ ესიამოვნება, როცა ერთად ბევრი სტუმრები ეწვევიან ხოლმე, ვინც უნდა იყვნენ. ამ შემთხვევაში ყოველთვის ბრაზი მოსდის, დეპეშით უგზანის გაფრთხილებას და საჩივარს მეფე-გონებას, როგორმე დაარიგე თავხელი მეკარე, რომელსაც დაჰვიწყებია თავისი მოვალეობა და, როცა ეს თხოვნა-მუდარა აღარ გასჭრის, მაშინ თავს ავადმყოფად აცხადებს და სრულიად უარს ამბობს სტუმრების მიღებაზე. ჩვენს ბიჭუნიას, როგორც სჩანს, ისეთი ჯერ არაფრი არ შემთხვევია...


აქ ჩვენი ბაასი შესწყდა. შემომესმა ენის ერთი წინადადება, რომელიც ვერას გზით ვერ გავიგე. — რა მშვენიერი სუნი აქვს ამ კონფეტებს! — ამბობდა ენა. — რაზედ ლაპარაკობს ამა? გავიკვირვე. — დაიცადეთ, ყური დამიგდეთ. საქმე ის



სურ. 36.—ადამიანის სახე და კისერი, შეა გაკვეთილი
სიგრძეზედ.

სურათზე სხვათა შორის მოსჩანან: პირის სილრუვე (11), იქვე
თითო კბილი, ზედა და ქვედა ყბაში ჩამჯდარი; მაგარი სასა (12),
ძის უკანა ნაწილი—რბილი სასა (4); ენი და მისი ძირი (7), ენის
კუთი, რომლითაც ქვედა ყბაზე მიზარდებულია (13), საყლა პავ
მილის დასაწყისი (9), სასულე (10) და ხორხის ბრტილე-
ბი ფარავრილია (17, 18, 19), მოსჩანის აგრედევ ხორხის საფარი ბრტი-
ლი 18, რომელიც სტემის გადაყლაბების დროს ხორხის პირს გა-
დაეჭარება, რომ შემთხვევით ლუქმა საყლაბაფს არ ასცდეს და სა-
სუნთქმილში არ მოძრდება. გეგდავთ ევსტაზის მიღწევას (2)
ენის ქვეზა ძვალის (15) ნახევს (ნაკლიტს) და სხვ.

არის, რომ კარის ახლო-მახლო, მის ზემოდამ, სცენორობს ენის ერთი უმახლობელესი თანაშემწე და მეგობარი—ცხვირი. ენა იკვლევს საჭმლის გემოს (სურ. 37), ხოლო ცხვირი იგებს იმის სუნს. ხშირად მოქმედება, ენა თავისთავად ვერ გადასწყვეტს, სასურველი იქნება ესა და ეს სტუმარი მის ბატონ სტომაქისათვის თუ არა. მაშინ ცხვირს მიჰმართავს და ის სუნით გამოიცნობს, შეიძლება თუ არა ამ მნახველ სტუმრის ქვემოდ, სტომაქისაკენ გაშვება. მაში, ცხვირი ყნოსვის ორგანო ყოფილა, სუნით სცნობს სხვა და სხვა ნივთიერებას. უმეტეს შემთხვევაში ყველა, სტომაქისათვის მავნებელ ნივთიერებას, წამხდას და დამპალს რაღაც მშიმე, არა-სასიამოვნო სუნი ასდის. ამას სხვათა შორის ყნოსვით გაარჩევენ და საჭმლად აღარ იხმარებენ. ასევე



სურ. 37.—საჭმლის სავალი გზა პირიდან სტომაქში.

მოსდის ჰაერსაც: სანამ სასულესა და ფილტვებში ჩავიდოდეს, ჰაერმა უნდა მოიაროს ცხვირი; თუ ჰაერი წამხდარია და ცუდის ლირსებისა, ცხვირი იმწამს დეპეშით (საყნოსველ ნერვებით) მეფე-გონებას შეატყობინებს და ისიც ფეხებს უბრძანებს, მთელი ტანი სუფთა ჰაერში გამოიყვანეო. ამ ნაირად ორთავე მეგობარს—ენას და ცხვირს—დიდი მნიშვნელობა აქვთ ადამიანისათვის; პირველზე დამოკიდებულია არა თუ სტომაქის ჯანმრთელობა, არამედ ჯანმრთელობა სასუნთქავ ორგანოთა. მართლაცა და ცხვირი დროზედ რომ არ გვაფრთხილებდეს, ხშირად ისეთ წამხდარ ჰაერს ჩავისუნთქავდით, რომელიც მთელ ჩვენს სხეულზე ძლიერ ცუდათ და მავნებლად იმოქმედებდა. ცხვირმა რომ კარგად შეიტყოს რომელისამე ნივთიერების სუნი, საჭიროა, ეს ნივთიერება იყოს ორთქლებადი, ესე იგი სცილდებოდეს მცირებელ

უმცირესი ნაწილები და ჰაერთან ერთად ცხვირის სიღრუვე-ში შედიოდეს. როცა სუნიან ნივთიერებათა ნაწილები ცხვირის ლორწოიან გარსამდის მიაღწევენ, გააღიზიანებენ ამ გარსსა და შიგ მოთავსებულ საყნოსველ ნერვებს (სურ. 38). ამ ნერვის გაღიზიანება გარდაეცემა ტკინსა და ის გამოიცნობს სუნის ოვისებას. არა ორთქლებადს ნივთიერებას სუნი არა აქვს, ასეთია მაგ. შაქარი, მარილი, მიწა და სხვა. მაგრამ არიან ისეთი ორთქლებადი ნივთიერებანიც, რომელნიც ყოველსავე სუნს მოკლებულნი არიან, მაგ. წყლის ორთქლი. ადა-მიანს რომ რაიმეს სუნი ეცეს, მისი ცხვირის ლორწოიანი გარსი სველი უნდა იყოს. როცა ეს გარ-სი გახმება, გაშეშდება, — ასე მოხ-დება მაგალითად გაცივების დროს, — მაშინ სიმახვილე ყნოსვისა სუსტდება და ზოგჯერ ყნოსვა სულ მთლადაც დაიკარგება. აი, რაც შემიძლიან მოგახსენოთ ენისა და ცხვირისა, — დააბოლავა ავისი ბაასი სისხლის წვეთმა.



სურ. 38. — საყნოსავი სი-ღრუვე შუა გაკვეთილი სიგრძეზედ, მოსჩანან სა-ყნოსავის ნერვებს უროები. ცხვირის ნესტო, ზედა ტუჩი და კბილი





XIII

ძვლები, კუნთები, კანი და თირქმლები


„ტაკ-ტუკ“! მოისმის სადღაც შორიდგან. ეს გული სძგერს. ტაკ-ტუკმა პატარა მოგზაურმა წვეთმა ახლა ეს კარგად იცის; აი, წვეთების გროვამ ღრუ ვენის ბოლომდის მიაღწია. აქ სალაპარაკოდ ვისლა სცალიან.

— ტაკ-ტუკ! მათ წინ საჩქველი უეცრად გაიღო, გადიშალა და წვეთები რიგ-რიგით სწრაფად გაჰქირნენ წინა გულის ბნელ სილრმეში.— ტაკ-ტუკ! კიდევ დასძგერა გულმა და წვეთები მარჯვენა პარკუჭიდან გამოცვინდნენ და სწრაფად ფილტვების არტერიებს მიაშურეს. ჩვენ ხელახლა ძველ ნაცნობ გზით მოვდივართ, ფიქრობს ჩვენი მოგზაური; ჰო რასაკვირველია. ამ წუთს ფილტვებში შევალთ, შემდგომ კიდევ გულში და სხვა. ჩვენი წვეთი ახლა ძველებურად ხამი და გამოუცდელი არ არის, ახლა სწავლული და გამოცდილია, მეზობლებს თავს აღარ აბეზრებს გამოკითხვით და უბრალო რამ მოვლენა აღარ შეაკრთობს, აღარ შეაშინებს.— წვეთი ყველა აშით, რასაკვირველია, ამპარტავნობს და თავი მოაქვს. ახლა აქ ყოველივე ჩემთვის ნაცნობია, მაგრამ ამ წუთს ჰედავს მრავალ წვრილ, წმინდა და მოგრძო ძვლებს. ეს რალა! ჰფიქრობს და თან სცდილობს მოიგონოს, რაც-კი რამ წინად უნახავს. მაგრამ ამაოდ! უეცველია, პირველად ჰედავს.— მითხარით, გენაცვა, მიუბრუნდა მეზობლებს:— ამ ძვლებს რა ჰქვიან?— ეს ნეკნებია. რასაკვირველია, ჯერ არ


დაგვიწყებია ჩვენის მეგობრის საუბარი იმ ფრიად მშვენიერ დარბაზის შესახებ, რომელშიც ხერხემლის ტვინია მოქცეული. ამ დარბაზს ხერხემალი ჰქვიან. ხერხემლის ზოგიერთა ცალკე მძივიდგან გამოდიან ეს წვრილი ძვლები-ნეკნები. ყველა ნეკნები ერთად შეადგენენ მაგარ **გულ-მკერდს** (სურ. 39). ეს გულ-მკერდი იფარავს გულსა და ფილტვებს, სწორედ ისე, როგორც თავის ქალა იფარავს ტვინს. ალბად იცით, რომ მთლად ადამიანის სხეული უმეტესად რბილ ნაწილებისგან შესდგება. მაგრამ სხეული რომ სწორედ და მარჯვედ იღეს და თავისი მოყვანილობა, შესახედაობა არ დაჰკარგოს, საჭიროა, მის შიგნით რაიმე მკვიდრი საყრდნობი იყოს. ამ დანიშნულებას სხეულში მოთავსებული ძვლები ასრულებენ; ყველა ძვლები ერთად შეადგენენ ესრედწიდებულს **ჩონჩხს** (სურ. 40), ანუ საძირკველს ადამიანის სხეულისას.

როგორც შემდეგ თვითონვე დარწმუნდებით, ძვლებს სხვა და-სხვა ალაგას სხვა-და-სხვა სახე და შესახედაობა აქვს: ზოგი მათგანი გრძელია, მაგალითად, მხარისა, წყრთის ძვლები, ზოგი ფართოა, მაგალითად, შუბლის ძვალი, გულის ფიცარი, ბეჭი და სხვა, ზოგიც მოკლეა, მაგ. თითებისა და მაჯის ჩონჩხის ძვლები, კისრის მძივები და ბეჭრი სხვა. მაგრამ ყოველი ძვალი ერთისა და იმავე ნივთიერებისაგან შესდგება.

ძვლის უმთავრესი ნივთიერება მკვრივი და მოქნილია, კაკნატელას წააგავს, უმეტესად. შესდგება ფოსფორ-მჟავე




სურ. 39.—გულ-მკერდი ნეკნებით.



სურ. 40.—ადამიანის ჩონჩხი. აღნიშნულია:

1. ყვრიმალის ძვალი.
2. ქედა. შემდგომ.
3. კისრის მძივი.
4. ლავიწი.
5. ბძარის ძვალი.
6. გულის ფიცარი.
7. ნეკნები.
8. ნაჯის ძვალი.
9. წყროს ძვალი.
10. წყროს ძვალი.
11. სელის ჩონჩხი.
12. წელის მძივები.
13. მენჯები.
14. ბარძაყი.
15. კვირისტავი.
16. დიდის წვივის ძვალი.
17. პატარია წვივის ძვალი.
18. ტერტის ჩონჩხი.
19. ქუსლის ძვალი.

კირისაგან, რომელიც თავისთავად ქვას მოგავონებს. ფოსფორ-მჟავე კირი ძვალს აძლევს სიმაგრეს და სიტკიცეს; უიმისოდ ძვალი სრულიად რბილი იქნებოდა. ბავშვის ძვლები უფრო ნაკლებს კირს შეიცავს, ვიდრე პასაკში მოსულ აღამიანისა; ამიტომ მისი ძვლები უფრო რბილი და მოქნილია. წლოვანების მიხედვით ძვლებში კირის რაოდენობაც მატულობს და მასთან ერთად ძვლებიც უფრო მომეტებულად მაგრდებიან, მქისლებიან. გადაჭრილ ძვალს რომ კარგად დაკვირდეთ, დარწმუნდებით, ზემოდან ის მაგარია და მკვრივი, შიგნით კი უფრო ფხვიერი და ცხრილ-თვალება. ძვლის გარშემო მაგარ სხეულს სახელად **ქერქისებრი** ხვეული ჰქვიან, ხოლო მის შიგნით მომწყვდეულ ფხვიერ ნაწილს **ღრუბლისებრ** ნივთიერებას ეძაბიან. გარდა ამისა, ყველა ძვალი გარედან დაფარულია თხელ, მაგრამ ძლიერ მაგარის გარსით, რომელსაც სახელად ჰქვიან ძვლის ჭაპკი ან ძვლისზედა (სურ. 40). შიგ ძვალში სისხლის მილები გარბი-გამორბიან. აქ მოდიან ჩვენი მეგო-



სურ. 41 და 42.—თავის ქალა გვერდით და წინიდან.

1. თხემის ძვალი. 2. კეფი. 3. საფეთქლის ძვალი. 4. ძირითადი ძვალი. 5. ზუბ-ლის ძვალი. 6. ცხვირის ძვალი. 7. ყვრიმალის ძვალი. 9. ზედა ყბა. 10. ქვედა ყბა.


ბრები-წვეთები თავიანთ სულადით და მათგან ძვალი იღებს ყოველსავე მისთვის საჭირო ნივთიერებას.

— მართლა, — გააწყვეტინა წვეთმა თავის თავს ბაასი: —
საითკენ აპირობთ ახლა სამუშაოდ წასვლას?

— ჩემთვის, სწორედ გითხრა, სულ ერთია, — მორცხვად.
უპასუხა ჩვენმა პატარა მოგზაურმა. — მაშ, ერთად წავიდეთ,
წამომყევით. მინდა კუნთებს ვესტუმრო. იცით კი, რა არის
კუნთი?


— ხორცია, რომელიც გარედან ძვლებს და მის აპკა
აფარია, — უპასუხა წვეთმა. — სრული ჰემმარიტებაა. ხორცი
მთლიან პარქს როდი წარმოგვიღებუნს, პირიქით, შესდგება
მრავალ განცალკევებულ მსხვილ და წერილ ნაწილებისაგან
ანუ კონებისაგან. ამ კონებს კუნთები ანუ მუსკულები
ჰქეიან (სურ. 43). თვითეული კუნთი თავის მეზობელ კუნ-
თისაგან გადალობილია ძლიერ თხელ, სიფრიფანა კანით,
რომელიც კუნთს მჭიდროდ გარს ახვევია. აი, კიდეც მოუახ-
ლოვდით კუნთებს; ეს მხარის კუნთია; დაუკვირდით კარგად
იმის გარეგნობას, შეხედულებას. შეამჩნევთ, რომ შეუაზე
მსხვილია, ხოლო თავსა და ბოლოს წვრილდება. ამნაირ
მოყვანილობის კუნთებს უფრო ხშირად შეხვდებით. არიან კი-
დევ წვრილი და გრძელი კუნთები, რომლებიც ლენტსა ჰგვა-
ნან, მაგრამ ასეთი კუნთები ძალიან ცოტაა. დაუკვირდეთ
ისევ ჩვენს კუნთს, ავავლოთ თვალი სიგრძეზე. შეუათანა მის
მომსხო ნაწილს ტანი ანუ მუცელი ჰქეიან. ერთს უფრო მოკ-
ლე მის ნაწილს ეძახიან თავს, ანუ დასაწყისს, ხოლო მეო-
რე, უფრო გრძელსა და წვრილს, ჰქეიან კუდი ანუ ბო-
ლო. დაუკვირდით ყურადღებით. ჰქედავთ, რომ მთელი
სირბილე კუნთისა შემდგარია ურიცხვ წვრილ და მოგრძო
კონებისაგან. მართლა პურის შეკრულ კონას არ მოგაგო-
ნებთ? აქაც ცალკ-ცალკე ღერობი მჭიდროდ მიმაგრებულან
ერთმანერთზედ. კუნთის თვითეული წვრილი კონა შეგვიძ-
ლიან გავყოთ, გავანაწილოთ კიდევ უფრო წვრილ კონებად.
ყველაზე უფრო წვრილის კონის დანახვა თვალით შეუძლე-
ბელია, თუმცა ესენიც-კი თავის მხრივ კუნთების უწვრილეს

ბეწვთ წარმოგვიდგენენ; ამ ბეწვების გაყოფა—განაწილება შეუძლებელია. თვითეული მათგანი ჰგავს გრძელ და ვიწრო მილს გამწვეტებულ ბოლოებით. კუნთების ძაფები რეზინივით მკვრივია, ეხერხებათ როგორც დამოკლება ისე დაგრძელება, ანუ, როგორც იტყვიან, შეუძლიანთ შეკუმშვა. მოიგონეთ საჭმლის საყლაპავი მილი, სტომაქი, გული, ყველა ესენი შეპატარავდებიან ხოლმე, ესე იგი მოიკუმშებიან და გაიშლებიან. ეს იმიტომ რომ მათი კედლები კუნთებისგან შესღებიან, ხოლო ამ კუნთების მოკუმშვაზე დამოკიდებულია გულისა, სტომაქისა და საჭმლის საყლაპავ მილის მოკუმშვა-გაფართოვება. კმარა. გავჭყვეთ კუნთის კონას. შეამჩნევდით, რომ კუნთის თავი მხრის ძვალის დასაწყისზედ ყოფილი მიბმული, ხოლო ბოლო—მაჯის ძვლის ბოლოზე. საზოგადოდ, თითქმის ყველა კუნთი ამნაირად არის ძვლებ-



სურ. 43.—ადამიანის სხეულ ისუნქ-თები წინიდან.

ზე მიმაგრებული: თავი ერთ ძვლის ბოლოზე, კუდი—მეორისაზე. ეს გარემოება ნებას აძლევს ადამიანს სხეულის ნაწილები თვის ნებაზე ამოძრაოს. ამ ხანად ჩვენს ბიჭუნის ხელი დაშვებული აქვს, ამიტომ მხარის კუნთები გაშხლართული და მოსვენებულია. მაგრამ საკმარისია მეფე-გონებამ დეპეშით ბრძანება გამოჰვანოს და ხელი იმწამსვე მაღლა აიწევა, ანუ მოილუნება და კუნთიც მოიკუმშება, ე. ი. უფრო შეიბურთება და დამოიკიდება; ამის გამო მისი ქვევითა ბოლო მაჯის ძალს



სურ. 11 და 15.—მხარის კუნთები.

1. კუნთები დასვენების ფაზა.
2. კუნთები მოკუმშების ფაზა.

იმას ჰნიშნავს, რომ ხელი მოილუნა. მიუახლოვდეთ კუნთის ბოლოს. წვეთები მართლაც მიუახლოვდნენ. ჩვენს მოგზაურს ძალიან გაუკირდა, როცა უეცრად დაინახა, რომ კუნთებს იმ ალაგას, საღაც ძვლებზედ იყვნენ მიკრულნი, სრულიად არ გააჩნდათ წითელი და ხორციანი ძაფები, იმათ მაგირ აქ თეთრ ბრწყინვალე და ხმელ ძაფებს ჰქონდა.

— ეს მყესია, — უთხრა წვეთის მეზობელმა, როცა შეატყო, რომ ვერ მიჰვდა საქმის ვითარებას. კუნთების თეთრ ბოლოებს ეძახიან მყესს ან მალას. ჩვენს მგზაურს არც კი შეუმჩნევია, რომ გზაში რაც-კი მუავბალის სულადი გააჩნდა, ქსოვილებს გადასცა, თვითონ კი დაიტვირთა ნახშირ-მუავე-

მაღლა მიიზიდავს და ხელის იდა-ყვში მოიღუნება (სურ. 44 და 45). ბევრ ძვალზე ორი ან სამი კუნთია მიმბული. ზოგი ამათ-განი ძვალს ერთ მხარეს ატრიალებს, ზოგი-კი—მის პირდაპირ მდებარე მხრისაკენ. თითქმის ყველა მოძრაობისათვის საჭიროა რამდენისამე კუნთის მოკუმშვა. მაგალითად ხელი რომ მოჰქმდა, ბევრი კუნთი უნდა მოვიყვანოთ მოძრაობაში. აი, შეჰქედეთ! ამ წუთას ჩვენი კუნთი მოიკუმშა, დამოკლდა; ეს

თი და სხვა ნაყარ-ნუყარით, რომელიც იმავე ქსოვილებიდებან გამოჰკრიბა. ახლა უკვე არტერებიღგან გამოძვრა და ვენებით მიემგზავრება. რამდენსამე ხანს მეზობლისათვის ხმა არ გაუცია, ჩუმად მიდიოდნენ; ბოლოს კი მეზობელმა მდუმარება დაარღვია.

— ამ წუთს ჩვენ გავდივართ სხეულის ზედაპირში, კანის ხვეულებში. იცი განა რა არის კანი?

— კანი ცველაზედ უფრო ზენაწილია ჩვენის სხეულისა, რომელსაც გარს ახვევია მკვრივ ზეწარივით,—უპასუხა ჩვენმა წვეთმა.

— სრული კეშმარიტებაა! — დაუდასტურა მოსაუბრებ, — გირჩევ ამ ზეწარს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციო: საკვირვლადაა მოწყობილი.

— როგორ და რა ნაირად? ჰკითხა წვეთმა. — აი თვითონ დაინახავ. გაგიგონია ოდესმე ისეთი მაგარი წალები ყოფილიყოს, რომ 60—70 წელი ან მეტი გაეძლოთ და არ გაცვეთილიყვნენ. — არა!

— ისეთი ხელთათმანი ხომ არ გინახავს, რომელიც კაცს რამდენისამე ათეულის წლის განმავლობაში ეტარებინოს და ისევ წინანდელი სიმაგრე შერჩენოდეს? — არც ეგ გამიგონია, — გაკვირვებით უპასუხა ჩვენმა პატარა მგზავრმა. — ან შეიძლება ისეთი მაგარი ტანთსაცმელი გინახავს? — არა და არა. რატომ მეკითხები მაგრე, განა შენ-კი იცი ასეთი ტანისამოსი?

— დიალ, ვიცი, თავმომწონედ წარმოსთქვა წვეთმა და თან დასძახა: შენც გინახავს და იცი კიდევაც: ეგ კანია, რომლის ხვეულის ქვეშ ჩვენ ახლა მივდივართ. — ნუ თუ მართლა? გაიკვირვა პატარა მგზავრმა. რა რიგად? — სულ უბრალოდ. იცი, რასაკვირველია, რომ არის ისეთი ხალხი, მეტადრე თბილ ქვეყნებში, რომელიც არას დროს არავითარ ფეხსაცმელს არ ატარებს, მუდამ ფეხშიშველი დადის. ფეხსაცმელის მაგიერობას უწევს მათი საკუთარი კანი; ეს კანი ემსასურება მთელ სიცოცხლეში დაბადებიდან სიკვდილამდე. ცხელ-ქვეყნებში ბევრია ისეთი ხალხი, რომელიც სრულიად

შიშველი დადის და საკუთარი კანი უწევს არა თუ მარტო ფეხსაცმლის მაგივრობას, არამედ ტანთსაცმლისასაც. მერე არ იტყვი, რა ერთგულად ემსახურება? ასეთ მაგარს და გამძლე ტანთსაცმელს სხვას ვერცა იპოვნი. როგორაა მოწყობილი ეს კანი, რომ ისე გამძლე და მაგარია? — სულ უბრალოდ! კანს ზედაპირისაგან მუდამ ეცლება პაწაწა ნაწილები, — ქერტლები; ეს კანის დაცვეთილი, ძველი უჯრედებია. რამდენიც ღრო მიღის, იმდენი ეს უჯრედები იცვლებიან, უვარგისნი და უსარგებლო ხდებიან და ჩამოცვივიან; მათ ადგილას უფრო ნორჩი, უფრო ახალგაზრდა უჯრედები იჭერენ. ამ ნაირი განახლება კანს მუდამ ესაჭიროება და კიდევაც სწარმოებს, თუმცა შეუმჩინევლად, მაგრამ მუდმივ, ყოველ დღე, ყოველ საათს და ყოველ წუთს. აი ამიტომ კანი დიდხანსა სძლებს და არცა ცვდება. კანის ნაკერს მიკროსკოპში რომ დაუკვირდეთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ შესდგება ორის კეცი-საგან. ზედა კეცი, რომელსაც სახელად ჰქვიან ზეკანი ან ეპიდერმისი, ნახევრად გამსჭვირვალე, ხმელ გარსს წააგავს და გასანთლულ ქალალდს მოგაგონებს.

სწორედ ამ კეცს ზემოდან მუდამ სცვივა დაცვეთილი ნაწილები, პაწაწა ქერტლების სახით. ეპიდერმისში არც სისხლის მილია და არც ნერვები, ამიტომაც სრულიად მოკლებულია მგრძნობელობას. შეიძლება მისი დაჩხვლეტა ან გაჭრა და არავითარ ტკივილს არ იგრძნობს ადამიანი. ეპიდერმისის ქვეშ სდევს ნამდვილი კანის კეცი. ამაში დატანებულია მრავალი ძლიერ წმინდა სისხლის მილი და ნერვები; ამაშივე მოთავსებულია განსაკუთრებული პატარ-პატარა პარკები— ჯირკვლები; ზოგი ამათგანი ქონს შეიცავს და ამიტომ **საქონე** ჯირკვლები ჰქვიან, ზოგიდან ოფლი მოუკონავს და ამიტომ **სათფლე** ჯირკვლებს ეძაიხან (სურ. 46). საქონე ჯირკვლების მახლობლად ჩვეულებრივ ბალანიც ამოდის. ბალანი თითქმის მთელს ჩვენს კანზეა მოფენილი. საქონე ჯირკვლებიდან გამოუყონილი ქონი მთელ კანში და ბალნებში გამჯდარია.

ამათ უფრო არბილებს და ამაგრებს. საოფლე ჯირკვლებიდან ჩვენს ტანს ეცლება სხვა-და-სხვა, ადამიანისათვის მავნე ნივთიერებანი. ამიტომ ძლიერ საქიროა, რომ ყველა ეს ნაჩვრეტები ანუ ფოსოები, რომლებიდანაც კანის ზედა პირზედ ოფლი, ქონი და თებო ამოდის, მუდამ სუფთად ინახებოდეს, პირი არ დაეხშოს, არ გაჰუჭყიანდეს.

— მაშ, თირკმელი და საოფლე ჯირყვალი ერთნაირ სამსახურს უწევს ადამიანს, — სთქვა ერთმა ჩაფიქრებულმა ამხანაგთაგანმა, საოფლეშიც ხომ მავნე ნივთიერება ეცლება სხეულს.


— დიალ, ოფლი, შარდი და ამონასუნთქი ჰაერი მავნე ნივთიერებას შეიცავენ, ყველა ამას აღამიანი იშორებს საოფლე ჯირყვლებისა, თირკმლებისა და ფილტვების წყალობით, — დასძინა ჩვენმა წვეთმა:

ყველა დაღუმდა...

რატომ თირკმლისას არაფერს გვეუბნები, — ჰკითხა წვეთს ერთმა ამხანაგთაგნმა.

— თირკმელში არა ვყოფილვარ და ვერცა რას გეტყეი, უპასუხა წვეთმა.

— მე ვიყავ თირკმელში, — წამოიძახა თავმომწონედ მესამე ამხანაგმა; თუ ნებას მომცემთ, ყოველსავე ნახულსა და გაგონილს გიამბობთ.



სურ. 46. — კანი ჩამოსწერივ გაკვეთილი (სურათი ძლიერ გადიდებულია).

1. თბის ლერძი.
2. თბის ძირი.
3. საქონე ჯირყვლები.
4. თბის ბუდე.
5. საოფლე ჯირყვალი თავის სადინარ მილით.
- 6—7 ქონთა გროვა.

— მოგვიყევ, გენაცვალე, გვიამბე,—ერთხმად შეჰყვირეს
შეზობლებმა.

აი საქმე როგორ იყო. როცა მარცხენა პარკუჭიდან
აორტაში გავედით, მის ქვედა ტოტს გავყევ და მოულოდ-
ნელად თირკმელში ამოცავ თავი; ჩემთან ერთად სისხლის
ბურთულებიც მოდიოდნენ; ბევრ გამოკითხვის შემდეგ, გავი-
გე, რომ ადამიანს ორი თირკმელი ჰქონია, ორნივე მუცელის
სილრუვეშია მარჯვნივ და მარცხნივ, წელის მძივების მახლობ-
ლად; გარეგნობით ცერტცვა მოგავინებს, თირკმელში საკმაოდ
მსხვილი არტერია შედის (სურ. 14, 19, 20), სწორედ ამ არ-
ტერიამ მიმიყვანა იქ, არტერიას ვენაც ახლავს, არტერია
თირკმელში მრავალ ბეწვისებურ მილებად იყოფა, ბევრი ამ
მილოთაგანი შემდგომ გორგალივით დაიხვევს. ამ გორგალს
არტერიის გორგალს ეძახიან, ზოგი შალპილის გორგალს
უწოდებს. რაც სისხლში ზედ მეტი წყალი ან სხვა რამ გამოუ-
საღეგარი და მავნებელი სითხე ურევია, ამ გორგალში იწუ-
რება, როგორც საწურაში. მავნე ნაწური შარდის სახით თავს
იყრის მრავალ წვრილ-წვრილ მილებში—საშარდე მილებში,
რომელნიც სისხლის სადინარ მილებთან ერთად თირკმელში
დაქსაქსულნი არიან. ბოლოს შარდი განსაკუთრებულის მი-
ლით—შარდის სადინარით საშარდე ბუშტში ჩადის და იქ
გროვდება, ხოლო იქიდან დრო-გამოშვებით გადის გარედ. აი
ყოველივე, რაც თირკმლის შესახებ შევიტყე.

— თირკმელსაც რთული მოწყობილობა ჰქონია,—წარ-
მოსოქვა ჩვენმა წვეტმა.


— დიალ, რთული,—მიუგო მოსაუბრებ და დიდი მნიშნე-
ლობაცა აქვს. თუ ადამიანის თირკმელი დაზიანებულია, მის
სიმრთელეს ჭ სიცოცხლეს საშიში განსაკდელი მოელის, იწამ-
ლება იმავ ნივთიერებითა, რომელიც შარდს გარედ უნდა გამოე-
ტანა და რჩება-კი სისხლში,—დაამთავრა ბაასი მოსაუბრებ.




აკ—ტუკ! ტაკ—ტუკ! უწინდელებრ, დლისით და ლამით
სძგერს გული. მთელ პატარა სამეფოში—სხეულში სდულს
და გადმოდის შეუწყვეტელი მუშაობა. უწინდელის წეს-
რიგითვე მუშაობენ ფილტვები და სცდილობენ, რაც შეიძლე-
ბა, მეტის უანგმადის თადარიგი გასწიონ, უწინდელებრვე იკუმ-
შება და იშლება ბუზლუნა სტომაქი და უხვდება სტუმრებს
თავის თბილ სასტუმროში, თან ჯავრობს, როცა მეკარე (ენა)
მოიცერცეტებს და მისთვის არა სასიამოვნო სტუმარს მიიღებს.
სულ ისევ თავისებურადვე ხან ლაზლანდარაობს და სარეკელაობს
ხან შენედ მუშაობს და იღწვის მხიარული სქელი ენა თავის
თანაშემწე კბილებით. განუწყვეტლივ მუშაობენ წვრილ-
წვრილი მავთული-ნერვები, წესიერად ატყობინებენ თავის
მეფე-გონებას ყოველსავე, რაც-კი სხეულში ჰქილება. ძველე-
ბურადვე ებრძვიან ბაქტერიებს სისხლის თეთრი ბურთულები,
ძველებურადვე სისხლის წითელ ბურთულთა ჯგუფი მხიარუ-
ლად აქა-იქ დაცქრიალობს, ჩქარობს რომ თავისი სულადი,
სამზადისი სხეულის ყველა კუნჭულში მიიტანოს, ყველგან
დროზედ მივიდეს, ყველას თავ-თავის დროზე ასეის, აქამოს,
ყველა უჯრედს საჭირო საშენი მასალა მიაწოდოს. ეს ყვე-
ლა კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენი პატარა მგზავრი—
ჩვენი წვეთი რაღა იქმნა, სად არის? ამაოდ ძებნას ნულარ
დაუწყებთ. არც ის და არც მისი მეგობრები აღარ არიან.
იმათ შეასრულეს, რაც მოეთხოვებოდათ, იმუშავეს ყველგან,
საღაც-კი საჭირო იყო მათი დახმარება, არსად თავის ძალ-

ლოსე არ დაუზოგავთ, რაც-კი რამ საქმეში გამოსადევგი გააჩნდათ, ყველა გარშემო მდებარე უჯრედებს გადასცეს, ხოლო რაც-კი უვარგისი ნაწილები იყო, სხეულიდგან სულ მთლად გარედ გამოცილებულ იქმნა ნაწლევების, თირკმლებისა, ფილტვებისა და საოულე ჯირკვლების შემწეობით. მათ მაგიერ პატარა სამეფოში მიღიონ სხვა ამათ გვარი მუშა-წვეთები გააჩნდა. ამათაც იგივე ბედი მოელის: ისინიც იმუშავებენ, გარდასცემენ მათ გარშემო მდებარე უჯრედებს თავიანთ ძალას და შემდგომ თავიანთ წინაპართ მსგავსად გაჰქრებიან.

ასე განუწყვეტლივ მიმდინარეობს სიცოცხლე, სანამ პფეფებს გული, მუშაობს ტვინი და სულს ითქვამენ ფილტვები.





Հ Ա Յ Ս Ո Յ Թ Բ Ո

Артерія—արթերիա, մոյետյազո ժարլցո.

Аорта—առհրդա.

Борозда (мозга)—ռարո, յըալո.

Бълые кров, шарики — ևուսկուս ուշտուլլենքօ, ուշտուլլենքօ.

Безымянная артерия—յւսածյըլլու արթերիա.

Большой мозгъ—լուզո գրոն.

Большой кругъ кровообращенія—ևուսկուս մոմոյւցուս լուզո ցիա, ցիւյլու Շահա—ցիւյլու յըալո.

Брюшина - մուլլուս աչյո, մուլլուս ցարո,

Барабанная перепонка — յուրուս աչյո,—յուրուս լացո, լուլուս աչյո. [լուլուս արց—бараб. полость.

Бълочная оболочка (глаза)—ուշտուլլո ցարսո, յըլլերա.

Бедренная кость—ծահճայուս ժցալո.

Берцовая кость большая и малая—լուզո լա Յագարա ֆյոզուս ժցալո.

Бронхъ—ծիռնեյո, յըառեն (բյելուս—յըյելլուս ցանմարկյենտ).

Блуждающий нервъ—լումբոլու նյիցո, ս անապտենուլլո ժարլցո (նյ-միսուս—յըյելլո).

Ворсинка—ծովսյոս, խա.

Въна—ցընա

Входъ въ желудокъ—ևումայուս ձորո.

Выходъ желудка (привратникъ)—ևումայուս ցասացալո. Ցեյարց.

Въко—յշտոյտ.

Воротная вена—ցարոձիուս ցընա.

Водянистая влага—ֆյուլուսնու լուցարո, ֆյուլուսնու նամո.

Височная кость—ծաղյուտյունուս ժցալո.

Глотка—եծես, խալուսացո.

Гортань — եռիեն.

Грудной протокъ—մյերլուս ևասդունո.

Грудная кльѣтка—ցուլ-մյերլուս, ցուլ-ծուցո, տորայո (նյմ.-յըյելլո).

Грудная полость—ցուլ-մյերլուս ևոլրուց, ցումոնծլու; ցուլուս լուսոյո.

Грудная кость—ցուլուս ցուցարո.

Головной мозгъ—ուցուս գրոն, ուցուս նուրուսուս լուցոն.

Глазная впадина—ուցալուս ևոլրից; ուցալուս դուս.

Голень—ֆյուց.

Губчатое вещество—լուսծլուսեծիո նոցույրենա.

Дуга аорты—**აორტის კრკალი.**

Диафрагма—**ზუასაძილი** (ნემესიოს—ემესელი) აფსკა (?), ფალანგა (?) .

Двѣнадцатиперстная кимка—**თორმეტ გლუვა ნაწლავი, თორმეტ თორმეტ-დადება—**თორმეტი პატარძალი; შილდანის ნაწლავი (აღ. ცხვედაც).

Евстахиева труба—**ევსტახის მილი.**

Железа—**ჯირკვალი**, ადენისი (ნ. ემესელი).

Желѣза подъязычная—**ენის ქვეშა ჯირყვალი**—надземостная ყბის ქვეშა ჯირყვალი.—околоушенная—**ყბა-ყურა ჯირყვალი,** უ-ოის ქვეშა ჯირყვალი.

Желудокъ—**სტომაქი**, კუპი.

Желудочный сокъ—**სტომაქის** (კუპის) წვენი.

Желудочный пузырь—**ნალველის ბუშტი.**

Желудочный протокъ—**ნალველის სასღუნი**, **ნალველის სადინარი.**

Желудочекъ (сердца) - **პარკუჭი**, კუპიაბი, ვულის ჯიბე, მუცელი გულისა.

Затылочная кость—**კეფის ძვალი**, კენჩხო.

Зрачекъ—**გუგა თვალისა.**

Ивилина—**ხრტული**, ხვეული.

Клѣтка—**უჯრედი.**

Клапанъ—**ხარქველი**, ხუფი.

Кровеносный сосудъ—**სისხლის სადენი მილი**, **ძარღვი**; **სისხლის მასრა**, **სისხლის მატარებელი მილი.**

Кровообращеніе—**სისხლის მიმოქცევა**, **სისხლის ბრუნვა.**

Колѣнная чашка—**კვირისტავი**, **მუხლის თავი.**

Кровянные шарики—**სისხლის ბურთულები**, **სისხლის სორსლები.**

Кислородъ—**ჟანგმბადი**, **მევემბადი.**

Ключица—**ლავიჭი**, კიბეიბა.

Крестецъ—**გავა.**

Копчакъ—**კუდუსუნი.**

Конечность—**კიდური**, **ნაწევარი.**

Корковый слой (кости)—**ქერქისებრი ხვეული.**

Клыкъ—**ეზი** (აღ. ცხვედაც ეზვებს სათხილე კბილ უწოდებს): **ზეადა-რე ქვემოდ**—коренные зубы.

Коренные зубы—**საცოხნელი კბილები**, **საღეჭი კბილები**, **სათხილე კბილები**, **საძირე კბ., უკანი კბ., გვერდის კბილები.**

Лимфатические сосуды—**წრბოლის მილები**, **წრბოლის კურჭლები.**

Лобная кость—**ზუბლის ძვალი.**

Лопатка—**ბეჭი.**

Локтевая кость—**წყრთის ძვალი**, **იდაყვის ძვალი.**

Лучевая кость—**მაჯის ძვალი**, **სივის ძვალი.**

Легочный пузырекъ—**ფილტვის ნახერეტი**, **ალვეოლი.**

Миндальвидная железа—**ნუშის მხგავსი ჯირყვალი.**

Мочеточникъ—**ზარდის სადინარი.**

Малый кругъ кровообращенія—**სისხლის მიმოქცევის მოკლე გზა**, **მ-ს ზარა, მ-ს — კრკალი.**

Малый мозгъ (мозжечекъ) — **ჰატარა ტვინი**, **ნაოხეშვი** ნუმეს. — ემე-
სელი.

Мозолистое тѣло — **კორდიანი სხეული**.

Мочевой пузырь — **საშარდე ბუშტი**.

Молоточекъ — **ჩაქუჩი**, კვერი.

Мышца — **კუნი**, თაგუნი.

Надгортанникъ — **ხორხის საფარი**, **ხორხის კლიტე**.

Нервъ — **ნერვი**, თეთრი სიმი.

„ двигательный — **მამოძრავებელი ნერვი**.

„ чувствительный — **მგბობარე ნერვი**.

„ смишанный **არეული ნერვი**.

Надкостница — **ძვლის აპკი**, ძვლის ზედა.

Наковалынь — **გრდემლი**.

Оболочка — **გარსი**.

Основная кость — **ძირითადი ძვალი**.

Пищеводъ — **საყლაპავი მილი**, **საყლაპავი ყია**.

Печень — **ღვიძლი**, მაგარა.

Поджелудочная железа — **სტომაქის უკანა ჯირყვალი**, **პანკრეასი**.

Прямая кишка — **სწორე ნაწლევი**, **პირდაპირი ნაწლევი**.

Продолговатый мозгъ — **მოგრძო ტვინი**.

Позвонокъ — **მძივი**.

Полая вена — **ლუჟუ ვენა**; **ცალიერი ვენა**; **ლია ვენა**.

Позвоночникъ — **ხერხემალი**.

Позвоночный столбъ — **ხერხემლის ბოძი**.

Перепонка — **აპკი**.

Поясница — **წელი**.

Полость — **სილრუვე**; **არე**, **სილრმე**, **ბუდე**, **კოლოუ**.

Почка — **თირკმელი**, **ჭაჭა**.

Полушаріе — **ნახევარ-სფერო**.

Плечо — **მხარი**.

Плечевая кость — **უკლივის ძვალი**, **მხრის ძვალი**.

Предплечье — **წყრთა**, **წინა მხარი**.

Плюсна — **ცერფი**.

Предплюсна — **წინა ტერცი**.

Полукружные каналы — **კრალივით მოზნექილი არხები**.

Пяточная кость — **ქუსლის ძგბლი**.

Пясть — **ნები**.

Предпястье — **წინა ნები**, **მაჯა**.

Предсердіе — **წინა გული**, — **გულის უბე**.

Рѣзы — **საკბეჩი** კბილები, **სავაშლე კბილები**, **მკრელი კბილები**,
წინა კბილები.

Роговица — **ჩქისებრი გარსი**.


Радужная оболочка — **თვალის ბაზა**; **ირისეს ფერი** გარსი; **ფერადა** აპკი.

Ребра — **ნეკნები**, **წიბოები**, **ფერცხლები**, **გვერდები**.

Слюна — **ნერწყვი**.

Слѣпая кишка — **ბრძან ნაწლავი**, **ბრუტიანი ნაწლავი** (?).

Селезенка—**ელებთა**, ტუირბი; ფაწვალა.
 Скуловая кость—**უკრიმალის** ძვალი.
 Сумка волосная—**თმის ბუდე**.
 Слизистая оболочка—**ლორწოვანი გარსი**.
 Сердечная сумка—**გულის პერანგი**.
 Сонная артерия—**ძილად-მიმქცევი არტერია**.
 Спинный мозг—**ხერხემლის ტვინი**, **ზურგის ტვინი**.
 Сосудистая оболочка—**ძარღვის გარსი**, **საჭურჭლე გარსი**, **მილებიანი გარსი**.
 Слуховая жидкость—**სასმენელი სითხე**.
 Слуховой камешек—**სასმენელი კენჭი**.
 Скелетъ—**ჩონჩხი**.
 Сътчатая оболочка—**გაბანდული აპკი**, **თვალთბადე**, **ნერვიანი გარსი**, **რეტინა**.
 Стекловидное тело—**მინის მზგავსი სხეული**, **შუშის მზგავსი სხეული**.
 Среднее ухо—**შუა ყური**.
 Стремя—**უზანგი**, **აბჯანდა**.
 Сухожилье—**მყენი**, **მალა**, **ხმელი ძარღვი**, **მშრალი ძარღვი**.
 Тонкая кишка—**წვრილი ნაწლევი**, **თხელი ნაწლევი**,
 ტენინი (ნერ. ემესელი).
 Толстая кишка—**მსხვილი ნაწილი**, **სქელი ნაწლევი**.
 Трахея (дыжат, горло)—**სასულე**, **—ყანყრატო, ყარყანტო, ყია**.
 Ткань—**ქსოვილი**.
 Темя—**თხემი**.
 Тазъ—**მენჯი**.
 Таранная кость—**კოჭი**.
 Улитка—**ლოკუჟინა**.
 Хрусталикъ—**ბროლი**, **ბროლის მზგავსი სხეული**, **ბროლის სხეული**,
 ლინზა.
 Хрящъ—**ხრტილი**, **კაკნატელა**.
 Черепъ—**თავის ქალა**.
 Червообразный отросток—**ჭიაყელას მზგავსი ნაწლევი**.
 Щитовидная железа—**ფარის მზგავსი ჯირუვალი**, **შუბის მინაგვარი ჯირუვალი**.
 Язычекъ—**საკლიტე**, **ენის კლიტე**.




პორეპტურული შეცდომების გაცემობა.

სტრიქონი

შეცდობის მდგრადი რიცხვი	შეცდის მდგრადი რიცხვი	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
1	1	წინასიტყვაობაში: მასლობელია	მახლობელია
1	—	იქავე: ორგანიზა	ორგანიზმს
6	—	მეორე ყურების	მეორე ყურების.
7	—	სურ. წარწერაში: ჯირკლის	ჯირყვლის
26	4	კუთხების	კუნთების
—	13	ძრიელ	ძლიერ
33	—	ღავინახოთ	ღავინახოთ
36	—	რატერიას	არტერიას
38	—	მოკლე გზას,	მოკლე გზას.
41	—	სურათზე ქვემოდ: ბ	ბ
42	—	უამბობთ	უამბოთ
46	5	ნერვებიც	ნერვებიც,
49	15	პატარა ტვინმა	პატარა ტვინმა,
—	—	ღა	ღა
51	—	მაგარი ბრწყინვალე	მაგარი, ბრწყინვალე
56	6	თვალში ვივავი	თვალში ვივავი
63	—	ძვერას	ძვერას
64	10	მოპრაობაში	მოძრაობაში
—	18	დავიწვიოთ	დავიწყოთ
65	7	სამს. ნახევარ	სამს ნახევარ
—	—	სურ. წარწერაში: ლოკიკინის	ლოკიკინის
—	—	ნრვი როცა	ნერვი, როცა
66	8	გაგებოდეს	გაგევებოდეს
67	10	მეფე-გონებას	მეფე-გონებას
—	15	თრდოდა	თრთოდა.
70	9	მსახურთ ე. ი. კბილებს	მსახურთ, ე. ი, კბილებს,
73	4	კუთი	კუნთი
76	10	ჰო	ჰო,
—	11	რასაკვირველია.	რასაკვირველია,
79	—	სურათ. წარწერაში: 9. 10.	8. 9.
80	10	წერილ	წვრილ

II

81	—	—	სურ. წარწ. სხეულ ისუნკოდები	სხეულის კუნთები
83	2	—	არტერებიდგან	არტერიებიდგან
—	17	—	გაცვეთილიყვნენ.	გაცვეთილიყვნენ?
—	—	2	ემსასურება	ემსასურება
84	—	9	სდევს	სდევს
86	9	—	მოგაგონებს,	მოგაგონებს.
—	—	10	შარდის საღინარით	შარდის საღინარით,
87	—	9	ჩქერობს რომ	ჩქარობს, რომ
—	—	4	ჩვენი წვეთი	ჩვენი წვეთი,
ლექსიკონზი:			железа подъязычная	железа подъязычная



ზარი ჰეილი ზაური